პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—78
მდივანის 10—58
ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებებზე: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

სამშაბათი, 10 აგვისტო 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 180 (1725)

დღიური

— სამხრეთ-სლავიაში საშინელი ტერორია გამეფებული.

— ინგლისში მემაღაროეთა გაფიცვასთან დაკავშირებით დაიწყო კომუნისტების დაპატიმრება.

— ბულგარეთში პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის 7 გლეხი ჩამოახრჩვეს.

— ამერიკამ ინგლისს მოსთხოვა 900 მილიონი გირ. სტერლინგის გადახდა ომის დროს ბლოკადით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

— ათინაში საბერძნეთის პრეზიდენტ პანგალოსს მოკვლის მიზნით თავს დაესხნენ.

— უ-ძიან-სის ფრონტზე დამარცხდა უ-პეი-ფუს ჯარები.

პარტია და ოპოზიციონური ბლოკი

ამხ. ბუხარინის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის 1926 წ. 28 ივლისის კრებაზე

ამხანაგებო, ჩემი დღევანდელი მოხსენება პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალ. საკონტრ. კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ რამდენიმედ განსხვავდება მოხსენებებისგან, რომელთაც ჩვეულებრივ ამ თემაზე კითხულობენ, მიტომ, რომ გაერთიანებული პლენუმის მუშაობას თავის თავად არაჩვეულებრივი ხასიათი ჰქონდა. ზოგიერთი საქმიანი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში იდგა, განხილულ იქნა ზოგადად და პრინციპიალური თვალსაზრისით. იმ განცხადებებსა, დეკლარაციებსა და პოლიტიკურ იერიშებთან დაკავშირებით, რომელსაც ამ პლენუმზე, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის წინააღმდეგ, გამძლავრებული ფრონტით აწარმოებდა თვით ცენტრალური კომიტეტში აღმოცენებული ოპოზიცია. აი ამიტომ მე დღევანდელ მოხსენებაში ხელახლა უნდა შევჩერდე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითად საკითხებზე, ჩვენი პარტიის პრინციპიალურ საკითხებზე როგორც შინაური პოლიტიკისა და ნაწილობრივ საერთაშორისო პოლიტიკის მხრივ, ისე განსაკუთრებით შინაპარტიული პოლიტიკის მხრივ. ამიტომ ახალი ოპოზიციის პოზიციის განხილვას მე უნდა წინ წაუმძღვარო ერთგვარი მოკლე ზოგადი განხილვა ქვეყნის საერთო მდგომარეობისა, მიტომ რომ იმ უთანხმოების საფუძველს, რომელიც ერთი მხრით ცეკას დიდ უმრავლესობასა და მეორე მხრით ოპოზიციონერ ამხანაგებს შორის არსებობს, წარმოადგენს განსხვავება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის დაფასებაში, აგრეთვე ჩვენი პარტიის როლის დაფასებაში, ხოლო აქედან გამომდინარეობს სხვადასხვა დასკვნები იმ ზომების შესახებ, რომელიც ჩვენმა პარტიამ უნდა მიიღოს თავის ისტორიული განვითარების მიმდინარე მომენტში.

ამრიგად, ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, თუნდაც მოკლეთ, ჩვენი პარტიის საერთო მდგომარეობას შევეხო.

სამეურნეო მდგომარეობა

ეკონომიური წინსვლა

მე ვიწყებ ეკონომიური მდგომარეობის ანალიზიდან და გთხოვთ მაპატიოთ, რომ აქ იძულებული ვიქნები ერთგვარი მინიმალური მასალა ციფრებში წარმოვადგინო. ჩვენს რიგებში საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათ გადაიქცა ის დებულება, რომ ჩვენ ეკონომიურად ვიზრდებით, ჩვენი ქვეყნის მწარმოებელი ძალები საზოგადოთ იზრდება; ამას ახლა ჩვენი შეურიგებელი მტრებიც კი აღიარებენ. თვით ჩვენი ყველაზე მეტად გაბოროტებული და დაბრმავებული კლასობრივი მტრები დღეს იძულებულნი არიან, ფაქტების ზეგავლენით, რომელთა მიჩქმალვა შეუძლებელია, აღიარონ, რომ ჩვენ ეკონომიურად ვიზრდებით. მაგრამ ჩვენთვის, მარქსისტებისა, ლენინელებისთვის, ახალი წესწყობილების ამშენებლებისთვის, ქვეყნის ეკონომიური წინსვლის საკითხი ხოლოთ უპირველესი და ყველაზე ზოგადი საკითხია ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის ანალიზის დროს. დღეს ჩვენ შემდგომი საკითხები უნდა დავსვათ, უწინარეს ყოვლისა უნდა ვიკითხოთ, წინ მიდის თუ არა ჩვენი მრეწველობა, რომელიც სოციალისტური აღმშენებლობის საფუძველს წარმოადგენს, წინ უსწრებს თუ არა ის სოფლის მეურნეობის განვითარებას, თუ პირიქით, სოფლის მეურნეობის განვითარება მიდის უფრო ჩქარის ნაბიჯით? იზრდება თუ არა დისპროპორცია, შეუფარდებლობა ჩვენ სახელმწიფოებრივ მრეწველობასა და 22 მილიონ გლეხურ მეურნეობას შორის? აი ეს არის პირველი დამატებითი და გადამწყვეტი საკითხი, რომელიც თავის თავს უნდა მისცეს თვითეულმა ჩვენგანმა იმის შემდეგ, რაც აღიარებულია ფაქტი ქვეყნის საერთო ეკონომიური ზრდისა.

ეგრეთ წოდებული „დისპროპორციაზე" სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარებაში

ამრიგად, მე ვაყენებ ამ პირველ საკითხს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების ურთიერთობაზე. აქ მდგომარეობა შეიძლება შემდეგი ციფრებით დახასიათდეს. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1922—23 სამეურნეო წელს ომის წინა დროინდელი დონის 66,8% შეადგენდა, 1925-26 წელს კი 88,1% შეადგენს. თუ ამას აბსოლუტურ ციფრებში გამოვხატავთ, ზოგადი პროდუქცია 1922—23 წელს 7,8 მილიარდ მანეთს უდრიდა, ხოლო 1925—26 წელს 10,3 მილიარდ მანეთს, ე. ი. ამ ხნის განმავლობაში ის **32%-ით** გაიზარდა.[1]) თუ მრეწველობის საერთო პროდუქციას მივმართავთ, შემდეგ ციფრებს მივიღებთ: 1922—23 წლისთვის 1 მილიარდ 949 მილიონ მანეთს, ხოლო 1925—26 წლისთვის 5 მილიარდ 215 მილიონ მანეთს, ე. ი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა მრეწველობამ **274** პროცენტით მოიმატა.

ახლა მე გადავდივარ ჩვენი მრეწველობის ადამიანურ ბაზისზე, ე. ი. მუშათა კლასის შემადგენლობაზე, მიტომ რომ კლასობრივი ბრძოლის საკითხები (ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობა წარმოადგენს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თავისებურ ფორმას), რასაკვირველია, ცოცხალი ადამიანების მიერ სწყდება, რომელნიც სხვადასხვა ურთიერთობაში, სოციალისტური აღმშენებლობის ძირითად საფუძვლებს წარმოადგენს. მუშათა კლასი სოციალისტური აღმშენებლობის ძირითად ადამიანურ ბაზისს წარმოადგენს, მეპატრონე კლასს, ხელმძღვანელ კლასს, მოწინავე კლასს ახლანდელ გარდამავალ პერიოდში.

თუ დავსვამთ საკითხს ამ კლასის რიცხვობრივი ცვლილების შესახებ, რომელიც მისი სოციალური ძლიერების განმსაზღვრავ ფაქტორს წარმოადგენს, ჩვენ მივიღებთ განვითარების ასეთ დინამიკას: მუშების საშუალო წლიური რიცხვი 1921—22 წელს 1.243 ათასს კაცს უდრიდა, 1925 წლის ივნისში ამ ციფრმა 1.550.000 მიაღწია (ლაპარაკია **მრეწველობის მუშებზე**); 1926 წლის ივნისში უკვე 1.898.000 იყო, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში პროლეტარიატის მოწინავე ნაწილმა, სამრეწველო პროლეტარიატმა 300,000 კაცზე მეტი მოიმატა. ჩვენ შეგვიძლია იგივე საკითხი დავსვათ არა მარტო მუშა-ხელის, მშრომელი ძალების რიცხობრივი ზრდის თვალსაზრისით, არამედ ისიც ვიკითხოთ, თუ რა ნაწილს წარმოადგენს მუშათა კლასის შემოსავალი, ე. ი. მისი სამუშაო ქირის ჯამი სახალხო მეურნეობის, საერთო ეროვნული მეურნეობის შემოსავალში. თვისთავად ცხადია, ამხანაგებო, რომ თქვენ ყველანი მშვენიერად გაიგებთ შემდეგ გარემოებას: ჩვენი ქვეყანა, უწინარეს ყოვლისა, გლეხური ქვეყანაა; მუშათა კლასი ჯერ კიდევ უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენს, ასე, რომ ამ ჯამის სიმცირე არ უნდა გაგვაკვირვოს: საყურადღებოა მისი წილის ცვალებადობა ეროვნული შემოსავლის საერთო ჯამში. სამუშაო ქირის ჯამი, პროლეტარიატის შემოსავალი, 1922-23 წ. მთელი ეროვნული შემოსავლის 20% შეადგენდა; 1924—25 წელს ის უკვე 28% შეადგენს, ე. ი. შედარებით მოკლე ხანში პროლეტარიატის წილმა 20%-დან 28,1%-დე იმატა ანუ თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა.[2])

ასეთი მდგომარეობა იყო დღემდე. მაგრამ დღეს იმდენად დაწინაურებული ვართ ჩვენი ეკონომიური აღმშენებლობის დარგში, რომ საგეგმო ორგანოებში უკვე დასმულია საკითხი ზოგიერთი საორიენტაციო გეგმის შესახებ უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის. სხვათა შორის, ჩვენ გვაქვს დაახლოებითი ანგარიში, უაღრესად საორიენტაციო, ჩვენი მეურნეობის განვითარების შესახებ მომავალი 5 წლისთვის. ეს ანგარიში დიდი სიფრთხილით არის შედგენილი საგეგმო კომისიის მუშაკების მიერ. ამ ანგარიშით უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, ე. ი. 1925—1930 წლამდე, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ზრდა დაახლოებით 20,8% იქნება, ხოლო სამრეწველო პროდუქციისა დაახლოებით 110%. ლაპარაკია, მაშასადამე, მთელი სასოფლო - სამეურნეო და მთელი სამრეწველო პროდუქციის ზრდის შესახებ. მაგრამ სხვა ურთიერთობას მივიღებთ, თუ საგლეხო მეურნეობისთვის ავიღებთ არა საერთო პროდუქციის ზრდას, არამედ მისი **საქონლიანობის** ზრდას. მაშინ, წინასწარი ანგარიშის მიხედვით, უნდა ითქვას, რომ საგლეხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქონლის ნაწილი ხუთი წლის განმავლობაში დაახლოებით 42-43 პროცენტით გაიზრდება.[3]).

თუ თქვენ გახსოვთ ციფრი, რომელიც სამრეწველო პროდუქციის ზრდის შესახებ მოგაწოდეთ (110%), დაინახავთ, რომ უახლოესი ხუთი წლის საორიენტაციო ანგარიშის მიხედვით, რომელიც შედგენილია ფაქტიური მასალის ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე, მრეწველობის წინსვლა უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა, ვიდრე სასოფლო მეურნეობისა. ეს არის ჩვენი მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენცია, რომელსაც მეთოთხმეტე პარტიულ ყრილობაზე შეგნებულად ჩვენი ქვეყნის **ინდუსტრიალიზაციის** პროცესსი ვუწოდეთ, მიტომ რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდაა მთელ ეკონომიკაში.

ამრიგად, თუ ერთი მხრით მრეწველობის წინსვლის საკითხს დავსვამთ, ხოლო მეორე მხრით სასოფლო მეურნეობისა, ჩვენ შეგვიძლია როგორც უკანასკნელი წლებისა, ისე უახლოესი წლებისთვის დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ბალანსი მრეწველობის სასარგებლოდ იხრება; ჩვენი მრეწველობა დღემდეც წინ უსწრებდა სასოფლო მეურნეობას და უახლოეს ხუთ წელიწადშიც, ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობების მიხედვით უნდა ველოდეთ, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მტკიცე ნაბიჯით წავა ინდუსტრიალიზაციისაკენ.

კერძო კაპიტალის როლისა და რაოდენობის შესახებ

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა გადავსწყვიტოთ, არის საკითხი კერძო კაპიტალის ზრდის შესახებ ჩვენს ქვეყანაში და იმ პროპორციის შესახებ, რომლის მიხედვითაც ვითარდება ჩვენში სახელმწიფო მეურნეობა, ერთის მხრივ და კერძო კაპიტალისტური მეურნეობა —მეორე მხრივ. მე აქ წინდაწინვე ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთო.

ჩვენ სასტიკათ უნდა გავარჩიოთ ერთი-მეორისაგან კერძო მეურნეობა ჩვენს ქვეყანაში და კერძო კაპიტალისტური მეურნეობა, რაც ბევრ ამხანაგებს, როგორც შემდეგში დაინახავთ, ვერაფრის გზით ვერ გაურკვევიათ: კერძო მეურნეობა როდია— კაპიტალისტური მეურნეობა.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ და ვაყენებთ საკითხს კერძო კაპიტალთან ჩვენი კონკურენციის და კლასობრივი ბრძოლის შესახებ, ჩვენ სწორედ საკითხი უნდა დავაყენოთ ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის ძალების, ერთის მხრივ, და კერძო კაპიტალისტური მეურნეობის ძალთა შეფარდების შესახებ ე. ი. მეურნეობის, რომელიც დაქირავებულ შრომას იყენებს.

სამწუხაროდ, სტატისტიკა, რომელიც ამ პუნქტის მიმართ ჩვენს სახელმწიფოში განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იჩენდეს, მოიკოჭლებს ორივე ფეხით და ის ცნობები, რომელიც ჩვენ მოგვეპოება კერძო კაპიტალის მოძრაობის როლის, მისი მნიშვნელობის შემცირების ან გადიდების შესახებ, ვერაფრის გზით ვერ ჩაითვლებიან სწორ ცნობებად.

უკანასკნელ ხანებში, ფინსახკომის ერთმა მუშაკთაგანმა ამხ. კუტლერმა, სცადა გამოეანგარიშებია კერძო კაპიტალის რაოდენობა და წლიური დაგროვება კერძო კაპიტალისტურ წარმოებებში. ამ მიზნით კერძო წარმოებებს შორის ჩატარებულ იქნა ანკეტა, რომელიც შეეხო კერძო კაპიტალისტურ წარმოებათა ერთი პროცენტის ერთ მეათედს, რომელზედაც შეწერილია სათანაბრო გადასახადი. ეს თავისთავად ცხადჰყოფს იმას, თუ რამდენად ძნელია დაემყარო იმ დასკვნებს, რომელიც კუტლერმა გამოიყვანა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ყველა გამოკვლევებიდან, რომელნიც კერძო კაპიტალის როლს ეხებოდენ, კუტლერის გამოკვლევები მაქსიმალურად ხელსაყრელ შედეგებს იძლევა კერძო კაპიტალისთვის.

მისი გამოანგარიშებით, რომლის ტეხნიკის შესახებ მე აქ არ შევჩერდები, რადგან იგი მეტად არაპირდაპირია და მიხვეულ-მოხვეულია, ჩვენში არსებულ 323.855 კერძო კაპიტალისტურ წარმოებათა საერთო მოგება შეადგენს მნიშვნელოვან ჯამს, რომელიც კუტლერის ანგარიშით ქანაობს 319 მილიონ მანეთიდან—585 მილიონ მანეთამდე.

ცეკას პლენუმზე ოპოზიციის ერთმა უმთავრეს მომხრეთაგანმა—ეკონომიურ დარგში მომუშავემ—ამხ. პიატაკოვმა კერძო კაპიტალის წმინდა მოგება გამოიანგარიშა—400—500 მილიონ მანეთის რაოდენობით; ამასთან ერთად იგი ამ გამოანგარიშებამდე მივიდა რამოდენიმეთ სხვა გზით, სხვა საშუალებით, რომელშიაც ამხ. ძერჟინსკიმ და სხვებმა მთელი რიგი შეცდომები აღმოაჩინეს. ამ შეცდომებზე ეხლა მე არ შევჩერდები.

ვიტყვი მხოლოდ, რომ პიატაკოვმა ეს ანგარიშები შემდეგნაირად გამოიყვანა: კერძო ვაჭარზე გაყიდულ სამრეწველო საქონლის რაოდენობა შეადგენს 11 პროცენტსო. ნამდვილად კი კერძო ვაჭარი უფრო მეტი პროცენტით ვაჭრობს; მაგ., ზოგიერთი ანგარიშის მიხედვით, იგი ვაჭრობს დაახლოებით 40 პროცენტით და ხშირად უფრო მეტი პროცენტით.

აი ამ სანიმუშო ციფრიდან ამხ. პიატაკოვმა გამოიყვანა თავისი ანგარიში კერძო კაპიტალისტური დაგროვების შესახებ.

აქ მან დაუშვა მთელი რიგი შეცდომებისა და მათ შორის, შემდეგი მთავარი შეცდომა: თუ ლეგალურად კერძო ვაჭარს ჩვენ ვაძლევთ სამრეწველო საქონლის 11 პროც. და თუ კერძო ვაჭარი ნამდვილად ამ 11 პროცენტზე მეტს ღებულობს, — ეს არის შედეგი საქონლის რამოდენიმეჯერ ყიდვა-გაყიდვის. მაგ., კოოპერაცია და ქვედა სახელმწიფო ორგანოები, რომელნიც ზედა სახელმწიფო ორგანოებიდან საქონელს საბითუმო ფასებში ღებულობენ, თავის მხრივ ამ საქონელს ჰყიდიან კერძო ვაჭარზე. რამდენადაც ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს, — ხოლო ასეთი მოვლენები კი არის, იმდენად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ საქმე ისე, თითქოს განსხვავება გაცემით და ცალობით ფასებს შორის მთლიანად მიქონდეს კერძო ვაჭარს. თუ კერძო ვაჭარი საქონელს რამოდენიმეჯერ ყიდვა-გაყიდვის შემდეგ, ვსთქვათ, მესამე ხელიდან ღებულობს, მეორე ხელი—სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებმა ანუ კოოპერაციამ, რომლებმაც თავის მხრივ საქონელი მიჰყიდეს კერძო ვაჭარს, სავაჭრო მოგების ნაწილი თვითონვე დაიტოვეს და ამგვარად კერძო ვაჭარი ვერ ღებულობს მთლიანად განსხვავებას გაცემითსა და საბითუმო ფასებს შორის.

ვსთქვათ, რომ კუტლერის გამოანგარიშებით საერთო მოგება უდრის 400 მილიონ მანეთს (319 მილიონ და 585 მილიონს შორის ვღებულობთ საშუალო რიცხვს). ამ რიცხვს შეუძლია ჩვენ შეგვაშინოს, რადგან 300 მილიონ მანეთზე მეტი ანუ 400 მილიონი მანეთი დიდი თანხაა. თუ კერძო კაპიტალის საერთო მოგება ამდენია, მაშინ ეს მოვლენა მართლაც მეტად დიდ საშიშროებას წარმოადგენს სოციალურ-კლასიური თვალსაზრისით.

ეს მოვლენა იმის აღმნიშვნელი იქნება, რომ ჩვენთან ბრძოლაში კერძო კაპიტალმა მეტად წინ წამოიწია.

მაგრამ ამ გამოანგარიშების დროს, ჩემი აზრით,—მხედველობაში მიღებული არ არის ერთი გადამწყვეტი მოვლენა. ეს თანხა სრულებითაც არ წარმოადგენს **წმინდა** მოგებას, რომელიც გამოხატავს კერძო კაპიტალისტურ დაგროვებას. ამიტომ არაფრის გზით არ შეიძლება ამ თანხის შედარება ჩვენს სახელმწიფო წარმოებათა, სახელმწიფო ვაჭრობის და ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის წმინდა მოგებასთან.

არ შეიძლება იმიტომ, რომ პირველ ყოვლისა, ამ თანხაში შედის კაპიტალისტური მწარმოებლის ანუ კაპიტალისტური მოვაჭრის მთელი საერთო მოგება, შედის ისიც, რასაც **იგი სჭამს.** ეხლა თქვენს წინაშე საერთო სურათი იშლება; საერთოდ რამდენი წარმოებაა, რომელნიც იძლევიან 319 მილიონ ანუ 585 მილიონ მანეთს მოგებას? ამ წარმოებათა რიცხვი უდრის—323.855. თუ თქვენ ყოველი ოჯახის შესანახად (რასაკვირველია, აქ შეიძლება მე დიდათ შევცდე, მაგრამ ამ შეცდომის გამოსწორება ადვილად შეიძლება) გადავსდებთ, მაგ., 80 მანეთს თვიურად,—წლიურად ეს შეადგენს დაახლოებით 1.000 მან., ე. ი. თქვენ ყველა წარმოებებზე წლის განმავლობაში შეჭმული გექნებათ 323 მილიონი მანეთი.

ამგვარად, 400 მილიონ მანეთი საერთო მოგებიდან შეჭმული აღმოჩნდება 323 მილიონი მანეთი. ეს თანხა უნდა გამოვაკლოთ საერთო მოგებას იმისთვის, რომ მივიღოთ **დაგროვების** ფონდი კერძო კაპიტალისტურ მეურნეობაში.

მაშასადამე, ეს ციფრი სრულიად შესადარი არ არის იმ ციფრთან, რომელიც გამოხატავს ჩვენი მრეწველობის **წმინდა** მოგებას.

ჩვენი მრეწველობის წმინდა მოგების მიხედვით, ჩვენ ვანგარიშობთ ჩვენი დაგროვების ფონდს, ე. ი. იმას, რაც შეიძლება მოხმარდეს წარმოების გაფართოებას. ამ ჯამში ჩვენ არ შეგვაქვს ტეხნიკური პერსონალის, სათანადო აპარატის და სხვ. შესანახი თანხა.

ხოლო, როცა ლაპარაკობენ კერძო კაპიტალზე, დაგროვების ფონდს, რომლის საშუალებით შეიძლება გაფართოვდეს წარმოება, ვერ არჩევენ საერთო მოგებისგან. მარტო ეს მცირე შესწორება სრულიად სცვლის საერთო სურათს, სხვანაირად აყენებს მოვლენებს.

მე გადავხედე მთელ რიგ ადგილობრივ კორესპონდენციებს კერძო კაპიტალის ზრდის შესახებ ცალკე რაიონებში; მაგ., ლენინგრადის რაიონში (უკიდურესი პოლუსი) კერძო კაპიტალი გამა შეწონვით უკან იხევს და მისი ხვედრითი წონა თანდათან კლებულობს. ჩვენს კავშირში არის ადგილები, სადაც ამ უკანასკნელ ხანებში კერძო კაპიტალმა პოზიციები განიმტკიცა. კერძო კაპიტალის მიერ თავის პოზიციების განმტკიცება ყველა ადგილებზე მეტად შემჩნეულია უკრაინაში. მაგრამ უკრაინაშიდაც, სადაც კერძო კაპიტალის ზრდა მაქსიმალურია, ამ ზრდამ მიაღწია მხოლოთ 1924 წლის ბოლოს, რადგან 1923 წლის შემდეგ ჩვენ დავიწყეთ კერძო კაპიტალის შევიწროება, და კერძო კაპიტალმაც უკან დაიხია; ეხლა კი ცოტაოდნად მოუშვით სადავეს, კერძო კაპიტალმაც დაიწყო შემოტევა და მიაღწია 1924 წლის ციფრს,—ეს მოხდა კერძო კაპიტალის შემოტევის **ყველაზე მეტად საშიშარ პუნქტში.** აი როგორია საქმის ვითარება.

უნდა ვსთქვა, თუ ჩვენ ავიღებთ სახელმწიფო მეურნეობას, კომუნალურ მეურნეობას და კოოპერაციას, მაშინ მივიღებთ, რომ 1924 —25 წელს ამ განზოგადებულ მეურნეობათა წმინდა მოგება ყოფილა 1.025 მილიონი მანეთი, ხოლო 1925—26 წლის სავარაუდო მოგება (მიმდინარე წლის მოგების გამოანგარიშება ჯერ დამთავრებული არ არის, ამიტომ მე ავიღე მხოლოთ სავარაუდო ციფრი) შეადგენს—1.586 მილიონ მანეთს. ეს წმინდა მოგებაა..

კიდეც რომ მივიღოთ კერძო ვაჭრისთვის კუტლერის მეტად ხელსაყრელი გამოანგარიშება და შევიტანოთ შიგ ჩემგან მოხსენებული შესწორება, ე. ი. საერთო მოგებას გამოვაკლოთ ის თანხა, რომელსაც კერძო კაპიტალი სჭამს,— ჩვენ მივიღებთ ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის მტკიცე პოზიციებს, პოზიციებს, რომელიც არავითარ შიშს არ იწვევს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ბედიღბლისთვის.

მე მგონია, რომ ჩვენი მეურნეობის შემდგომი მსვლელობა მომავალშიდაც განამტკიცებს ჩვენს პოზიციებს.

არ უნდა დავივიწყოთ კიდევ, რომ ჩვენ საქმით დავამტკიცეთ, რომ აშ დარგშიც შეგვიძლია მანევრების გაკეთება, რამდენიმე წლის წინათ, შედარებით დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, ჩვენ მაგრათ მოუჭირეთ ხელი კერძო კაპიტალს, არაჩვეულებრივი სისწრაფით დავახევინეთ მას უკან. შემდეგ, როცა დავინახეთ, რომ აქ ცოტა გადავაჭარბეთ, მოუშვით ლაგამი, ჩვენ შევსძელით ეს. ამ მეორე ხარისხოვანმა კონიუქტურულმა რყევამ უკვე სავსებით ნათლად დაამტკიცა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ეს მომწესრიგებელი როლი ჩვენში დიდია, რომ კერძო კაპიტალის მხრივ ნამდვილი საფრთხის დროს მოვიმარჯვებთ და დავეყრდნობით-რა ჩვენს საკრედიტო სისტემას,— ჩვენ უკვე გამოვსცადეთ ეს,—მოვიმარჯვებთ და დავეყრდნობით რა ჩვენს სარკინიგზო ტრანსპორტს, ჩვენს საგადასახადო აპარატს და მთელს ჩვენს სამეურნეო აპარატს, ჩვენ შევსძლებთ სასწრაფოდ დავახევინოთ უკან კერძო კაპიტალს,—თუ ეს მდგომარეობამ მოითხოვა. კლასობრივ ძალების იმ შეფარდებიდან, რომელიც არსებობს, თვითეულ ცალკე მომენტში ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ მთელი რიგი ჩვენთვის სავალდებულო დასკვნებისა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ კერძო კაპიტალი ახლა გადაიქრა სოფელში. მაშასადამე, ჩვენ პირველ რიგში გვესაჭიროება ჩვენი პოზიციების გამაგრება ქ. ჩვენ ვხედავთ, რომ კერძო კაპიტალი სულ მცირე ხნის წინათ ძლიერ ფართედ სარგებლობდა ჩვენივე სახელმწიფო კრედიტით. აქ საჭირო იყო ცოტა ხელის მოჭერა, ზოგიერთი ზომების მიღება.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენ კიდევ უნდა ვისწავლოთ კერძო კაპიტალისაგან ბრუნვის დაჩქარება, ვინაიდან იგი უფრო სწრაფად ატრიალებს თვის საშუალებებს, ვიდრე ჩვენი, მძიმე ტლანქი, მეტ წილად ბიუროკრატიული სახელმწიფო დაწესებულებები. ჩვენ ვხედავთ, რომ კერძო კაპიტალი მეტად ინტენსიურად სარგებლობს ანაბარების ამბარებლებით, განსაკუთრებით სხვადასხვა კონტრაგენტებით და თავისი კაპიტალის მინიმუმით, იზიდავს კერძო კაპიტალს. ჩვენ კი დღემდი ვერ მოგვიწესრიგებია ეს საქმე. ჩვენ დღემდი ვერ შევსძელით, როგორც საჭიროა გლეხობის მიერ დაგროვილი დოვლათის გამოყენება ჩვენი მრეწველობის, ჩვენი კოოპერაციის გასაძლიერებლად. აქაც საჭიროა ამ მდგომარეობიდან გამომდინარე ზოგიერთი დასკვნების გაკეთება. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ იმის ლაპარაკი, რომ ახლა ჩვენს თავზე, როგორც ქარიშხალის ღრუბელი ჩამოგვაწვა კერძო კაპიტალი—არ არის მართალი. ეს ყურადღების ღირსიც არ არის.

კლასობრივი დანაწილება სოფლად

ახლა რამოდენიმე სიტყვა სოფლის შესახებ. ამჟამათ ზოგიერთ ამხანაგებს საქმე ისე აქვთ წარმოდგენილი, თითქო დიფერენციაცია გლეხობას შორის ისე გაიზარდა, რომ საშუალო გლეხობის საკითხი თითქმის მოიხსნა, თითქმის აღარ არსებობს. სამწუხაროთ, ჩვენი სტატისტიკა აქაც მეტად მოიკოჭლებს. და დიფერენციაციის სრული სურათი, სრული სურათი იმისი, თუ როგორ მიმდინარეობს იგი უკანასკნელ ხანებში, ჩვენ არ მოგვეპოვება. მაგრამ მე მაინც მინდა გავაკეთო ერთი საერთო შენიშვნა, რომელიც, ჩემის აზრით, შეიძლება და უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. თუ თქვენ იღებთ რომელიმე წმინდა კაპიტალისტურ ქვეყანას და თუ გუნდ ისეთ კაპიტალისტურ ქვეყანას, რომელიც კაპიტალისტური გზით მეტად სწრაფად ვითარდება, მაშინაც კი ჩვენ მარქსისტები, ჩვენ ლენინელები (და თვით ლენინიც), ვაღიარებდით, რომ რაღაც ორი წლის განმავლობაში სურათი აქ არსებითად არ შეიცვლება, რომ თუმცა გლეხური მეურნეობის საშუალო ნაწილს ეცლება ნიადაგი კაპიტალისტური განვითარების პროცესში, მაგრამ მაინც ეს პროცესი გაცილებით უფრო ნელის ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე მრეწველობაში, სადაც უფრო სწრაფად ეცლება ნიადაგი საშუალო წოდებას, ქალაქის საშუალო ბურჟუაზიას. მაგრამ თუ ასეთი მდგომარეობაა კაპიტალისტურ მეურნეობაში და კაპიტალისტურ რეჟიმის დროს, რომელშიც კაპიტალისტური საზოგადოების მთელი მექანიკა ხელს უწყობს საშუალო გლეხობის მაქსიმალურის ტემპით დანაწილებას და გლეხობის მაქსიმალურის ტემპით დიფერენციაციას, ჩვენში, მიწის ნაციონალიზაციის პირობებში, დიფერენციაციის ასეთ სწრაფ ტემპს ბუნებრივათ ვერ ექნება ადგილი. ამას ამბობდა ლენინიც, მას არა ერთხელ აღუნიშნავს ეს ხაზგასმით. მე შემიძლია საბუთად მოვიყვანო მისი სიტყვა, რომელიც შემდეგ აღდგენილი იქნა გრამაფონის ფირფიტაზე და რომელიც ახლა გავრცელებულია საბჭოთა კავშირის ყველა სოფლებსა და ქალაქებში, როგორც ვლადიმირ ილიჩის ერთ-ერთი მთავარი პოპულიარული სიტყვა გლეხთა საკითხზე. ამ სიტყვაში იგი პირდაპირ ლაპარაკობს მიწის ნაციონალიზაციისა და საშუალო გლეხობის მნიშვნელოვანობის შესახებ სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით. და ამიტომ, როგორადაც არ უნდა გველაპარაკონ ჩვენ, ჩვენ ვერ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენში მნიშვნელოვანად შეიცვალა სურათი გლეხობის დიფერენციაციის მხრივ. ეს შეუძლებელია.

კოოპერაციის ზრდა

იმ მოვლენათა რიცხვში, რომლებიც ახასიათებენ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, როგორც ყველამ იცის, დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის, პირველ რიგში კი—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობასა და განვითარებას. თუ ჩვენ ავიღებთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ბალანსებს, ეს ბალანსი 1923 წ. 1-ლი იანვრიდან—1924 წ. პირველ იანვრამდე 4½-ჯერ გაიზარდა, 1924 წლის პირველი იანვრიდან 1925 წლის პირველ ოქტომბრამდე კი თითქმის ორჯერ (1,9-ჯერ*). სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ეს სწრაფი ტემპი არ საჭიროებს კომენტარიებს. იგი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად უდიდეს ნაკლულოვანებისა, რომლებიც ჩვენ გვაქვს ამ დარგში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ ვანვითარებთ მთელ იმ აუცილებელ ენერგიას, რომელიც აქ არის საჭირო,— მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვხედავთ აქ დიდ მუშაობას, რომელიც ფართოვდება.

საერთო ბალანსი ხელსაყრელია ჩვენთვის

ამრიგათ, თუ ჩვენი ქვეყნის საერთო სამეურნეო განვითარების ფაქტის ნათელყოფის შემდეგ დავსვამთ ჩვენს წინაშე კითხვას—საკითხს შეფარდებისას —ერთი მხრივ სახელმწიფო პოზიციებსა, სახელმწიფო მეურნეობის პოზიციებსა და მეორე მხრივ კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის შორის,—შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად კერძო კაპიტალის აბსოლიუტური ზრდისა, ჩვენი მეურნეობის **სოციალისტური ელემენტების პოზიციები** შედარებით განუწყვეტლივ **ძლიერდება.** უნდა აღინიშნოს, რომ სწორეთ ის სპეციალისტი კუტლერი, რომელზეც მე აქ მოვიხსენიე და რომელიც თავის გამოანგარიშებაში კერძო კაპიტალის დაგროვების მაქსიმალურ ციფრებს იძლევა, სწორეთ ეს მკვლევარი პირდაპირ აცხადებს, რომ კერძო კაპიტალის წილი შედარებით განუწყვეტლივ ეცემა, ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ მისი აზრით, კერძო კაპიტალის საერთო მოგება 400 მილიონზე მეტს შეადგენს, ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორი **უფრო სწრაფი ტემპით** იზრდება, კერძო კაპიტალის წილი კი კლებულობს. მაშასადამე, ეს მკვლევარიც კი აღიარებს, რომ ჩვენი ზრდა წინ უსწრებს კერძო კაპიტალის ზრდას, და ბოლოს და ბოლოს ხომ ეს არის **გადამწყვეტი** მოვლენა. თუ კერძო კაპიტალი გაიზარდა, ჩვენ კი მაინც უსწრებთ მას წინ, სწორეთ ეს არის ჩვენი ქვეყნის საერთო ზრდის და ამ ზრდის პროცესში მეურნეობის ფარგლებში ჩვენი პოზიციების გამაგრების მაჩვენებელი.

ამრიგად, ქალაქი, ქალაქის მრეწველობა და საერთოდ მრეწველობა წინ უსწრებს სასოფლო მეურნეობას—ეს ერთი; განსაზოგადოებრივებული სექტორი, ე. ი. სახელმწიფო მეურნეობა, კოოპერაცია, წინ უსწრებს კერძო კაპიტალის ზრდას—ეს ორი. ეს არის მთავარი დასკვნები. რომელთა გამოტანა შეიძლება ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის ანალიზიდან. თავისთავად ცხადია, რომ თუ მე ვლაპარაკობ ამ საბალანსო დასკვნების შესახებ, ამით სრულიად არ არის უარყოფილი, არამედ პირდაპირ იგულისხმება, რომ განვითარება სწარმოებს წინააღმდეგობათა გზით. მე იოტის ოდენაც არ დამიმალავს არც ჩემი თავისა და არც თქვენთვის (სისულელე იქნებოდა ამის დამალვა), კერძო კაპიტალის ზრდა; მე განზრახ მოგიყვანეთ თქვენ ციფრები, რომლებიც ყველაზე უფრო ნათლად, კერძო კაპიტალისათვის [illegible]. [illegible] მნიშვნელობით, რასაკვირველია,—ხელსაყრელობით ღებულობენ ამ კაპიტალის სიდიდეს და მის ხვედრითი წონას ჩვენს ქვეყანაში. და მაინც საერთო ბალანსი, რომელიც მხედველობაში იღებს ამ წინააღმდეგობებს და ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგის ძალების ზრდას—საერთო ბალანსი ხელსაყრელია ჩვენთვის, ხელსაყრელია მუშათა კლასისთვის, ხელსაყრელია მუშათა დიქტატურისთვის, ხელსაყრელია ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორისათვის.

პოლიტიკური მდგომარეობა

შევეხოთ ეხლა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას. აქ მე ვეცდები. რაც შეიძლება მოკლედ ვილაპარაკო, რადგან არსებითად ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელიც იქმნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

გლეხების დაწყნარება

თუ ჩვენ ავიღებთ საერთო სურათს, თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ ერთი გადამწყვეტი მომენტი, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს—ეს არის გლეხობის დაწყნარება და საშუალო გლეხთა მასების დამშვიდება.

ჩვენ ეხლა ისეთი ჩქარი ტემპით მივექანებით, რომ ხშირად გვავიწყდება. როგორ იყო ჩვენი საქმე შედარებით უახლოეს წარსულში. თუ თქვენ აღადგენთ თქვენს მეხსიერებაში მე-14 პარტიული კონფერენციის წინა დროს, თუ კიდევ ამის წინ რამოდენიმე თვესაც გაითვალისწინებთ, მაშინ გაიხსენებთ—როგორი აღშფოთებული განწყობილება იყო გლეხთა ფართე მასებში და მათ შორის საშუალო და ღარიბ გლეხობის წრეებშიც. ძალიან ბევრ ადგილებში საშუალო გლეხობა მისდევდა კულაკებს და აქტიურად გამოხატავდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმ უკმაყოფილებას, რასაც სოფლის კულაკური ელემენტები ჩასძახებდენ მას ყურში. ჩვენ შეგვიძლია ეხლა აღვნიშნოთ სოფლის საერთო დამშვიდება და საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მიმართ ნდობის გაზრდა, რომელიც გახდა სწორი პოლიტიკური გეზის პირდაპირ შედეგად და პირველ რიგში საბჭოების გამოცოცხლებისა და რევოლიუციონურ კანონიერების კურსის შედეგად; მეორეს მხრით დამშვიდობას ხელს უწყობდა ჩვენი საბჭოთა ორგანოების სისტემის მოწესრიგება და მთელი რიგი შეღავათებისა სასოფ.-სამეურნეო გადასახადებში რომელიც ჩვენ მოვახდინეთ. არ შეიძლება გლეხთა მასების დამშვიდების საკითხის განხილვა პროლეტარული დიქტატურის საკითხის განმტკიცების გარეშე. პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებისათვის გლეხთა მასების პოლიტიკური მდგომარეობა ერთ-ერთ მთავარ გადამწყვეტ ფაქტორთაგანია. პროლეტარული დიქტატურა არასოდეს არ იქნება მტკიცე, თუ ის გლეხობასთან საერთოდ და განსაკუთრებით საშუალო გლეხობასთან საომარ განწყობილებაში იქნება. ამხ. ლენინის შემთხვევით და ჰაერზე არ უთქვამს, რომ პროლეტარული დიქტატურის უაღრესი პრინციპი არის გლეხობასთან კავშირი.

ეს არ იყო შემთხვევითი ფრაზა, შემთხვევით გადმოსროლილი სიტყვა. ეს იყო და დარჩება ლენინის მოძღვრების მთავარ დებულებად.

ჩვენი გლეხობის წრეებში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლო პოლიტიკური ტემპერატურის შეცვლა, როგორც ხედავთ, ხდება არა მათი პასიურობის, არამედ ჩვენი გლეხობის აქტიურობის ზრდასთან ერთად და ეს არის ერთი უდიდესი მიღწევა ჩვენ ქვეყნის შინაური პოლიტიკის სფეროში. ეს არის პროლეტარიატის დიქტატურისა და ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის განმტკიცება.

ჩვენს ზრდას საზღვარგარეთაც აღიარებს

ჩვენი ქვეყნის ძალების ასეთი დალაგება, რომელიც თავის მხრით ემყარება ჩვენი ეკონომიკის ზრდასა და ამ ეკონომიკაში სოციალისტური მეურნეობის ხვედრითი წონის გაძლიერებას, რა თქმა უნდა გამოიწვევდა და აუცილებლად უნდა გამოეწვია ძალთა გადაჯგუფება საერთაშორისო ასპარეზზედაც. ჩვენ ზრდას სცნობენ ჩვენი მტრები და ეს ზრდის ფაქტი, ერთის მხრით, აიძულებს მათ ივაჭრონ ჩვენთან, აწარმოვონ მოლაპარაკება და სხვა, მეორეს მხრით-კი ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს ზრდას. მე მაქვს მხედველობაში ინგლისის მთავრობისა და ინგლისის ბურჟუაზიის სხვადასხვაგვარი მზადება ჩვენი კავშირის ფინანსიური და ეკონომიური ბლოკადისათვის.

რაც შეეხება ჩვენს ნახევრად მეგობრულ ხალხს, ან ფართე მასებს, ან თუნდაც სოც.-დემოკრატიულ ფენებს, ეხლა ამხანაგებო, მათთვის ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი ზრდის ფაქტი და სოციალისტური ელემენტების გაძლიერება ბურჟუაზიულ სიცრუის ბურუსიდან თანდათან გამოდის, გზას იკვლევს და გასაგები ხდება თვით სოც.-დემოკრატიისთვისაც, რაც გამოიხატება, თუნდაც იმ დელეგაციებში, რომლებიც ასე ხშირ-ხშირად გვესტუმრებიან ხოლმე. გუშინ დელეგაციასთან ერთად ჩამოსული ერთი ამხანაგი კომუნისტი ამბობდა; „ეხლა გერმანიაში, ვინც არ უნდა ილაპარაკოს იმაზე, რომ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა სოციალისტური მრეწველობა არ არის, რომ ჩვენი მუშების რიცხვი კლებულობს, რომ საერთოდ ჩვენში ყველაფერი უკან მიექანება—ის დაკარგავს ნდობას თვით სოც.-დემოკრატიულ წრეებშიაც-კი, რადგან ეს იქნებოდა ბურჟუაზიული პრესისა და რეაქციონურად განწყობილ სოც.-დემოკრ. ბელადების სიცრუის განმეორება.

ჩვენ ვიზრდებით უფრო ჩქარა ვინემ მოწინააღმდეგენი

აი მოკლე მიმოხილვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. რასაკვირველია, ცხადია, რომ ჩვენი მოწინააღმდეგის ძალები იზრდება, როგორც სამეურნეო ისე პოლიტიკის სფეროშიაც. ცხადია, ჩვენ უნდა დავინახოთ ის პოლიტიკური საფრთხე, რომელიც ჩვენ წინ არის წამოჭრილი. ცხადია, ჩვენ უნდა ვხედავდეთ კულაკის, ნეპმანისა და მასთან მოკავშირე ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ჯგუფის და სხვების საფრთხეს. ჩვენ ისინი მუდამ მიზანში უნდა გვყავდეს ამოღებული. ჩვენ მუდამ თვალყურს უნდა ვადევნებდეთ, თუ როგორ იზრდება ეს საფრთხე. ეს მართალია, და ჩვენ ვიქნებოდით სულელი პოლიტიკოსები, რომ ამ მოვლენისთვის არ მიგვექცია ჩვენი ყურადღება, მაგრამ, როცა ჩვენ საერთო ჯამს ვაკეთებთ, როცა გვინდა სწორი პროპორცია ავიღოთ სინათლესა და ჩრდილს შორის, ჩვენი ზრდასა და ჩვენი მოწინააღმდეგების ზრდას შორის, ჩვენს მიღწევებსა და იმ ნაკლულოვანებებს შორის, რომელიც ჩვენა გვაქვს, ჩვენი საერთო ძალებისა და ჩვენი მოწინააღმდეგის ძალების ზრდას შორის. მაშინ ჩვენ აქ ჩვენთვის უნდა ვთქვათ სიმართლე: საერთოდ ჩვენ უფრო ჩქარა ვიზრდებით, ვინემ ჩვენი მოწინააღმდეგენი, არავითარი საშიშარი ღრუბელი ჩვენ თავზე არ არის და საერთოდ ჩვენ ვდგევართ სწორ გზაზე.

პარტიის იდეური უთანხმოებანი ოპოზიციასთან

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის მოკლე მიმოხილვის შემდეგ გადავიდეთ საკითხებზე, რომელნიც ნაწილობრივად ოპოზიციონერი ამხანაგების მიერ დასმულ იქნა ცეკას პლენუმზე, ნაწილობრივად წამოიჭრა პლენუმის გარშემო და მასთან დაკავშირებით, ნაწილობრივად კი გამომჟღავნდება ოპოზიციონერ ლიტერატორების, ჟურნალისტების, თეორეტიკოსების, ეკონომისტების წერილებში.

მე ჩემს მოხსენებას დავყოფ მთელ რიგ ძირითად პრობლემებად, რომელნიც ამჟამად დგანან ჩვენი პარტიის წინაშე და რომელთა შეფასებაზედაც არის დამოკიდებული ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი პოლიტიკური პოზიცია, ჩვენი დასკვნები, რომელნიც ჩვენ უნდა გავხადოთ ჩვენი პოლიტიკის სახელმძღვანელოდ, ჩვენი პარტიის სახელმძღვანელოდ.

ეკონომიური პოლიტიკა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით

უპირველეს ყოვლისა მე ვიღებ პირველ პრობლემას, რომელსაც მე დავარქმევდი ეკონომიური პოლიტიკის პრობლემას ინდუსტრიალიზაციის საკითხთან დაკავშირებით.

მე შევეცდები მოკლედ მაინც განვიხილო ოპოზიციონერი ამხანაგების თეზისები, რომელთა შეერთებაც წარმოადგენს ოპოზიციის შეხედულებათა ერთიან სისტემას, მათ პლატფორმას ეკონომიურ საკითხებში, პლატფორმას, რომელსაც ისინი უპირდაპირებენ საერთო პარტიულ პლატფორმას.

პირველი თეზისი, რომელსაც ისინი აყენებენ, ეს არის თეზისი მრეწველობის უკან დახევის, და სასოფლო-მეურნეობისა და სახელმწიფო მრეწველობის შორის სახელმწიფო მრეწველობისათვის საზარალო შეუფარდებლობის ზრდის შესახებ, ეს თეზისი რამდენიმედ უკვე საკმაოდ ამოვწურე ჩემი მოხსენების შესავალში. ყოველგვარი ოპოზიცია ყოველთვის აზვიადებს, მაგრამ გაზვიადებასაც ერთგვარი საზღვარი უნდა ჰქონდეს. ჩვენი ოპოზიციონური ამხანა-ბი კი ამტკიცებენ, თითქოს ჩვენი მრეწველობა სასოფლო-მეურნეობასთან შედარებით უკან იხევდეს, თითქოს ჩვენი მრეწველობა ისეთი სისწრაფით არ ვითარდებოდეს, როგორც ჩვენი სასოფლო-მეურნეობა, თითქოს მრეწველობის ასეთი უკან დახევა ჩვენი პარტიის პოლიტიკის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის პოლიტიკის ბრალი იყოს. ჯერ კიდევ 1923 წლის დისკუსიის დროს ფასების პოლიტიკის შესახებ გამართულ დავაში, როგორც გახსოვთ, ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბრალს სდებენ მასში, რომ იგი ხელს უწყობს მრეწველობის უკან დახევას და განსაკუთრებით,—თავის ფასების პოლიტიკით იგი აფერხებს ჩვენი მრეწველობის ზრდას. მაგრამ თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, როგორი პასუხი მისცეს ფაქტებმა ამ ბრალდებას. 1923 წლის დისკუსიის მიმდევნო წელშივე ჩვენმა მრეწველობამ 60%-ით წინ წაიწია. შემდეგ წელიწადში ჩვენმა მრეწველობამ კიდევ 40%-ით გადადგა წინ ნაბიჯი, ე. ი. იგი ვითარდებოდა მეტის მეტად სწრაფ ტემპით. თვით თეზისი ჩვენი მრეწველობის უკან დახევის შესახებ ემყარება **ფაქტიურად არა სწორ ციფრებს.** ჩემი მოხსენების შესავალში თქვენ დაინახეთ, რომ საერთო ბალანსი ეს უეჭველი ბალანსია, რომელიც გვიჩვენებს ინდუსტრიის უფრო მეტ ზრდას სასოფლო-მეურნეობასთან შედარებით.

მეორე თეზისი, რომელსაც აყენებს ოპოზიცია ეკონომიურ პოლიტიკის დარგში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, არის თეზისი მის შესახებ, რომ საჭიროა ამჟამად ვაწარმოოთ უფრო ინტენსიური სამრეწველო პოლიტიკა და პირველ ყოვლისა, ვაწარმოოთ იგი ჩვენი მრეწველობის პროდუქტებზე ფასების გადიდების საშუალებით. ცეკას პლენუმზე ოპოზიციის სახელით ამხ. პიატაკოვი ამტკიცებდა, რომ ერთი-ერთი ღონისძიება მათ შორის, რომელიც მისი აზრით ეხლავე მიღებული უნდა იქნეს, არის სახელმწიფო-სამეურნეო ორგანოების მიერ ჩვენი მრეწველობის პროდუქტებზე გაცემითი ფასების გადიდება. ისინი ფიქრობენ, რომ უფრო მალე მივაღწევთ ქვეყნის ინტენსიურ ინდუსტრიალიზაციას, თუ ვაწარმოებთ ჩვენი მრეწველობის პროდუქტებზე არა ფასების დაკლების, არამედ ამაღლების, **—საბითუმო და გაცემითი ფასების გადიდების პოლიტიკას.**

ჩვენ ეს პოლიტიკა სწორად არ მიგვაჩნია და ვერც გავყვებით მას.

ვერ გავყვებით არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი მრეწველობის პროდუქტებზე (რომელთა დიდი ნაწილი იხმარება ქალაქში და შედის ერთ-ერთ ელემენტათ მუშის ხელფასის შემადგენლობაში) ფასების აწევა საფრთხეს წარმოადგენს ხელფასისა და ჩვენი ვალიუტის სიმტკიცისათვის.

ამ პოლიტიკას ვერ გავყვებით იმ მოსაზრებითაც, რომ ეს პოლიტიკა არა თუ გვიშველიდა თავი დაგვეხწია ჩვენი სამრეწველო ორგანიზაციების მთავარი ბოროტებისგან — ბიუროკრატიზმისგან, უმოძრაობისაგან, თვით მრეწველობაში და სავაჭრო აპარატებში დანარითი ხარჯების მეტის-მეტი სიდიდისაგან, შრომის არარაციონალური დაყენებისგან,—პირიქით ხელს შეგვიშლიდა თავიდან მოგვეცილებია ზემოდ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა ბოროტებანი, რომელნიც ჩვენი მრეწველობის ძირითად ნაკლულოვანებებს წარმოადგენენ. ჩვენ რომ ეხლა შევაჩვიოთ ჩვენი მრეწველობა და სამეურნეო ორგანოები ფასების ამაღლების პოლიტიკას, მაშინ ჩვენი სამეურნეო მუშაკები თითსაც კი არ გაანძრევენ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ საქმის დაყენება, შეამცირონ არაწარმოებითი და დანარითი ხარჯები, რაციონალურად დააყენონ საქმე, შეამცირონ თვითღირებულება, გააუმჯობესონ პროდუქციის ღირსება და სხ. ყოველგვარ **მონოპოლიის**

---

1) „План. хоз." № 3. Бюллетень „Динамика Нар. хоз. СССР", 1926 г.

2) „План. хоз." № 1. ст. ст. Гухмана, „Сумма доходов СССР", 1926 г.

3) „План. хоз." № 4 Статьи т. т. Кржижановского и Струмилина.

4) „План. х з." № 12, 1926 წ. ამხ. ბუ[illegible] წერილი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანასახში არის ერთნაირი მატლი, გახრწნის, მოდუნების ერთგვარი საფრთხე. კერძო კაპიტალისტი, კერძო მწარმოებელი ხომ მუდამ წინ მიჰყავდა კონკურენციას. თუ სიდოროვი ცუდათ ვაჭრობს, თუ მას დანართი ხარჯები აქვს, ხოლო ივანოვს კი ეს ხარჯები ნაკლები აქვს, კონკურენცია წელში სწყვეტს სწორედ იმ მწარმოებელს, ვისაც მეტი დანართი ხარჯები აქვს.

ჩვენ კი არსებითად ხელში გვაქვს მთელი მსხვილი მრეწველობა, ჩვენ ხელთა გვაქვს სახელმწიფო ზემონოპოლია, ყველაფერი ძირითადი და მთავარი ჩვენს ხელშია—თუ ჩვენ ასეთ პირობებში არ ვაიძულებთ ჩვენი მრეწველობის ხელმძღვანელებით გააიაფონ წარმოება, წასწიონ იგი წინ და გაუმჯობესონ, მაშინ ჩვენ დავდგებით გახრწნის საშიშროების წინაშე. იმის ნაცვლად, რაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში კონკურენციით კეთდება და ისიც ჩვენ არა გვაქვს (თუ გვაქვს ძალიან მცირე რაოდენობით), ჩვენ უნდა მივმართოთ შეგნებულ პოლიტიკას, მასების მოთხოვნილებიდან გამომდინარე პოლიტიკას, რომელიც გვიკარნახებს: **აწარმოვე უკეთესად, აწარმოვე უფრო იაფად, გამოიტანე უკეთესი საქონელი, გამოიტანე უფრო იაფი საქონელი.**

თუ ჩვენ გვერდს აუხვევთ ფასების პოლიტიკაში ამ პრინციპიალურ დებულებას, ჩვენ არა თუ ვერ შევასრულებთ ლენინის მცნებას, რომლის მიხედვით ჩვენმა **მრეწველობამ სოფლის მეურნეობას უნდა მისცეს პროდუქტები უფრო იაფად, ვიდრე კაპიტალისტი აძლევდა,** პირიქით ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ამოვყოფთ თავს, რომ მუშების დიდი ნაწილი, ხოლო 1000-ჯერ მეტს გლეხობა, გვეტყვის: რატომ მოკიდეთ იმ საქმეს ხელი, თუ თქვენი მეურნეობა იწვევს თქვენი მრეწველობის პროდუქტების გაძვირებას? თქვენ არაფერი გესმით მეურნეობის წარმოებისაო.

ჩვენ პრაქტიკით უნდა დავამტკიცოთ, **რომ ჩვენ მეურნეობის წარმოების უნარი** გვაქვს, და ამიტომ ამ მიმართულებით ჩვენი ძირითადი საზრუნავი საგანი უნდა იქნეს **ფასების თანდათანობითი დაკლების პოლიტიკა, თვითღირებულების შემცირების, ჩვენის სახელმწიფო სამეურნეო აპარატის მოწესრიგების საშუალებით.**

კერძო მეურნეობის საკითხის ანალიზის დროს მე უკვე ვსთქვი, რომ კერძო ვაჭარი კაპიტალს აბრუნებს უფრო სწრაფად, რომ მას ნაკლები აქვს დანართი ხარჯები, რომ იგი უფრო ახერხებს მომჭირნეობას და სხვა, ხოლო ჩვენი აპარატები არიან უძრავნი, მოუხეშავნი, რომელნიც მეტად ზანტად აბრუნებენ კაპიტალს და აქვთ დიდი დანართი ხარჯები. ეს არის რომ ჩვენ გვსპობს. იმისათვის რომ ჩვენ თავი არ შევირცხვინოთ კერძო მოვაჭრის წინაშე, ჩვენ თვითონვე უნდა გამოვსწორდეთ; იმისათვის, რომ გაუმჯობესებულ იქნეს ჩვენი პროდუქციის ღირსება, რომ გაიაფდეს ჩვენი საქონელი, და იმისათვის, რომ გლეხობასთან ეკონომიური კავშირი უფრო მნიშვნელოვანი გახდეს, ამისათვის ჩვენ ყოველ ღონეს უნდა მივმართოდ, რომ კი არ ავამაღლოდ, არამედ შევამციროდ ფასები.

აი ეს არის ოპოზიციის მე-2-ე თეზისი. ოპოზიციას ჰგონია, რომ ამ გზით მალე მივაღწევთ მრეწველობის გაფართოებას, ხოლო ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს არის ილიუზია, თავის მოტყუება, სიყალბე. მაღალი ფასების და ფასების გადიდების პოლიტიკა ჩვენ მიგვიყვანდა ჩვენი მრეწველობის შეჩერებამდე, გახრწნამდე,—მაშინ ჩვენი მრეწველობა გულდამშვიდებული იფიქრებდა, რომ იგი მუდამ და ყველაფერს დააკმაყოფილებდა სახელმწიფო ხაზინის თანხების საშუალებით და ხელს არ გაანძრევდა იმისათვის, რომ წინ წასულიყო და გამხდარიყო ჩვენი ეკონომიკის ტეხნიკური და ეკონომიური განვითარების ფაქტორი.

მესამე თეზისი, რომელიც ამასთან დაკავშირებით განხილული უნდა იქნეს და რომლის შესახებ აქ ცოტა რამ მაინც უნდა ითქვას — არის თეზისი კერძო კაპიტალის მხრით სასტიკ საშიშროების შესახებ.

ეს თეზისი მე განვიხილე ჩემი მოხსენების პირველ ნაწილში, მაშინ მე ავიღე კერძო კაპიტალისთვის ხელსაყრელი გამოანგარიშებანი და, მე მგონია, დავამტკიცე, რომ ეს გამოანგარიშებანი სრულებითაც არ გვაუწყებენ საშიშ მდგომარეობას, რომელიც თითქოს ჩვენ უნდა მოგველოდეს.

და დასასრულ **მეოთხე თეზისი,** რომელსაც აყენებს ოპოზიცია, ეს არის დებულება არსებითად იმის შესახებ, თითქო ჩვენი სამეურნეო ორგანოები სავსებით გადაგვარდენ, თითქოს სრულებით მასებს ჩამოშორდენ, თითქოს სახელმწიფო სამეურნეო, პროფესიონალური, კოოპერატიული, პარტიული ორგანოები,—პირველ რიგში სახელმწიფო ორგანოები დაუკავშირდენ ნეპმანებს, კულაკებს და სხვ. ამის შესახებ უნდა განვაცხადო: ასეთი გადაგვარების ტენდენციას ბიუროკრატიზაციის გამო მართლაც აქვს ადგილი, და ეს სადავო არ არის, მაგრამ დიდად სადავოა, წარმოუდგენლად სადავოა თეზისი იმის შესახებ, თითქოს ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა უკვე გადაგვარდა, თითქოს იგი უკვე აღარ წარმოადგენდეს მუშათა კლასის მრეწველობას; ამის დამტკიცებისაკენ კი მიდიან და თითქმის კიდეც მივიდენ ჩვენი ოპოზიციონერები. **ჩვენი მრეწველობა არის მუშათა კლასის მრეწველობა ბიუროკრატიული ნაკლულოვანებებით.** აი როგორ ვაყენებთ ჩვენ საკითხს. ამიტომ ბრძოლა ბიუროკრატიზმთან უნდა იქცეს ერთ-ერთ მთავარ ცენტრალურ ამოცანად და ამ მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ მართლაც ჩვენი ენერგია, მაგრამ იმ მდგომარეობიდან მაინც შორსა ვართ, რომ წამოვაყენოთ თეზისი, რომელსაც აყენებენ ოპოზიციონური ამხანაგები.

საკითხი გლეხობის შესახებ

ასეთია მდგომარეობა პირველი საკითხისა—ეკონომიური პოლიტიკის შესახებ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით. ეხლა მე გადავდივარ მეორე საკითხზე, მეტად დიდ და ერთ გადამწყვეტ მნიშვნელობის მქონე საკითხთაგანზე, სახელდობრ **გლეხობის** საკითხზე. მისი ეკონომიურ ნიადაგზე დაყენებით. თუ უპირველეს ყოვლისა თეორეტიულად მიუდგებით ამ საკითხს, მაშინვე გვეცემა თვალში, **პირველი,** ერთი მუხლი, რომელზედაც მივაქცევ თქვენს ყურადღებას, იმიტომ, რომ იგი ძევს საფუძვლად როგორც ცნობილი, ასე ვსთქვათ თეორეტიული დასაყრდენი, რომლიდანაც გამოდის „ახალი ოპოზიციის“ იდეოლოგები ამა თუ იმ კერძო საკითხის გადაწყვეტის დროს, რომელიც გლეხობას შეეხება. და აი, აქ ყოველივე ამის საფუძვლად ძევს კერძო კაპიტალის გათანაბრება გლეხობასთან, **გლეხების მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობაში არევა,** საზოგადოდ კერძო მეურნეობის გათანაბრება კერძო-კაპიტალისტურ მეურნეობასთან, ვერ გაგება იმისა, რომ შესაძლოა არსებობდეს არაკაპიტალისტური კერძო მეურნეობაც. ამის შესახებ ლაპარაკი იყო ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობაზე კამათის დროს, მაგრამ ყოველივე ამან ეხლა უკვე მიიღო თავისი, ასე ვთქვათ, დამთავრებული ჩამოყალიბება.

მე, უპირველეს ყოვლისა, მივაქცევ თქვენს ყურადღებას ოპოზიციის ყველა წინადადებათა, განწყობილებათა, დებულებათა, თეზისთა და სხ. თეორეტიულ განზოგადოებაზე, ამხ. პრეობრაჟენსკის წიგნზე „ახალ ეკონომიური პოლიტიკის შესახებ“. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ამ წიგნში განხილულია ისე, რომ ერთის მხრით არი სახელმწიფო მეურნეობა, და მეორე მხრით,—კერძო მეურნეობა, და მეტი არაფერი; ამასთანავე, განიგივებული არის კერძო კაპიტალისტური მეურნეობა, გლეხის წვრილი მეურნეობა და საზოგადოდ კერძო მეურნეობა—ღატაკი გლეხობის მეურნეობა, საშუალო შეძლების გლეხობის მეურნეობა და სხ. ეს, რასაკვირველია, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. როდესაც ლენინი აყენებდა თავის საკითხს: „ვინ-ვის“: ჩვენ კაპიტალისტებს, თუ კაპიტალისტები ჩვენ, იგი, უპირველეს ყოვლისა, ამ საკითხს სვამდა ასეთი თვალსაზრისით: **ვინ დაიპყრობს, ვინ გადაიბირებს თავის მხარეზე გლეხობას,** ჩვენ გადავიბირებთ ჩვენს მხარეზე თუ კაპიტალისტები გადაიბირებენ თავის მხარეზე გლეხობის ძირითად მასსას? გლეხის მეურნეობა ამხ. ლენინის კონცეპციით, პირველ ყოვლისა მოწინააღმდეგე კლასიურ ძალთა ზეგავლენის ობიექტს წარმოადგენს. და როდესაც ჩვენ ვსვამთ საკითხს—„ვინ-ვის“, მაშინ ეს საკითხი, თავის ძირითად საფუძველში, სწყდება სწორედ იმით, **თუ ვინ გაიყოლიებს ვინ გადაიბირებს გლეხობას.** ჩვენ თუ ისინი, მუშათა კლასი თუ კაპიტალისტური კლასი. თვით გლეხობა არის ის ბარჯა, რომლისათვისაც სწარმოებს ბრძოლა, ერთის მხრით მუშათა კლასსა და მეორე მხრით კაპიტალისტებს შორის. ამიტომ განიგივება კერძო კაპიტალისტური მეურნეობისა და გლეხის მეურნეობისა, მთელი მისი შედეგებით, ეს არის საკითხის უმეცრული დაყენება, რომელიც ნათლად და აშკარად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ამბობდა ამხ. ლენინი.

ამასთან დაკავშირებით სდგას **მეორე საკითხი** ამ გლეხთა საკითხების სერიიდან: გლეხის მეურნეობიდან, საზოგადოდ კერძო მეურნეობიდან თანხების აღება და ინდუსტრიისა და სახელმწიფო მეურნეობის საჭიროებისათვის გაყენება. აქ ყოვლად შეუძლებელია საკითხის გამარტივება. სრულიად ცხადია, რომ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა უნდა იზრდებოდეს არა მარტო იმის ხარჯზე, რასაც ქმნის მუშათა კლასი ამ სახელმწიფო მრეწველობაში, არამედ ჩვენ აუცილებლად უნდა გადმოვიტანოთ თანხები არა სამრეწველო რეზერვუარიდან, მრეწველობისა და მისი აღმშენებლობის საჭიროებისათვის, მათ შორის ჩვენ განსაზღვრული თანხა უნდა გადმოვიტანოთ გლეხის მეურნეობიდანაც; გლეხობაც, სწორედ ასევე უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს სოციალისტურ მრეწველობის აღმშენებლობაში და ამიტომ ის, რაც შემოდის გადასახადებიდან, სამრეწველო მოგებიდან იმ საქონელზე, რომელსაც ჩვენ ვყიდით გლეხობაზე, და სხვადასხვაგვარ შემოსავლიდან, ყოველივე ამას ასე თუ ისე ვიღებთ გლეხობიდან.

არ იქნებოდა სწორი, რომ გვემსჯელა ასე: მრეწველობა უნდა გაიზარდოს მხოლოდ იმის ხარჯზე, რასაც ქმნის თვით ეს მრეწველობა. მაგრამ მთელი საკითხი მდგომარეობს იმაში: **რამდენი** შეგვიძლია ავიღოთ გლეხობისაგან ამ მრეწველობის აღმშენებლობისათვის, **როგორი მეთოდებით,** სადაა **საზღვარი** ამ გადატანისა, **როგორ** უნდა ვაწარმოოთ ჩვენი ანგარიშები, რომ საუკეთესო კეთილ საყურეველი შედეგი მივიღოთ,—ამაშია საკითხი. აქაა—განსხვავება ჩვენსა და ოპოზიციის შორის. განსხვავება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ოპოზიციონური ამხანაგები მომხრენი არიან ამ თანხების ზომაზე მეტად გადატანისა, გლეხობის შევიწროვებისა, რომელიც ჩვენის აზრით, ეკონომიურად არარაციონალურია და პოლიტიკურად დაუშვებელი. ჩვენი პოზიცია იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ამ თანხების გადატანაზე, არამედ იმაში, რომ ჩვენ გაცილებით უფრო ფხიზლად ვითვალისწინებთ ყოველივე იმას, რაც გათვალისწინებულ უნდა იქმნას და ვმოქმედებთ ისე, რომ გვერდი არ აუხვიოთ სამეურნეო და პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინციპს. თუ საკითხს დავსვამთ ისე, როგორც სვამს, ვსთქვათ, ამხ. პრეობრაჟენსკი და მასთან ერთად მთელი რიგი სხვა ამხანაგებისა, რომლებიც ვერ ამჩნევენ განსხვავებას კერძო კაპიტალისტურ მეურნეობისა და გლეხის მეურნეობას შორის, მაშინ თავის თავად ცხადია, რომ საზღვარზე ზრუნვა—ზედმეტი საქმეა, ან თითქმის ზედმეტი საქმეა, ვინაიდან კერძო კაპიტალისტისაგან ჩვენ უნდა შივიღოთ ყველაფერი, რის აღებაც კი შეიძლება, მხოლოდ ის დარჩეს ცოცხალი, რამდენადაც იგი გამოგვადგება შემდეგში „საწველად“. მაგრამ გლეხის მეურნეობის მიმართ ჩვენ არა გვწამს ისეთი თვალსაზრისი, როგორც კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის მიმართ. ისეთი საერთო ფორმულის გამომუშავება, რომელიც გამოსადეგი იქნება საშუალო შეძლების გლეხისათვისაც, კულაკისათვისაც, ღარიბი გლეხისათვისაც, და სხვებისათვისაც, როგორც ამას სჩადის პრეობრაჟენსკი, ყოვლად შეუძლებელია. საკითხის ასეთ დასმას თეორეტიულ დარგში, ჩვენ მივყავართ სხვადასხვაგვარ დასკვნებისაკენ პრაქტიკული პოლიტიკის დარგში. ოპოზიცია გვირჩევს, როგორც უკვე ვსთქვი: „აიღე, რაც შეიძლება ბევრი, თუ გლეხს ძვირად მიყიდი, მეტს გამოართმევ მასო“. „მეტი აიღე“,—ამაშია ოპოზიციის მთელი სიბრძნე. ერთი ოპოზიციონერი ამხანაგთაგანი, ოსოვსკი, რომელმაც წერილი გამოგზავნა „ბოლშევიკში“, რომელსაც ჩვენ მოვათავსებთ სადისკუსიო წესით, ამბობს, რომ ჩვენ გლეხობისაგან ნაკლებს ვიღებთ, ვიდრე მეფის დროს იღებდენ, ჩვენ მეტი უნდა ავიღოთ და მაშინ მოეღება ბოლო ყოველივე უბედურებასო. ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი მსჯელობა, არ შეგვიძლია არა მარტო იმიტომ, რომ ეს იქნებოდა წინააღმდეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ გლეხობის მიმართ, არამედ იმიტომაც, ვამტკიცებ მე, რომ ეს ეკონომიური მიზანშეწონილების თვალსაზრისით არაა სწორი მსჯელობა. ეს გულუბრყვილო ილიუზიაა, ეს თავის მოტყუებაა. ფიქრი იმაზე, რომ საქმის ასეთი ვითარების დროს განვითარდება ჩვენი მრეწველობა სწრაფის ტემპით,—ეს სასაცილოა. მოვიყვანოთ დაახლოვებითი მაგალითი. შეიძლება გლეხობისაგან ამ წელში ავიღოთ ათჯერ მეტი, ვიდრე ვიღებთ ეხლანდელი ანგარიშით, და მთელი ეს თანხა დავაბანდოთ მრეწველობაში. მაგრამ რა იქნება შემდეგ? შემდეგ წელში ჩვენ გვექნება სრულიად უვარგისი სახალხო მეურნეობა, აღარ გვექნება ნედლეული და ბამბა, პური ექსპორტისათვის და სხ. მრეწველობაში ჩვენ დავაბანდებთ უდიდეს კაპიტალს და ამით გავალატაკებთ გლეხობას. ფიქრი იმაზე, რომ ამით უზრუნველვყოფთ მრეწველობის განვითარების უსწრაფეს ტემპს, უმეცრება იქნებოდა, იმიტომ რომ მახლობელ წლეებში ჩვენ შევეხეჩებოდით ბაზრის სივიწროვეს,—ჩვენ საქონლის მყიდველი აღარ გვეყოლება.

ჩვენ განგებ ავიღეთ დაახლოვებით მაგალითი. აქედან თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ, რომ მრეწველობის განვითარების უსწრაფესი ტემპი უზრუნველყოფილი არ იქნება იმ მაქსიმალური თანხის რაოდენობით, რასაც ჩვენ ავიღებთ სასოფლო-მეურნეობიდან. ეს არც ისე მარტივია. თუ ჩვენ დღეს ვიღებთ ნაკლებს, ამით ჩვენ ხელს უწყობთ მეტ დაგროვებას სასოფლო-მეურნეობაში და ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი სამრეწველო პროდუქტების მეტ მოთხოვნილებას. სასოფლო-მეურნეობისათვის მეტი შემოსავლის უზრუნველყოფით, ჩვენ შევსძლებთ, რომ ამ დიდი შემოსავლიდან მომავალ წელში ავიღოთ მეტი, ვიდრე წინა წელში ვიღებდით, და მომავალ წლებისათვის უზრუნველვყოთ კიდევ უფრო მეტის აღება, კიდევ უფრო მეტი შემოსავლის მიღწევა ჩვენი სახელმწიფო მრეწველობისათვის. თუ ჩვენ პირველ წელში, ასეთი პოლიტიკის მეოხებით წავალთ უფრო ნაკლები სისწრაფის ტემპით, სამაგიეროდ ჩვენი ზრდის მრუდე შემდეგ უფრო სწრაფად აიწევა. მაგრამ თუ დავეთანხმეთ ოპოზიციონურ პოლიტიკას, მაშინ პირველ წელში სწრაფად ავხტებით ზევით კაპიტალური ხარჯების ზევით კაპიტალური ხარჯების ზრდის მხრივ, შემდეგ კი აუცილებლად დავეშვებით, დავექანებით ძირს. ასეთი გზით ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევსძლებთ სათანადო ზრდის უზრუნველყოფას. მხოლოდ იმ პოლიტიკით, რომელსაც აწარმოებს ცეკა, შეიძლება იქმნას განხორციელებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ზრდის ტემპი. ოპოზიციის იმ პოლიტიკით, რომელსაც ისინი აწარმოებენ გლეხობის მიმართ, ჩვენ არა მარტო გადავეყრებით მთელი რიგი პოლიტიკურ დაბრკოლებათა, არამედ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი შენელდება და შესწყდება.

ეხლა მესამე საკითხის შესახებ, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი ჩემი მოხსენების პირველ ნაწილში. ოპოზიციონერი ამხანაგები საშინლად აზვიადებენ გლეხობის დიფფერენციაციას და ამიტომ მათ მუდამ ემჩნევათ ტენდენცია იმისა, რომ ისინი მხედველობიდან უშვებენ საშუალო შეძლების გლეხს, ისინი ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას საშუალო შეძლების გლეხის მეურნეობის აღდგენის საკითხებს, კოოპერაციის და სხ. საკითხებს. ამის გამო გლეხობის საკითხში მათ არ ესმით თვით პრობლემა გლეხის მეურნეობის გადამუშავებისა, მისი გადაკეთებისა სულ სხვა გვარ ნიადაგზე და განვითარების სხვა გზაზე დაყენებისა, მათ არ ესმით პრობლემა გლეხის მეურნეობის კოოპერაციის მეოხებით სოციალისტურ ნიადაგზე გადაყვანისა იმგვარად, რომ პროლეტარულ ორგანოების დიქტატურის გავლენა გაიზარდოს საშუალო გლეხის მეურნეობაზე. ეს საკითხი მეტად დიდ როლს თამაშობს ჩვენს დისკუსიაში, სხვადასხვაგვარი სახით სდგება ჩვენ წინ, იგია საფუძველი ჩვენი უთანხმოებისა და რჩება ერთ იმ ძირითად საკითხთაგანად, რომლის გარშემო არის უთანხმოება ცენტრალური კომიტეტის დიდი უმრავლესობისა და ოპოზიციის ლიდერებს შორის.

საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტურ ბუნების შესახებ

მივმართოთ მესამე პრობლემას—ხელისუფლებას, პროლეტარიატის დიქტატურის და ქვეყნის შიგნივ მისი პოლიტიკის პრობლემას. შესაძლოა, თქვენ შეგვეკითხოთ: ნუ თუ ეს საკითხიც ამჟამათ გახდა ისეთ საკითხად, რომლის განხილვა საჭიროა ჩვენს პარტიაში? აი, წარმოიდგინეთ, ოპოზიციამ ეს საკითხიც სადისკუსიო გახადა; მთელ რიგ გამოსვლებით, გამოსვლებით და მტკიცებით მან ეს საკითხიც საეჭვო გახადა. თუ წინათ ეჭვისთვალით უცქეროდენ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ხასიათს, თუ წინათ ეჭვისთვალით უცქეროდენ და ეხლაც უცქერიან გლეხობისადმი ჩვენი დამოკიდებულების საკითხს, ეხლა ეჭვის თვალით უცქერიან ჩვენი ქვეყნის **საბჭოთა ხელისუფლების კლასიურ ბუნების დახასიათების საკითხს.** ეს, ამხანაგებო, უკვე წარმოადგენს შემდეგ ნაბიჯს ოპოზიციონური აზროვნების განვითარებისას, ახალ ნაბიჯს სწორ ლენინურ პოზიციიდან ჩამოშორებისას ეხლანდელ ოპოზიციონურ ბლოკის ლიდერების მხრივ.

ერთ-ერთ თავის სიტყვაში ცენტრალურ კომიტეტის პლენუმზე ამხ. ტროცკიმ წამოაყენა თეზისი იმის შესახებ, რომ „ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სრულიადაც არ ატარებს პროლეტარულ ხასიათს“. როდესაც ვიხილავდით გლეხობის საკითხს ხელახალ არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, ოპოზიცია ამბობდა, რომ ჩვენში შემჩნეულია კულაკის მხარეზე გადახრის საშიშროება და მოითხოვდა ჩვენი პარტიის გაბედულ ჩარევას იმისათვის, რომ არ მოხდეს ისედაც არა პროლეტარულ სახელმწიფოს შემდეგი გადახრა.

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი აზროვნება, თითქოს ჩვენი სახელმწიფო არ იყოს მუშათა სახელმწიფო, და რომ იგი უკვე აღარ არის პროლეტარულ დიქტატურის სახელმწიფო, თანდათან ფეხს იკიდებს ოპოზიციონურ წრეებს შორის. შესაძლებელია ამხ. ტროცკიმ ეს ფრაზა წარმოსთქვა მოუფიქრებლად, შესაძლებელია, მაშინ მას მოუხდება ამ მტკიცების უარყოფა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩემს სიტყვაში ცეკას პლენუმზე მე აღვნიშნე ის დებულება—სრულიადაც არა ჩვენი, რომელიც ამხ. ტროცკიმ წამოაყენა. შესაძლებელია, ვიმეორებ, ამხ. ტროცკი აღელვებული იყო, მაგრამ ჩვენ გავიგონეთ არა მარტო ეს ფრაზა. ჩვენ ვიცით ოპოზიციონურ წრეების ერთი ნაწარმოები, რომელიც ახლო მომავალში დაბეჭდილი იქნება „ბოლშევიკის“ უახლოეს ნომერში, ვინმე ოპოზიციონერ ამხანაგის ოსოვსკის წერილი. მე უკვე ვახსენე მისი მეორე წერილი, რომელიც დაბეჭდილი იყო „ბოლშევიკ“-ში, სადაც ამხ. ოსოვსკი ამტკიცებდა, რომ ჩვენ უნდა გამოვართვათ გლეხობას არა ნაკლები იმაზე, რასაც ართმევდენ მას ცარიზმი და მემამულეები. აი მეორე მისი მტკიცება ჩვენი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ბუნების შესახებ. თქვენ, ამხანაგებო ამ საკითხს უნდა მიაქციოთ უფრო მეტი ყურადღება, იმიტომ რომ, როგორც თქვენ კარგათ იცით, ჩვენი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ბუნების საკითხი არის ჩვენთვის ცენტრალური საკითხი, არის ჩვენში პროლეტარული დიქტატურა, თუ არ არის იგი, ამაზე დამოკიდებული ყველაფერი დანარჩენი, იმიტომ, რომ თუ ჩვენში არ არის პროლეტარიატის დიქტატურა, საჭიროა ამ პროლეტარული დიქტატურის განხორციელება და თავიდან უნდა ავიშოროთ ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ამ პროლეტარულ დიქტატურის განხორციელებას.

აი რას სწერს ამხ. ოსოვსკი: „საჭიროა გავიხსენოთ ლენინის ნათქვამი საბჭოთა მე-14 ყრილობის კომპარტიის (ბ) ფრაქციაში იმის შესახებ, რომ ჩვენში არა მუშური, არამედ მუშურ-გლეხური სახელმწიფოაო. თურმე ეხლა, ექვსი წლის შემდეგ გასაგები გახდა, თუ რატომ ვერ შეითვისა ამხ. ბუხარინმა ისეთ მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნები, რომ ჩვენი სახელმწიფო არა მუშურია, არამედ მუშურ-გლეხური.

ლენინური გაგება მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შესახებ გულისხმობს განსაზღვრულ დისტანციას, რომელიც აშორებს პროლეტარიატს და ერთგვარად გლეხობას, ამ სახელმწიფოსაგან. მუშურ-გლეხური სახელმწიფოსა და პროლეტარიატს შორის არსებულ დისტანციის ხელოვნურათ მოსპობის ცდას შეიძლება მოჰყვეს საბედისწერო შედეგები პროლეტარული რევოლუციისათვის“. თუ ამას ჩვეულებრივ ენაზე გადავიტანთ, ეს ნიშნავს შემდეგს: ჩვენ არა გვაქვს პროლეტარული დიქტატურა, ჩვენში სახელმწიფო არამუშურია, არამედ მუშურ-გლეხური, პროლეტარიატმა კი უნდა დაიცვას თავისი პროლეტარული ინტერესები, მაშასადამე, მუშათა კლასმა კიდეც უნდა გაილაშქროს ამ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამიტომ, თუ პროლეტარულ პარტიას სურს დარჩეს პროლეტარულ პარტიად, მან ცოტაოდნად უნდა იბრძოლოს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. აი, ასეთია საკითხის დაყენება. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, ეხლა მოდაშია შემოღებული, ყოველგვარ სისულელეზე ვლადიმირ ილიჩის დამოწმება და ამასთანავე ფიქრობენ, რომ ყოველთვის ექნება ამას გასავალი, რომ შეიძლება ვარჯიშობა როგორც უნდათ და რამდენიც უნდათ. აქ ამხ. ოსოვსკი ჩემს პიროვნებას უმიზნებს. ლენინს ესმოდა, რომ ჩვენ გვაქვს მუშურ-გლეხური სახელმწიფო, ხოლო ბუხარინს არ ესმის ესო; და რადგან ცნობილია, რომ ბუხარინი—ცენტრალურ კომიტეტის უმრავლესობის მხარეზეა, ბუნებრივია, რომ ცენტრალურ კომიტეტს არ ესმის ყველაფერი ეს და ამიტომ ცენტრალური კომიტეტი აწარმოებს ისეთ პოლიტიკას, რომელსაც, ამხ. ოსოვსკის სიტყვით, შეუძლია მეტად დამღუპველ მდგომარეობამდე მიგვიყვანოს პროლეტარულ რევოლუციის თვალსაზრისით. უწინარეს ყოვლისა მე გავამართლებ „მოწმეთა ჩვენებას“, პირველ ყოვლისა გავამართლებ ამხ. ლენინზე დამყარებას, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მე თვითონ მოვიყვან მას მოწმეთ იმისათვის, რომ სრულიადაც არ არის მართალი ამხ. ოსოვსკი, რომლის მსჯელობას, მართლაც მივყევართ პროლეტარულ რევოლუციისათვის დამღუპველ დასკვნამდე.

აი რას სწერდა ამხ. ლენინი (თხზ. კრებ. ტ. VIII ნაწ. I, წერ. „პარტიის კრიზისი“, გვ. 33). პროფკავშირების გარშემო გამართულ დისკუსიის შესახებ: „როდესაც ვლაპარაკობ 30 დეკემბრის დისკუსიაზე, მე მინდა გავასწორო კიდევ ერთი ჩემი შეცდომა. მე ვსთქვი: „ჩვენი სახელმწიფო სინამდვილეში არა მუშურია, არამედ მუშურ-გლეხური“. ამხ. ბუხარინმა მაშინვე წამოიძახა: „როგორია“, მის საპასუხოთ მე დავეყრდენი ეხლახან დამთავრებულ საბჭოთა მე-13 ყრილობას. ეხლა, როდესაც ვკითხულობთ ანგარიშს დისკუსიის შესახებ, ვხედავ, რომ მე არ ვიყავი მართალი, ხოლო ამხ. ბუხარინი მართალი იყო. მე უნდა მეთქვა: „მუშათა სახელმწიფო არის აბსტრაქცია, ხოლო სინამდვილეში ჩვენ გვაქვს მუშური სახელმწიფო, ჯერ ერთი იმ თავისებურებით, რომ ქვეყანაში სჭარბობს არა მუშური, არამედ გლეხური მოსახლეობა და მეორე,—მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული დამახინჯებით“. ეს სავსებით სწორი დებულებაა, და ამხ. ოსოვსკიმ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ არსებობს ამხ. ლენინის სწორედ ეს ციტატა: ლენინი, ლაპარაკობს რა სახელმწიფოებრივ ხელისუფლების ბუნების შესახებ, პირდაპირ ამბობს: „ჩვენში მუშური სახელმწიფოა, ხოლო ქვეყანაში უმრავლესობა —გლეხობააო“. მართალია. „ჩვენში სახელმწიფო მუშურია, მაგრამ ბიუროკრატიული დამახინჯებით“,—მართალია! მაშასადამე, ჩვენში პროლეტარულ დიქტატურას, მუშურ სახელმწიფოს ახასიათებს ის თავისებურებანი, რომ იგი მოქმედებს გლეხურ ქვეყანაში და რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აპარატი აღვსილია სხვადასხვაგვარ ბიუროკრატიული დამახინჯებით. ყველაფერი ეს სრული სიმართლეა, ხოლო როგორია სახელმწიფოს კლასიური ბუნება? მუშური სახელმწიფო.

მაშასადამე, როდესაც ჩვენ გვიუბნებიან, რომ ჩვენში სახელმწიფო არა მუშურია, რომ იგი ნახევრად უკვე წვრილბურჟუაზიულია, — ამით ამტკიცებენ, რომ ჩვენი სახელმწიფო უკვე გადაგვარდა და ეჭვის თვალით უცქერიან ჩვენს ქვეყანაში პროლეტარულ დიქტატურის არსებობს. თუ ამხ. ოსოვსკი ამას ამბობს წერილობით, ამხ. ტროცკი ამას ამბობს სიტყვიერათ. „ჩვენ სახელმწიფოს სრულიადაც არ აქვს პროლეტარული ხასიათიო“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ ეს ასეა, ეს იქნებოდა ძალიან სერიოზული მოვლენა, რომ თუ ჩვენში არ ყოფილიყო პროლეტარული დიქტატურა, მაშინ უნდა გამოგვეყვანა სხვაგვარი დასკვნები. და მაშინ, სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენ პარტიას, რამდენადაც იგი არის პროლეტარული პარტია, დღის წესრიგში უნდა დაეყენებია ისეთი საკითხები, რომელიც, ასე ვსთქვათ მოასწავებდა თანამედროვე საბჭოთა ხელისუფლების რადიკალურ გაწმენდას. სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით.

ეს არის პირველი თეზისი.

საბჭოების ბიუროკრატიული გადაგვარების საკითხი

მასთან არის დაკავშირებული თეზისი მთელი სახელმწიფო აპარატის გადაგვარებისა, და ჩვენი პოლიტიკისა და ეხლანდელი საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის განსხვავებისა ფართო პროლეტარული მასების ინტერესებისაგან. ამხანაგმა კამენევმა პირდაპირ სთქვა თავის სიტყვაში, რომ „თქვენი ხაზი შორდება პროლეტარული რევოლუციის ხაზს და იგი სულ უფრო და უფრო მეტად შორდება ფართო პროლეტარული მასების ინტერესებსო“. ეს, რასაკვირველია, სავსებით ეფარდება იმას, რომ „ჩვენი სახელმწიფო სრულიად არაა პროლეტარული“, რომ, როგორც სწერს ოსოვსკი, ჩვენ არა გვაქვს მუშური სახელმწიფო, ეს სავსებით ეთანხმება საბჭოთა ხელისუფლების გადაგვარებაზე იმ ლაპარაკს, რომელიც გაისმის „სმენავეხოველებისა“ და სხვა მთელ რიგ ჩვენ ლიბერალურ მოწინააღმდეგეთა მხრივ. ოპოზიცია აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო აპარატის მრავალრიცხოვან ბიუროკრატიულ ჯგუფებს ემატება ბიუროკრატიისავე მრავალი ჯგუფებიც, რომლებმაც თავი მოიყარეს სამეურნეო ორგანოებში, კოოპერაციაში, პროფკავშირებში და სხვა. ამგვარად, იქმნება ისეთი სურათი, რომ ჩვენს აპარატში, მთელ ჩვენ კადრის შემადგენლობას თითქმის არაფერი აქვს საერთო ფართო მასების ინტერესებთან.

ჩვენ გულუბრყვილოთ ვფიქრობთ, რომ ჩვენი პარტია პროლეტარული ავანგარდია,—თურმე იგი არის მასებისაგან სრულიად მოწყვეტილი ბიუროკრატიული ჯგუფი; ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, როგორც პროლეტარული დიქტატურის ფორმა,—თურმე, ჩვენ გვაქვს არაპროლეტარული სახელმწიფო, და მას ხელმძღვანელობს სავსებით გადაგვარებული კასტა. აზრთა ასეთი განვითარების გზით, ადრე თუ გვიან ლოღიკურად უნდა მივიდეთ საბჭოთა ხელისუფლების **ჩამოგდების იდეამდე,**—არც მეტი არც ნაკლები. და მე ვიმეორებ რომ პირადათ რომ დარწმუნებული ვიყო იმაში, რომ ჩვენ მივედით იქამდე, როცა აღარა გვაქვს მუშათა კლასის დიქტატურა, როცა გაბატონებულია ფართო მასების ინტერესების მოწინააღმდეგე ოლიგარხიული ჯგუფი, მაშინ იგივე დასკვნა უნდა გამოგვეყვანა, როგორც გამოყავს კაუცკის—არსებული ხელისუფლების დამხობა. ამ დასკვნის გამოტანა მათ ვერ მოიფიქრეს, და ალბად ვერც მოიფიქრებენ. მე კი ვფიქრობ, რომ ბოლშევიკური „ღმერთი“ თავის დროზე შეაჩერებს მათ შუაგზაზე,—ისიც კარგი „ღვთის წყალობა“ იქნება პარტიული ინტერესების თვალსაზრისით. რა ძალას მოჰყავს აქეთკენ ეს შესანიშნავი იდეური განვითარება.—ყოვლად [illegible] უნდა იყო კაცი რომ ამას ვერ მიხვდე (სიცილი).

ლაპარაკი საბჭოების აღვსების შესახებ გლეხური წვრილი ბურჟუაზიით

ბოლოს ამავე ხაზს მისდევს კიდევ მეორე დებულება, რომელიც ოპოზიციამ წამოაყენა. სახელდობრ, თეზისები იმის შესახებ, რომ თუ ზევიდან—პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მხრიდან, ჩვენ აღვსილი ვართ ბიუროკრატიით, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მუშათა კლასის ინტერესებს, მაშინ ქვევიდან ჩვენი საბჭოები ივსებიან გლეხური წვრილი ბურჟუაზიით. ამხანაგები იღებენ ხელახალი არჩევნების შედეგებს და ამბობენ: „შეხედეთ, სასოფლო საბჭოებში ზიან გლეხები, სასოფლო საბჭოებში გლეხების რიცხვი თანდათან მატულობს,—აი სადამდე მივიყვანეთ ჩვენ საბჭოების გამოცოცხლება“. წვრილმა ბურჟუაზიამ გადაგვთელა ჩვენ ქვედა სართულიდან, ხოლო ზედა სართულიდან—ბიუროკრატიულმა ხროვამ, მაშასადამე ორი მხრიდან გვიახლოვდება სრული კატასტროფა—შავი ძალები თავს გვესხმიან ზევიდან და ქვევიდან, ერთიანდებიან და გვაღრჩობენ ჩვენ.

ეს თეზისი სასოფლო საბჭოებში გლეხობის მიერ ჩვენი გადათელვის შესახებ —ჭეშმარიტად ახალი ოპოზიციის შემოქმედებითი აზროვნების მარგალიტია. იმათ წარმოუდგენიათ, რომ გლეხურ ქვეყანაში შეიძლება მართვა-გამგეობის ისე დაყენება, რომ თვითეულ სოფელში გაბატონებული იყოს რიცხვობრივათ მუშათა კლასი, რომელიც იქ არ არსებობს. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სასოფლო საბჭოებში შეიძლება იყოს პროლეტარული ინდუსტრიალური უმრავლესობა? ასეთი რამე რომ იფიქრო, ცხადია თავის ნაცვლად, კომბოსტო თავი უნდა ქონდეს (ტაში).

ყოველ შემთხვევაში ეს უნდა ესმოდეს იმას, ვინც გაიარა ჩვენი პოლიტცოდნის პირველი საფეხური, რომ საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა სახელმწიფოს აპარატი წარმოადგენს სრულიად განსაკუთრებულ სისტემას, რომელსაც აქვს მართლაც ბევრი სართული. სწორედ ამხ. ზინოვიევს არაერთხელ უთქვამს დიდის ენტუზიაზმით, რომ უნდა მივიზიდოთ უპარტიო გლეხები. სად უნდა მივიზიდოთ პირველყოვლისა? საბჭოებში. წავაგეთ თუ არა ჩვენ იმის გამო, რომ სასოფლო საბჭოებში მათი მუშაობის გამოცოცხლების ნიადაგზე შევიდენ უპარტიო გლეხები? ვფიქრობ, რომ სრულიადაც არაფერი წაგვიგია. სად არის ის ლაბორატორია, სადაც ჩვენ ვაწარმოებთ გლეხების გარდაქმნას. ვსპობთ მათში ინდივიდუალისტურ ფსიქოლოგიას, გადმოგვყავს ჩვენს მხარეზე, ვასწავლით ჩვენთან თანამშრომლობას. ვწვრთვით მათ და მიგვყავს საბჭოთა პროლეტარული, სოციალისტური გზით? პირველ ყოვლისა ყველაფერი ეს კეთდება საბჭოებში. და აი ეხლა უნდათ დააყენონ საკითხი იმგვარად, რომ შეაგდონ გლეხი ბნელ ოთახში—დეე, აღიზარდოს უმავთულო ტელეგრაფიით. ეს სისულელეა.

ჩვენ პრაქტიკულად ვაწარმოებთ გლეხების აღზრდას, გადმოგვყავს ჩვენს მხარეზე, რათა უზრუნველვჰყოთ პროლეტარული ხაზი, ჩვენი საბჭოთა მანქანის შენება ასეთია: არსებობს უმაღლესი ორგანოები, საშუალო, დაბალი და სხვ. ზევით—ძალიან მტკიცე აქტივია, რომელიც მოქმედობს ჩვენი პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელობით და შესდგება უმთავრესად პარტიის წევრებისაგან. რაც უფრო დაბალ საფეხურისაკენ მივდივართ, მით უფრო მეტი უპარტიოებია, ხოლო სოფლად ეს შენობა ებჯინება უპარტიო გლეხებს, რომელნიც ჩვენს დასახმარებლად მოდიან. ჩვენ თანდათან ვიზიდავთ უპარტიო გლეხებს, ე. ი. არსებითად წვრილ ბურჟუაზიას, დაბალ სართულებში, გვაქვს რა ზედა სართულში უზრუნველყოფილი პროლეტარული ხელმძღვანელობა, ჩვენ ვაწარმოებთ გლეხების აღზრდას ჩვენებურად, ვაბამთ ჩვენი მუშაობის სისტემაში, ვასწავლით სოციალისტურ მშენებლობის ახალ საფუძვლებზე მუშაობას. ამაში გამოიხატება გლეხობისადმი პროლეტარული ხელმძღვანელობა და ის, რომ ჩვენ გლეხობას ვაძლევთ საშუალებას იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლების ქვედა სართულში. ეს არის აუცილებელი წინასწარი პირობა გლეხობისადმი პროლეტარული ხელმძღვანელობის განხორციელებლად.

შეიძლება მოვიყვანოთ მეორე მაგალითი იმავე დარგიდან, მაგრამ მეორე ქვეყნის გამოცდილებიდან, რომ გავაბათილოთ ჩვენი შესანიშნავი ოპოზიციის ეშმაკური მსჯელობა. მე ავიღებ ინგლისს. იგიც იმპერიალისტურ ომს აწარმოებდა. როგორც ვიცით ინგლისის ბურჟუაზიულ მინისტრს, ლოიდ-ჯორჯს, შეჰყავდა თავის კაბინეტში მინისტრი გენდერსონი მუშათა პარტიის და ტრედიუნიონების წარმომადგენელი. იგივე იყო ზოგიერთ სხვა ქვეყნებში. ერთი მითხარით, შეუძლია თუ არა რომელიმე მარქსისტს სთქვას, რომ იმ დროს ინგლისის სახელმწიფო იყო ბურჟუაზიულ-მუშური სახელმწიფო იმის გამო, რომ იქ გენდერსონი იჯდა? რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა აბსოლუტური იდიოტიზმი. თქვენ იცით, ვინც ასე ლაპარაკობდა? ასე მსჯელობდენ: შეხედეთ, გენდერსონი-მინისტრია, და თუ ის მინისტრია, მაშასადამე უკვე იწყება ახალი ხანა კაპიტალიზმის განვითარებაში, მუშები მონაწილეობას იღებენ ხელისუფლებაში, მაშასადამე, ეს უკვე აღარ არის იმპერიალისტურ-ბურჟუაზიული სახელმწიფო, არამედ რაღაც სხვა. ეხლა ჩვენში არსებითად ასევე მსჯელობენ პროლეტარულ დიქტატურის შესახებ.

როდესაც ლოიდ-ჯორჯმა გენდერსონი შეიყვანა სამინისტროში, რატომ ერთი წუთითაც არ გამოიცვალა ინგლისის იმპერიალისტურ-ბურჟუაზიული სახელმწიფო? სულ უბრალო მიზეზით, იმიტომ, რომ გენდერსონებს ბურჟუაზია იახლოვებდა იმისათვის, რომ **გარდაექმნა მუშათა კლასის იდეოლოგია** და დაემორჩილებია იგი ბურჟუაზიის იდეოლოგიისათვის. გენდერსონი ასრულებდა ბურჟუაზიის დავალებას, ბურჟუაზიამ დროებით მოახერხა მუშათა კლასის კუდზე გამობმა, ამიტომ გენდერსონის კაბინეტის შემადგენლობაში შეყვანა იყო ხიდი, რომლითაც ბურჟუაზიას მიჰყავდა მუშათა კლასი თავის იდეოლოგიისაკენ და ოდნავათაც არა სცვლიდა თავის ბურჟუაზიულ ხელისუფლების კლასიურ ბუნებას. იგი სცდილობდა თავის კლასიურ მოწინააღმდეგის გადაბირებას. გლეხობა კი ჩვენში არ წარმოადგენს ჩვენს მტერს, ეს არის ჩვენი მოკავშირე, და აი, როდესაც ჩვენ ამ გლეხობას ვაბამთ ჩვენი სახელმწიფო მართვა-გამგეობის აპარატში, რის წყალობითაც იგი ჩვენ გადმოგვყავს ჩვენს მხარეზე, უნდა იყო ახირებული ადამიანი, რომ ამტკიცო, თითქოს ამიტომ ჩვენი სახელმწიფო არა მუშურია, არამედ რაღაც ორჭოფული, ორკლასიური, წვრილბურჟუაზიული და სხვ. და აქედან გამოვიყვანო დასკვნა—დავიცვათ წმინდა პროლეტარული ხაზი—საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ოპოზიციის თეორეტიულ შეცდომის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ მას არ ესმის, რომ პროლეტარული დიქტატურისათვის საჭიროა დიქტატურის ორგანოებში თავისი კლასიური მოკავშირის ჩაბმა. მისი გარდაქმნის ხელმძღვანელობის, სოციალისტურ გზაზე გადაყვანის მიზნით. იმისათვის, რომ როგორც ამხ. ლენინი ამბობდა, განხორციელებული იქნას პროლეტარული დიქტატურის **უმაღლესი პრინციპი, ე. ი. კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის.** ასე უნდა დავაყენოთ ეს საკითხი. და როდესაც ეხლა ეჭვის თვალით უცქერიან პროლეტარულ დიქტატურას ჩვენს ქვეყანაში იმ მოსაზრებით, რომ ჩვენს სოფლებში, სასოფლო საბჭოებში არ არის ინდუსტრიალური პროლეტარიატი, რომელიც იქ საერთოთ არ არის, ეს ნიშნავს იმ ძირითად ამოცანის არგაგებას, რომელიც პროლეტარულ დიქტატურას აქვს დაკისრებული, სახელდობრ—სოციალისტურ მშენებლობის საქმეში ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობის ძირითად მასის ჩაბმის ამოცანა. ეს გაუგებრობა არის ერთ-ერთი ნიმუში ურწმუნოებისა ჩვენს ქვეყანაში **სოციალისტურ მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ.** ეს ამტკიცებს იმას, რომ არ ესმით ამ სოციალისტურ მშენებლობის მეთოდები, რომლის შესახებ ასე გადაჭრით ლაპარაკობდა ჩვენი მე-14 ყრილობა.

საბჭოების გადარჩევის კამპანიის შედეგები

ორი სიტყვა ეხლახან დამთავრებულ საბჭოების გადარჩევის კამპანიის შესახებ.

საბჭოების გადარჩევის განვლილი კამპანია ჩვენ პირველად ჩავატარეთ ადმინისტრატიული გავლენის გარეშე. ჩვენ პირველად გამოვიყენეთ ახალი მეთოდები, სადაც სიმძიმის ცენტრი გადატანილია დაჯერებაზე, იდეურ გადამუშავებაზე, სადაც არჩევნების გაცილებით მეტი თავისუფლება იყო იმ სხვადასხვა ფენებისათვის, რომლებსაც ჩვენი კონსტიტუციით საარჩევნო უფლება აქვთ. რა მივიღეთ ამ პირველ გადარჩევიდან? მივიღეთ ის, რომ სოფლებში შემცირდა კომუნისტების პროცენტი, რომ სასოფლო საბჭოებში, ნაწილობრივ ქალაქების საბჭოებშიაც ეხლა ჩაბმული არიან სხვა ელემენტებიც, რომლებიც უწინ, ასე ვსთქვათ, გარიყული იყვნენ. და აი, ამ გარემოებამ მისცა ჩვენს ოპოზიციას საბაბი ეთქვა, რომ სწორედ ამაში გამოიხატება ჩვენი დახრჩობა წვრილი ბურჟუაზიის მიერ, რომ სწორედ აქაა შემოტევა ჩვენზე წვრილი ბურჟუაზიის მხრივ, ჩვენი დახევა, ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების გადაცურება პროლეტარული ლიანდაგიდან.

ამაზე უნდა შევნიშნო შემდეგი: უპირველეს ყოვლისა, მრავალი ამხანაგი ადგილებიდან აღნიშნავდა შემდეგ მოვლენას. თუ სასოფლო საბჭოებში ეხლა ნაკლები კომუნისტებია, ვიდრე წინანდელ არჩევნებში (აქა-იქ ეს არის), სამაგიეროდ არჩეულ კომუნისტს თან მისდევს მთელი სოფელი, წინედ კი იგი იყო მხოლოდ ფიქტიურად არჩეული, ფაქტიურად კი მხოლოდ დანიშნული იყო, იგი არ სარგებლობდა ავტორიტეტით მოსახლეობის თვალში. მართალია ისინი იყვნენ წინედ მეტი, მაგრამ ეს კომუნისტები არ იყვნენ დაკავშირებული მასასთან, არ ხელმძღვანელობდენ მას. და აი, როცა ეხლა ჩვენს წინაშე სდგას საკითხი გადარჩევის საერთო ბალანსის გამოყვანისა, ჩვენ სრულის რწმენით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქაც კი, სადაც კომუნისტების ნაკლები პროცენტი მივიღეთ, ჩვენი ხელისუფლების დაბალ სართულებში, ეს არაა ზრდის შესუსტება, ეს არის ზრდის გამოხატულება, გამოხატულება იმისა, რომ იდეური დაჯერების საფუძველზე ჩვენ ხელში ავიღეთ ხელმძღვანელობა და რომ ერთი ისეთი კომუნისტი, რომელსაც მისდევს მთელი სოფელი ათჯერ მეტი ღირს იმათზე, ვისაც არავითარი მასა არ მისდევდა.

ყოველი დიდი მანევრის დროს, კურსის ყოველი გამოცვლის დროს ყოველთვის ხდება რიგების სხვაგვარად დაწყობის საკითხი. როდესაც ჩვენ მე-14 პარტკონფერენციაზე განვაცხადეთ, რომ საჭიროა რიგების სხვაგვარად დაწყობა. კომუნისტების ნაწილი დაიბნა, არ იცოდა რა ექნათ; ზოგიერთ მათგანმა უარი სთქვა იმაზე, რომ ეჩვენება თავისი საკუთარი პარტიული სახე; ნაწილი დაიბნა, ორიენტანცია დაეკარგა, არ იცოდა, თუ როგორ მოქცეულიყო, და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო რიგების ნამდვილი სხვაგვარად დაწყობა. მართლაც, აუარებელი გლეხები შეუშვით გლეხთა საბჭოებში, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ყველგან ვერ მოვიყოლიეთ ისინი ჩვენი გავლენის ქვეშ, და ეს, რასაკვირველია, ჩვენი ნაკლი იყო. ჩვენ ვერ ვასწრებდით, რომ საკმაო სისწრაფით სხვაგვარად დაგვეწყო ჩვენი რიგები, მაგრამ ჩვენ პირველი ნაბიჯი უნდა გადაგვედგა ამ მიმართულებით, უნდა შეგვეცვალა ჩვენი კურსი ისე, რომ ხვალ ახალი კურსის საფუძველზე შეგვძლებოდა უფრო წინ წავსულიყავით. აქ არაფერია საშინელი, სრულიად არაფერია საშიში. რიგების სხვაგვარად დაწყობის ნიადაგზე ჩვენი გავლენის ქვეშ ვაქცევთ ახალ მასებს, რომლებიც დღემდე ჯერ კიდევ არ იყვნენ მოქცეული.

ოდესღაც ამხ. ზინოვიევი მოითხოვდა უპარტიო კონფერენციების მოწყობას, მოითხოვდა გლეხთა უპარტიო ფრაქციის გაზეთის გამოშვებას, ამხ. სოკოლნიკოვი და მოითხოვდა მენშევიკებისა და ესერების ლეგალიზაციას. მაშინ ეს იყო იმიტომ, რომ ისინი ცოტა ღამფრთხალი იყვენ, ისინი მზად იყვენ ჩაებარებიათ ყველა პოზიციები იმიტომ, რომ სოფელი ბუზღუნებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. როდესაც ჩვენ დამშვიდებით, ანგარიშით, რწმენით აღჭურვილი ვახდენთ მოხვევას (ПОВОРОТ), სრულიად უშიშრად, პროპორციის მკაცრი გამოანგარიშებით, მაშინ ყვირიან, რომ ჩვენ გადაცოცებას ვახდენთ. ჩვენ არ გადავცოცდებით, ჩვენ ვანმტკიცებთ პროლეტარულ დიქტატურას, ხვალ კი, ამავე საფუძველზე განვამტკიცებთ ათჯერ მეტად, თუ არ გადაუხვევთ იმ ხაზს, რომელიც მივიღეთ და სწორ პოლიტიკას ვაწარმოებთ.

ვამთავრებ რა ჩვენი ხელისუფლების საკითხის განხილვას, მე ვიმეორებ და ხაზს უსვამ, რომ თუ ოპოზიციას მე-14 პარტყრილობაზე ჯერ კიდევ არ შეჰქონდა ეჭვი ჩვენი ხელისუფლების კლასიურ ბუნებაში, ეხლა იჩინა თავი ამ ტონმაც, აღებულია ეს ჰანგიც—ეჭვიანობის, სკეპსისის, **რწმენის დაკარგვისა ჩვენი ხელისუფლების პროლეტარულ კლასიურ ბუნებისადმი.**

დაჯგუფებათა თავისუფლების იდეიდან პოლიტიკური დემოკრატიის იდეისაკენ

ეხლა გადავდივარ **მეოთხე** პრობლემაზე — პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში პარტიული მექანიზმის პრობლემაზე. თქვენ იცით, რომ დღემდე ჩვენ ლენინელებს—ჩვენი პარტიის ერთად-ერთობა და განუკვეთელობა მიგვაჩნდა პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნების და განმტკიცების უუსაჭიროეს აუცილებელ პირობად. ჩვენ, ლენინელებს ასე წარმოგვედგინა, რომ ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლებოდა უზრუნველყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა დაეკისრებოდა ჩვენს პარტიას, რომელიც აქ პირველ ყოვლისა, უნდა ყოფილიყო მთელს ქვეყანაში **ერთად-ერთი პარტია,** ე. ი. გამორიცხული ყოფილიყო სხვა პარტიების ლეგალური არსებობა, და მეორედ,—იგი თავისი აგებულობით უნდა ყოფილიყო ერთიანი, ე. ი. ისეთ პარტიად, რომლის შინაგანი სტრუქტურა შეუძლებელს გახდიდა დამოუკიდებელ და ავტონომიურ ჯგუფების, ფრაქციების, ჩამოყალიბებულ მიმდინარეობათა არსებობას; მე არ მოგაგონებთ ამხანაგებო, რამდენი შრომა, ენერგია და სიტყვები დახარჯა ამხ. ზინოვიევმა ამ კათედრიდან, რომ დაემტკიცებია თქვენთვის ლენინური დებულების ეს ანბანური ჭეშმარიტება. და ეხლა ყველაფერი უეცრად შეიცვალა, ეხლა მთელი ოპოზიცია, მთელი ბლოკი—ტროცკი, კამენევი, ზინოვიევი, კრუპსკაია და სხვები აყენებენ დებულებას ფრაქციების თავისუფლების შესახებ ჩვენს პარტიაში. პირველად ფრონტის ასეთი შეცვლისათვის სიგნალი მისცა ამხ. ზინოვიევმა ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობის ტრიბუნიდან. როგორც გახსოვთ, ზინოვიევმა მაშინ განაცხადა, რომ პარტიის სახელმძღვანელოდ მოწვეული უნდა იქნეს ყველა ყოფილი ოპოზიციონური ჯგუფებიო. ეხლა ეს კვირტი გაიშალა არა მარტო კუკურად, არამედ არაჩვეულებრივ, თუმც არასაკმარისად სურნელოვან ყვავილად. (სიცილი). უნდა ითქვას, რომ თუ ერთი მხრივ მთელი ოპოზიცია იცავს იმ აზრს, რომ ჩვენი პარტია გარდაქმნილი უნდა იქნეს ფრაქციების და ჯგუფების თავისუფლების პრინციპზე, ზოგიერთი ოპოზიციონერები ამ საკითხში მიდიან იმ დასკვნამდეც, რომელსაც უნდა ჩაუკვირდეს ყოველი ჩვენთაგანი იმ მიზნით, რომ დავინახოთ როგორც გერმანელები იტყვიან, „wohin die Reise geht“, ე. ი. საითკენ მივყევართ გზას. იგივე ამხანაგი ოსოვსკი—ოპოზიციის მომხრე იმავე წერილში, რომლის ამონაწერები მე აქ მოვიყვანე, ასე მსჯელობს: ჩვენს ქვეყანაში არ არის ეკონომიურ ინტერესთა ერთიანობა. ჩვენში არსებობს მუშათა კლასი—მაშასადამე არსებობს ერთგვარი ინტერესები,—ჩვენში არსებობს გლეხობა—არსებობს რამდენიმე განსხვავებული ინტერესები. ჩვენში არის კერძო კაპიტალი—მაშასადამე არსებობს მესამე გვარი ინტერესები. ხოლო პარტია კი ჩვენში ერთია. თუ თქვენ გინდათ გყავდეთ ერთი პარტია და არ გსურთ სხვა პარტიების ლეგალიზაცია, თქვენ ისე უნდა მოაწყოთ საქმე, რომ თქვენს პარტიაში იყვნენ ისეთი ელემენტები, რომელნიც დაიცავენ კაპიტალისტურ ინტერესებსაც. ამას, ამხანაგებო მე ვამბობ ჩემი სიტყვებით, ის კი აი რას სწერს „მსწავლულის“ ენით: „ამ საკითხის, ე. ი. ჩვენი პარტიის ერთიანობის საკითხის დადებითი გადაწყვეტა არ იქნებოდა ძნელი, რომ საჭირო ყოფილიყო არა ერთიანი ლეგალური პარტიის (ე. ი. სხვა პარტიები რომ არსებობდენ) ერთიანობის შესაძლებლობის დამტკიცება.

„მაშინ ჩვენ ვიქნებოდით ქვეყნის ერთიანი მმართველი პარტია, მაგრამ არა ერთად-ერთი მთელს სახელმწიფოში. გაცილებით უფრო რთულია ერთად-ერთი ლეგალური პარტიის ერთიანობის შესაძლებლობის დამტკიცება იმ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა მეტად მრავალფეროვანია. ამ უკანასკნელის შესახებ არავინ არ დავობს, ე. ი. არავინ არ დავობს იმის შესახებ, რომ ჩვენს მეურნეობაში არის ისეთი დარგები, სადაც კაპიტალისტურ თაოსნობას დადებითი როლის შესრულება შეეძლებოდა. ასეთ შემთხვევაში პარტიამ, რჩება რა იგი მთლიანი და ერთად-ერთი, თავისი სახით ფაქტიურათ უნდა დაიცვას ქვეყანაში არსებული ყოველგვარი ინტერესები, მათ შორის კაპიტალისტურ მწარმოებელთა ინტერესებიც“.

ამ მეტად „ბრძნული“ თეორეტიული მოსაზრებებით ოსოვსკი ასაბუთებს ფრაქციათა თავისუფლების საჭიროებას. თუ თქვენ,—ამბობს იგი, გსურთ გყავდეთ ერთი პარტია, ხოლო ჩვენ გვაქვს სხვადასხვაგვარი ინტერესები, კეთილ უნდა ინებოთ და „თავისუფლება“ უნდა მიანიჭოთ მათ, ვინც იცავს კულაკსაც და კაპიტალისტსაც. ჩვენი პარტიის კონსტიტუციის ფარგლებში კულაკის და კაპიტალისტის დაცვა ძნელია.

ამიტომ ნუ დავკეტავთ კარებს და ჩვენ გვეყოლება ნეპმანების ფრაქცია, წვრილი ბურჟუაზიის ფრაქცია, და ყველა ამათ ერთად აღებულს ერქმევა სრ. საკავშირო კომუნისტური პარტია; მაშინ აყვავდება ჩვენს ქვეყანაში, პროლეტარიატის დიქტატურა, მაშინ ეს პარტია იქნება მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შესაფერი პარტია საჭიროა ოსოვსკი ბოლომდე მივიდეს.—მალე იგი იტყვის: „მუშათა-გლეხთა—**ნეპმანთა სახელმწიფო**“. მაშინ ყველაფერი მოწესრიგდება. მუშათა - გლეხთა-ნეპმანთა სახელმწიფო, მუშათა, გლეხთა, ნეპმანთა პარტია, ერთი პარტია ქვეყანაში არავითარი სხვა პარტია და მაშინ ყველაფერი კარგად მოეწყობა. (სიცილი). თქვენ ეხლა მშვენივრად გესმით, საითკენ იხრება საქმე.

ფრაქციულ დაჯგუფებებს ჩვენს პარტიაში, რასაკვირველია, საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალური მიმდინარეობანი და, თუ ჩვენ აქ დაუშვებთ ფრაქციულ დაჯგუფებებს, **თუ ჩვენ დაუშვებთ ფრაქციების არსებობას, მაშინ შემდეგი ეტაპი იქნება სხვა კი არაფერი, თუ არა დანარჩენი პარტიების ლეგალიზაცია.**

აი მაგალითი, ჩვენ გვყავს მედვედევის ფრაქცია, რომლის პლატფორმას თქვენ გაცნობილი ხართ „პრავდა“-ში მოთავსებულ წერილიდან. ამხანაგი მედვედევი მოითხოვს ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის საკონცესიო კაპიტალზე გადაცემას, კომინტერნის და პროფინტერნის გაუქმებას და ლიკვიდაციას, ამსტერდამის ინტერნაციონალში დაუყოვნებლივ შესვლას, მოითხოვს უარყოფილ იქნეს ყოველგვარი ლაპარაკი გლეხობის შესახებ, რადგან გლეხობა მისი აზრით „დირივენშჩინაა“. აქ მოცემულია მენშევიკური პლატფორმა.

ჩვენ გვეუბნებიან: „მიეცით თავისუფლება ამ მიმდინარეობას, ამ ფრაქციას“, ისინი ხომ თავის თავს—„მუშათა ოპოზიციას“ უწოდებენ. რა უყოთ რომ ისინი კომინტერნს და მის მსგავს რევოლიუციონურ დაწესებულებებს აუქმებენ. ეს არაფერს არ ნიშნავს,—რაკი ისინი თავის თავს „მუშათა ოპოზიციას“ უწოდებენ.

ვსთქვათ, რომ ჩვენ დაუშვით ეს ფრაქცია, დაუშვათ, რომ პარტიაში ჩვენ გვეყოლება მედვედევის კანონიერად მოწყობილი ფრაქცია. მაგრამ მაშინ ჩვენთან გამოცხადდებიან მენშევიკები და გვეტყვიან: „ჩვენ სხვას არაფერს მოვითხოვთ, ჩვენც იგივე გვინდა, რაც ამ პირველ ხანებში სურს მედვედევს,—დახურეთ კომინტერნი, გამოკეტეთ პროფინტერნი, გაატარეთ ფართე საკონცესიო პოლიტიკა, შეაფურთხეთ გლეხობას—რისი მაქნისია იგი“. ისინი გვეტყვიან ჩვენ: „რატომ არ გამოგვაცხადებთ ლეგალურად, როდესაც ჩვენს პარტიაში ასეთივე დაკანონებული შეხედულებები არსებობს?“

ცხადია, ჩვენ მაშინ ლეგალურად უნდა გამოვაცხადოთ მენშევიკური პარტია. თუ ჩვენ ლეგალურად გამოვაცხადებთ ასეთ ფრაქციას, ჩვენ ლეგალურად უნდა გამოვაცხადოთ სხვა პარტიაც, და თუ ჩვენ ლეგალურად გამოვაცხადებთ სხვა პარტიას, **მაშინ ჩვენ ნამდვილად დავექანებით პროლეტარული დიქტატურიდან—პოლიტიკურ დემოკრატიამდე,** ე. ი. დავექანებით იმ მსოფლმხედველობამდე, რომელსაც იმთავითვე, ძველი დროიდანვე ქადაგებდენ მენშევიკები, კაუცკი, ესერები, და სხვა დანარჩენი ჩვენი მტრები.

უნდა ვსთქვა, რომ ამჟამად ოპოზიციის წრეებში ძალიან უყვართ თამაში იდეასთან ორი პარტიის შესახებ. იგივე ოსოვსკი უახლოესი მომავლისათვის წინასწარმეტყველებს, რომ ჩვენ გვეყოლება ორი პარტია,—რომელთაც პირველ ხანებში ექნებათ კომუნისტური პარტიის სახელწოდება.

ერთი ის პარტია, რომელიც მხარს უჭერს ინგლისს-რუსეთის კომიტეტიდან გამოსვლას თითქოს მეტის მეტი ინტერნაციონალური პოზიციის გულისათვის, ხოლო მეორე ეს ის პარტიაა, რომელიც ფიქრობს, რომ შესაძლებელია სოციალიზმის დამყარება მხოლოდ მარტო ჩვენს ქვეყანაში და სხვა—ეს ეგრედ წოდებული ეროვნულ-კომუნისტური პარტიაა. ასეთი იდეა ორი პარტიის შესახებ უკვე ძალიან პოპულიარული გახდა ოპოზიციონურ წრეებში.

და იდეამდე მიმავალი საფეხური, იდეამდე, რომელიც არსებითად პარტიის განხეთქილების გამხნევებას წარმოადგენს; არის ეს ოპოზიცია, რომელიც მოითხოვს ფრაქციების და დაჯგუფების თავისუფლებას.

ჩვენი აზრით—ეს არის მეოთხე პრინციპიალური პრობლემა. რომელიც ამჟამად წამოყენებული იქნა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ჩვენი აზრით აქაც ოპოზიცია დაშორდა საკითხების ლენინისეულ დაყენებას პარტიის როლის და ხასიათის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, დაშორდა ლენინის გაძლიერების ანბანს ჩვენი ერთიანი და ერთად ერთი პარტიის ორგანიზაციული ბუნების შესახებ.

საერთო ჯამი და დასკვნები

საით იზრდება ოპოზიციის იდეოლოგია

ახლა, ამხანაგებო! მე გადავდივარ საკითხზე, რომელიც ბუნებრივად უნდა დაიბადოს თვითეულ ჩვენგანს, სახელდობრ: საით იზრდება ახლანდელი ოპოზიციის იდეოლოგია, სადაა ის იდეური მარშრუტი, რომელსაც ის მისდევს, რომელი მიმართულებით ვითარდება ის? და აქ მე ხელახლა ვუბრუნდები მედვედევის პლატფორმას. აღარ გაგახსენებთ ამ პლატფორმის საფუძველს. თქვენ ყველანი კარგად იცნობთ მას. ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ მართებულად მონათლა წერილი მედვედევის პლატფორმის წინააღმდეგ: „**მემარჯვენე საფრთხე** ჩვენს პარტიაში". არ არის არც ერთი კეთილგონიერი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს იმის უარყოფა, რომ უკიდურესი მემარჯვენე ფრთა ჩვენს პარტიაში წარმოდგენილია ყოფილი მუშათა ოპოზიციის ჯგუფის მიერ, მიტომ რომ საერთაშორისო რევოლიუციონური პოლიტიკის დარგში შეუძლებელია უფრო მემარჯვენე თვალსაზრისის წარმოდგენა, ვიდრე ის არის, რომელიც კომინტერნის ლიკვიდაციას მოითხოვს, დასავლეთის კომუნისტურ პარტიებს „რუსეთის ფულით გასუქებულ წვრილბურჟუაზიული მუქთახორების ბრბოს უწოდებს", პროფინტერნის ლიკვიდაციას მოითხოვს და უნდა, რომ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა უპირობით უცხოეთის კაპიტალს გადაეცეს და სხ. და სხ. ეს არის ყველაზე მემარჯვენე პოზიცია ჩვენს პარტიაში, რომელიც არსებითად იდეურად უკვე **ჩვენი პარტიის გარეშე სდგას.** და აი, ამხანაგებო, ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლანდელი ოპოზიცია, რომელიც ოპოზიციების ბლოკს წარმოადგენს, ერთი მოკავშირის სახით ამხ. მედვედევის ჯგუფსაც შეიცავს და მიუხედავათ ჩვენი დაჟინებითი მოწოდებისა, რომ ოპოზიცია თუნდაც ცენტრ. კომ. პლენუმზე, გარკვეულად გამიჯნოდა მედვედევის პოზიციას, ჩვენთან ერთად მძლავრად თავს დასხმოდა მას, ჩვენ ვერავითარი დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მივიღეთ. კიდევ მეტს ვიტყვი: ერთი წლის წინათ ამხანაგების ჯგუფმა მიანდო ამხ. ზინოვიევს მედვედევის წერილის წინააღმდეგ დაეწერა და გამოექვეყნებია კონტრ-სტატია ამხანაგების მთელი რიგის სახელით. ამხ. ზინოვიევმა ეს როდი შეასრულა. როცა ცეკას პლენუმზე მას ვკითხე: „რატომ არ შეასრულე შენი ვალდებულება", მან სიტყვა-სიტყვით შემდეგი უპასუხა: „რადგან თქვენ იერიშები მარცხნით მიგაქვთ, მე უნებურად მომიხდა მემარცხენე ამხანაგ მედვედევს დავსხმოდი თავსო". მაშასადამე ამხ. ზინოვიევის თვალსაზრისით ამხ. მედვედევის პლატფორმა „მემარცხენეთ" ითვლება. გამოდის, რომ თუ ამხ. მედვედევი „მემარცხენეა", ამხ. ზინოვიევი მასზე უფრო **მარჯვნივ** მდგარა. მე უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა ასეთი დასკვნის შემდეგ. ნამდვილად კი ამხ. ზინოვიევი, რასაკვირველია, მედვედევის მარჯვნივ არა სდგას, ეს ჯერ საბედნიეროდ ასე არ არის, მაგრამ თუ მართლა ობიექტიურად, მიუდგომლად სხვადასხვა ოპოზიციონური ჯგუფების იდეურ ფიზიონომიას გავსინჯავთ, შეიძლება ისეთი იდეური ხიდი აღმოვაჩინოთ, რომელიც აერთებს მთელ ოპოზიციონურ ბლოკს.

რას სწერს ამხ. მედვედევი გლეხთა საკითხის შესახებ? „სისულელეა ახლა იმაზე ფიქრი, ამბობს ის, რომ შეიძლება წვრილი გლეხური მეურნეობის ხსნა; ის აუცილებლად უნდა დაიღუპოს, ის განწირულია. იმის ფიქრი, რომ გლეხური მეურნეობა წინ წავა წვრილბურჟუაზიული უტოპიააო". ასე ვლაპარაკობდით ჩვენ ყველანი როცა **კაპიტალისტური** რეჟიმი იყო, მაგრამ ამის ლაპარაკი **პროლეტარული დიქტატურის** დროს ნიშნავს არა ლენინური, არამედ სრულიად სხვაგვარი პოზიციის დაკავებას. ამხ. მედვედევი დასკვნის: „რა საჭიროა, რომ გლეხობას ვეოლიავოთ, რა საჭიროა, რომ ჩვენ, ნაღდმა პროლეტარებმა სოფლელებზე ვიზრუნოთ (ან კიდევ ამ „ოაზრობ მუქთა-ხორებზე" კომინტერნიდან), უმჯობესია ჩვენი მრეწველობა კონცესიონურ კაპიტალს გადავცეთ, რათა ზედმეტი გროში მივიღოთ. აი ასეთი უძარღვო, ქეციანი, ტრედ-იუნიონისტური ფიზიონომია გამოიყურება ამ პლატფორმიდან; მაგრამ როცა ახალი ოპოზიციის წარმომადგენელი ამხანაგები ამბობენ, დიფერენციაცია ისე ვითარდება, რომ საშუალო გლეხობაზე ლაპარაკი ზედმეტიაო, როცა ამხ. პრეობრაჟენსკი კერძო კაპიტალს ვერ არჩევს გლეხური მეურნეობიდან, აქ უკვე უეჭველად იდეური ნათესაობა გვაქვს მედვედევთან; ეს არ არის სრული იგივეობა, მაგრამ ეს იდეური სიახლოვეა.

როცა ჩვენი ოპოზიცია ეჭვს გამოსთქვამს ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის სოციალისტური ხასიათის შესახებ, ხოლო ამხ. მედვედევი ჩვენი მრეწველობის სოციალისტურ ხასიათს ისეთ მცირე მნიშვნელობას აძლევს, რომ მზად არის საკონცესიო კაპიტალს გადასცეს, იქმნება მეორე იდეური ხიდი ამ ჯგუფებს შორის.

როცა ამხ. მედვედევს არ სწამს, რომ ჩვენ პროლეტარული დიქტატურა გვაქვს, და ფიქრობს, რომ პროლეტარული ორგანიზაციის ამოცანა იმაშია, რომ სახელმწიფოს დააწვეს, ხოლო სხვა ოპოზიციონერი ამხანაგები ხანდახან ამბობენ, რომ „ჩვენს სახელმწიფოს სრულიადაც პროლეტარული ხასიათი არ აქვს"—ეს მესამე იდეური ხიდია ოპოზიციისა და ამხ. მედვედევის ჯგუფს შორის, რომელიც იდეურად, ასე ვსთქვათ, მთელი ოპოზიციონური ბლოკის მოწინავე რაზმს წარმოადგენს.

როცა მედვედევი ფიქრობს, რომ ჩვენი პარტია გაიხრწნა, რომ ის გადასცდა პროლეტარული პოლიტიკის ლიანდაგს, ხოლო ამხ. კამენევი ამბობს, რომ ეს პოლიტიკა შორდება ფართო მუშური მასების ინტერესებს, ეს უკვე მეოთხე ხიდია ამ ორ ჯგუფს შორის. ყველა უკლონისტები ასე იწყებენ და შემდეგ განვითარების პროცესში სრულიად ანტიბოლშევიკურ დასკვნებს აკეთებენ. აი, რაშია იდეური ნათესაობა მთელი ოპოზიციისა მედვედევის პლატფორმასთან.

ჩვენ გვეტყვიან, რომ მედვედევის პლატფორმაში ყველაზე მნიშვნელოვანი, საზიზღარი და მყრალი ელემენტი არის წინადადება, რომ კომინტერნის ლიკვიდაცია მოხდეს, ამის მსგავსი კი არაფერი აქვს არც ზინოვიევსა და არც ტროცკის. დიახ, ჯერ კიდევ არ აქვს. მაგრამ ჩვენ ბედს პირველნი შევსწირავდით მადლობას,—თუ ეს არასოდეს არ მოხდებოდა. მაგრამ ოპოზიციის შემდგომი განვითარება ამასაც მოგვცემს, თუ ის იმ გზით წავიდა, რომლითაც დღემდე მიდის. და აი, ოსოვსკი, ამხ. ტროცკის მომხრე უკვე ამავე დასკვნას უახლოვდება. ის დაახლოებით შემდეგს სწერს: ჩვენი პარტია, საკავშირო კომუნისტური პარტია, სხვადასხვა სამრეწველო-სამეურნეო ფორმების გავლენას განიცდის და სხ. (გაიხსენეთ, რას ვამბობდი კაპიტალისტური ელემენტების წარმომადგენლობის შესახებ). მაშასადამე მან უარი უნდა სთქვას კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელ როლზე. გაჰყევით ამ აზრს ლოღიკურად: თუ ჩვენი პარტია უარს არ ამბობს კომინტერნის ხელმძღვანელ როლზე, ის მას წაიყვანს **არა რევოლიუციონური** გზით. ეს იმას ნიშნავს, რომ ის გადაგვარდება და კომინტერნსაც „გადააგვარებს". ამას უკვე უკიდურესი მემარცხენეები ამბობენ გერმანიაში, ამიტომ აუცილებლად სთვლიან 4 ინტერნაციონალის შექმნას. რას იტყვის ჩვენი ოპოზიცია, თუ ის დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ პარტია დაშორდა რევოლიუციონურ ხაზს და იმავე დროს კომინტერნის ხელმძღვანელად რჩება? ამ შემთხვევაში ოპოზიცია ხმა მაღლა დაიწყებს ლაპარაკს, რომ კომინტერნი რუსულ პარტიასთან ერთად სცილდება პროლეტარულ ლიანდაგს; შემდეგ აუცილებელი გახდება ოპოზიციის შეხედულებების განვითარება კომინტერნის დამცირებისა, აბუჩად აგდებისა და უარყოფისაკენ.

ვიმეორებ, ჩვენ პირველნი ბედს მადლობას შევსწირავდით, თუ ეს არ მოხდება. დიდათ მოხარულნი ვიქნებით, თუ ის ასე არ იქნება. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ოპოზიციამ მიატოვოს დამღუპველი ბილიკი, რომელზედაც ის ახლა სდგას. ის უნდა დაუფიქრდეს იმას, თუ საით იზრდება მისი იდეოლოგია.

ოპოზიცია გარდამავალ საფეხურზე — ტროცკიზმის პლატფორმაზე

ამგვარად, საითკენ იზრდება ოპოზიცია, როგორც იდეური მიმართულება? შლიაპნიკოვშჩინისაკენ, მედვედევშჩინისაკენ, **სრულ ლიკვიდატორობისაკენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობისადმი რწმენის დაკარგვის საფუძველზე.** ჯერ-ჯერობით იგი გარდამავალ საფეხურზე სდგას, რომლის სახელია—ტროცკიზმი. ეხლა მთელი ოპოზიციის ოფიციალურ იდეოლოგიას, მათ შორის ამხ. ზინოვიევის, კამენევის, კრუპსკაიას და სხ. თვალსაზრისი სრულიად ცხადად ტროცკისტულია. როდესაც ჩვენ ვწინასწარმეტყველებდით, რომ საქმე გათავდება სწორედ ტროცკიზმით, ბევრ იმ ამხანაგთაგანს, რომელიც ახალ ოპოზიციაში არის, არ სჯეროდა ეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ: ეს არასდროს არ მოხდებაო. მოიგონეთ, როგორ გამოდიოდა ზინოვიევი ტროცკის წინააღმდეგ, როგორ გესლიანად ილაშქრებდა, როგორ გაჰკიოდა მის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთაც. რამდენი ბროშიურები დასწერეს ზინოვიევმა, ზალუცკიმ, სთაროვმა, კანატჩიკოვმა და მთელმა რიგმა სხვა ამხანაგებმა,—ბროშიურები, რომლებსაც ძალიან ცუდი სუნი უდიოდათ იმ მხრივ, რომ საკითხს გადაჭარბებულად ამწვავებდნენ. ეხლა მთელი ამ ოპოზიციონური ჯგუფის იდეური ხელმძღვანელი არის ამხ. ტროცკი და არც ერთი საკუთარი აზრი არ აქვთ არც ამხ. ზინოვიევს და არც ამხ. კამენევს. ისინი გამოდიან საერთო დეკლარაციებით, საერთო პლატფორმით, საერთო წარწერებით, და უმთავრესი ისაა, რომ ყველა იდეები—ამხ. ტროცკის იდეებია.

მე უკვე ვილაპარაკე ამის შესახებ. აიღეთ ეხლანდელი შეხედულება გლეხობაზე. ვისია ეს შეხედულება? ეს ამხ. ტროცკის შეხედულებაა. მე უკვე ვილაპარაკე ჩვენი უთანხმოების შესახებ, ეკონომიური პოლიტიკის საკითხში, როცა ამხ. პრეობრაჟენსკის თვალსაზრისს შევეხე. ვისია ეს შეხედულებაა? ეს ტროცკის შეხედულებაა, რომელიც აქ გამარჯვებული გამოვიდა, მაშინ, როდესაც ზინოვიევმა და კამენევმა მთლიანად ქედი მოიხარეს მის წინაშე. ორგანიზაციულ საკითხში, ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფლების საკითხში,—ვის შეხედულებას გამოხატავს ეხლა ოპოზიცია? რასაკვირველია ტროცკის შეხედულებას, რომელსაც იგი იცავდა ათეულ წლების განმავლობაში; ეს შეხედულობა ტროცკიმ გამოსთქვა 1923 და 1924 წლებში, როცა მან წამოაყენა იგივე მოთხოვნილება მიმდინარეობათა და ჯგუფების თავისუფლებისა.

11 დეკემბრის (მე მომყავს ამონაწერი კრებულიდან „ლენინიზმისათვის" გამოცემა „პრიბოი" 1924 წ გვ. 110). მოსკოვის აქტივის კრებაზე ამხ. ზინოვიევმა, სხვათა შორის, შემდეგი სთქვა: „ამიტომ ჩვენ გთხოვთ თქვენ, მოსკოვის ორგანიზაციას, მოგვცეთ სწორი და ნათელი პასუხი (ლაპარაკი იყო ტროცკისთან დისკუსიის შესახებ). **თუ თქვენ ფიქრობთ, რომ დადგა დრო, როდესაც ლეგალიზაცია უნდა მივსცეთ ფრაქციებს და ჯგუფებს, მაშინ სთქვით პირდაპირ** (ასე ამბობდა ამხ. ზინოვიევი 1923 წელში). **ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დრო არ დამდგარა და იგი საზოგადოთ არ დადგება არას დროს პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში** (მხურვალე ტაში). **იგი არ შეიძლება დადგეს იმიტომ, რომ ეს საკითხი დაკავშირებულია პრესის თავისუფლების საკითხთან საზოგადოდ, მოსახლეობის არაპროლეტარულ ფენების პოლიტიკურ უფლებათა საკითხთან**", და სხ. ვისაც ეს არ ესმის, ამბობს იგი, მას საერთოდ არაფერი არ ესმის; ეს მჭიდროდ დაკავშირებული არის გლეხობისადმი ჩვენი ურთიერთობის საკითხთან. „**ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ პარტიის გაორება, ვინაიდან თუ ჩვენ პარტიის გაორება დაუშვით, ამით ჩვენ სახელმწიფოს გაორებას მოვახდენთ.** სულ უმცირესი არევ-დარევა პარტიაში დაუყოვნებლივ იქონიებს გავლენას მთელ სახელმწიფოებრივ აპარატზე. ამაზე ლაპარაკობენ სპეცები და მუშაკთა სხვა ჯგუფებიც". **პარტიის გაორება აუცილებლად, მაშინვე გამოიწვევს მთელი სახელმწიფოებრივი აპარატის გაორებას. აი, რატომ არის ჯგუფობრიობის საკითხი ჩვენი პარტიისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.**

აი, როგორ ლაპარაკობდა ამხ. ზინოვიევი ტროცკის წინააღმდეგ. ეხლა იგი ამავე ფრაქციულობისა და ჯგუფობრიობის საკითხს აყენებს და ავიწყდება სრულიად, ალბად ლაღობად სთვლის ყოველივე იმას, რასაც იგი ამბობდა ახლო წარსულში, 1924 წ. 11 დეკემბერს.

„ბოლოს და ბოლოს ტროცკიზმი უმეტეს ნაწილში, **არის და იყო მემარცხენე ნიუანსი ევროპიულ, ე. ი. ოპორტუნისტულ, ცრუ-მარქსისტულ, კომუნისტურ თვალსაზრისის მოწინააღმდეგე მიმართულებისა**". ასე სწერდა ამხ. ზინოვიევი ტროცკიზმის შესახებ: „ხანდახან ამბობენ,—სწერდა ამხ. ზინოვიევი,—სხვა ადგილას, რომ პარტიის მთელი უბედურება მეათე ყრილობიდან დაიწყო". როგორ? განა სწორედ მეათე ყრილობამ არ სცნო, რომ საჭირო არაა ასეთი დისკუსია პარტიის რიგებში. „მეათე ყრილობის პოლიტიკა ლენინიზმის პოლიტიკაა".

„თავდასხმა ტროცკის მხრივ ბოლშევიკური პოლიტიკის საფუძვლებზე, ლენინიზმის საფუძვლებზე, იმ დადგენილებათა საფუძვლებზე, რომელიც გამოიტანა პარტიის მეათე ყრილობამ ფრაქციისა და ჯგუფობრიობის თავისუფლების შესახებ, არ შეიძლება მართებულად ვსცნოთ" და სხ. ასე სწერდა ამხ. ზინოვიევი. ყოველივე ეს ეხლა გადასროლილია სანაგვე ყუთში, ყველაფერი დავიწყებულია, ყველაფერი, რაც ასე მხურვალედ იყო ნათქვამი. ლენინიზმის იდეურ საფუძვლების უკუგდების ნიადაგზე აგებულ ბლოკში გამარჯვებული გამოვიდა ამხ. ტროცკი, რომლის შეხედულებანი, ზინოვიევის მიხედვით, მენშევიზმის სახეობა იყო, რომელიც გამოხატავდა ბოლშევიზმის არსებითად მოწინააღმდეგე ნიუანსს.

ოპოზიციონური ბლოკის იდეური სათავეები

დავაყენოთ კითხვა ეხლანდელი ოპოზიციონური ბლოკის იდეური სათავეების შესახებ. მე ვფიქრობ, ამ ოპოზიციონურ ბლოკის ყველა შემადგენელ ნაწილების იდეოლოგიის მთავარი საფუძველი, როგორც ეს მე-14 პარტყრილობამ განსაზღვრა, მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი ამხანაგები ურწმუნოთ და უკეთეს შემთხვევაში, სკეპტიკურად უცქერიან სოციალისტური მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში და მე ვამტკიცებ, რომ ეს გამომდინარეობს ეხლანდელი ოპოზიციონური ბლოკის ყველა წარმომადგენლების წინანდელ პოზიციებიდან.

მაგალითად, ტროცკი მსჯელობს ასე: თუ საერთაშორისო რევოლიუციამ ვერ გაიმარჯვა, მაშინ კონტრ-რევოლიუციონერი გლეხი ჩამოაგდებს პროლეტარიატის დიქტატურას. აი ძირითადი საკითხი, რომელსაც ის ანვითარებდა თავის თეორიაში პერმანენტული რევოლიუციის შესახებ და რომელზედაც მას უარი არ უთქვამს.

ამხ. კამენევის და ზინოვიევის პოზიცია დაკავშირებულია მათ წარსულ მოღვაწეობასთან ოქტომბერში, როდესაც ისინი ფიქრობდნენ, რომ ჩვენ ვერ გაუძლებდით ხელისუფლებას, როგორც ერთად-ერთი პარტია, რომელიც წინ უძღვება პროლეტარიატს.

შემდეგ მოდის „მუშათა ოპოზიცია". აქ მე თქვენ მოგაგონებთ ერთ ფაქტს, რომელიც ბევრ ჩვენგანს დაავიწყდა. ოქტომბრის დეზერტირთა რიცხვში ხომ ამხ. შლიაპნიკოვიც იყო; მანაც მიატოვა თავისი პოსტი ოქტომბრის დღეებში. მანაც შემოიტანა განცხადება იმ დროს ერთ-ერთ სახ. კომისარის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ და ეს მან ჩაიდინა, რა თქმა უნდა, არა თვითონ, არამედ წინასწარ, ალბად, ითათბირა თავის უახლოეს თანამოაზრეებთან.

ეხლანდელი ბლოკის ყველა სამივე შემადგენელი ნაწილი, თავის ისტორიულ წარსულში იძლეოდენ ჩვენი ქვეყნის კლასიურ ძალების ისეთ შეფასებას, რომელიც გამოხატავდა მათ ეჭვს იმაში, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი შესძლებს გაიტანოს ჭაობიდან ჩამორჩენილი ქვეყნის უდიდესი ურემი. აი ეხლანდელი ოპოზიციონური ბლოკის ყველაზე ულრმესი ძირითადი და იდეური **სათავეები.**

პარტია არ დაუშვებს განხეთქილების შემტან ფრაქციონულ მუშაობას

ჩემის აზრით, ეხლა საკმარისად გასაგებია, თუ რატომ გადასდგა ოპოზიციამ ასეთი დაუჯერებელი ნაბიჯები, რასაც შედეგათ მოჰყვა ამხ. ლაშევიჩის და სხვების საქმე (ამ საქმეს მე აქ არ შევეხები არსებითად, რადგან, ალბად იგი თქვენ ჩემზე ნაკლებათ არ გეცოდინებათ,—ამის შესახებ დაბეჭდილი იყო სათანადო დადგენილებანი), ოპოზიციამ, პირველად ჩვენი პარტიის ისტორიაში, დაარღვია დისციპლინა იმით, რომ ცეკას კანდიდატი, რა თქმა უნდა საკავშირო კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს ზოგიერთ წევრთა ლოცვა-კურთხევით, მართავდა მასიურ კრებებს ტყეში პარტიის წინააღმდეგ, პარტიული ხაზის წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ცეკას პარტიულ ხელმძღვანელობის დასამხობად და არსებითად **ახალი პარტიის ჩანასახის** მოსაწყობათ სრულიად რუსეთის მასშტაბით.

მე აქ, ამხანაგებო, არ დაგიმტკიცებთ პარტიულ თვალსაზრისით ასეთი ნაბიჯების დანაშაულებას,—ეს მე ზედმეტად მიმაჩნია,—ყველას ესმის ეს. მე მინდა მხოლოდ კეთილსინდისიერად გავარკვიო, რატომ გახდა ეს შესაძლებელი, მე ვფიქრობ, ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ **იდეურად** ეს ადამიანები ისე დაშორდნენ პარტიულ ხაზს, ისინი ისე დარწმუნებული არიან, რომ **უიმათოთ მთელი პარტია უფსკრულში გადავარდება,** გადასცდება პროლეტარულ რელსებს, რომ იგი სდგას არასწორ გზაზე, რომ დაღუპვისაკენ მიჰყავს მთელი ქვეყანა და რომ საჭიროა მისი ხსნა ყოველგვარი საშუალებით,—რომ ისინი გავიდნენ ტყეში და დაიძახეს აბა, „ყარაულიო", მხოლოდ ასე შეიძლება მივსცეთ მათ საქციელს სუბიექტიური გამართლება. მაგრამ მათი ნაბიჯი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებული იქნას პარტიის თვალსაზრისით. ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია ფაქტის წინაშე დადგნენ, როცა ამხანაგების ერთი ჯგუფი, მათ რიცხვში საპასუხისმგებლო თანამდებობის პირნი, სდგამს ისეთს ნაბიჯს, როგორიცაა არალეგალური კრებების გამართვაა პარტიის და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. **თუ ჩვენ მოვითმინეთ ასეთი ნაბიჯები, ხვალ ჩვენი პარტია, როგორც ლენინური პარტია შესწყვეტავს არსებობას.** ამას ჩვენ არ დაუშვებთ. ჩვენ ვამბობთ: რამდენიც გნებავთ იჩხუბეთ თქვენი პრინციპებისათვის, **დაიცავით თქვენი აზრი, გამოდით პარტიულ კრებებზე,** მაგრამ თუ თქვენ ტყეში წახვედით, თუ თქვენ უარს ამბობთ პასუხის გაცემაზე, **თუ** თქვენ უარს ამბობთ ცენტრალურ საკონტროლო კომისიისათვის ჩვენების მიცემაზე, **თუ თქვენ** ადგიხართ ჩვენი პარტიის შიგნივე ახალ პარტიის დაარსების გზას, **ჩვენ დაუზოგავად ვიბრძოლებთ თქვენს წინააღმდეგ.** აქამდე ჩვენ საქმეს არ მივიყვანთ, როგორც ამხ. ზინოვიევი სამართლიანად აღნიშნავდა ამ ორი წლის წინად, **საკითხი პარტიის გაორების შესახებ არის პარტიის სიკვდილ-სიცოცხლის, პროლეტარული დიქტატურის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.**

რა თქმა უნდა, საშიშროება ცოტაოდნად მცირდება იმით, რომ ოპოზიციონერებს მხოლოდ მათ წარმოდგენაში მიჰყვებიან პროლეტარული პოლკები, სინამდვილეში კი ისინი რჩებიან და დარჩებიან უარმიო გენერლებათ ან შვეიცარიის ფლოტის ადმირალებათ (**სიცილი, ტაში).** ეს მით უფრო ჩქარა მოხდება რაც უფრო ენერგიულად განაგრძობს პარტია განმარტებით მუშაობას, რაც უფრო ენერგიულად დაიჭედება იგი იდეურად. ეს განმარტებითი მუშაობა დღის წესრიგშია დასმული. ეს არის ის ამოცანა, რომელიც ჩვენ ეხლავე უნდა გადავსწყვიტოთ პირველ რიგში.

ოპოზიცია ამჟამად სპეკულიაციას ეწევა რამდენიმე მოვლენით. იგი ეწევა სპეკულიაციას ჩვენი სამეურნეო სიძნელეებით. იგი ეწევა სპეკულიაციას იმით, რომ ჩვენ ბევრი შეცდომები გვაქვს, რომ ჩვენში ამ წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ერთგვარ მერყეობას მუშების სულიერ განწყობილებაში და შესაძლებელია მომავალშიც ექნეს ადგილი. ბოლოს, იგი სპეკულიაციას ეწევა იმით, რომ მათი აზრით უიმათოთ, ამ მაღალხარისხოვან ზეკაცების გარეშე ეხლანდელი ცენტრალური კომიტეტი ვერ შესძლებს პარტიის ხელმძღვანელობას, რომ ჩვენ დავიხრჩობით მძიმე მუშაობაში. ჩვენ კი ვფიქრობთ, ამხანაგებო, რომ თუ იმათ არ მოისურვეს დახმარების გაწევა პარტიის ხელმძღვანელობის საქმეში, ჩვენ თვითონ გავუძღვებით პარტიას მათ დაუხმარებლად (**მქუხარე ტაში).**

ნაკლულოვანებებს გადავლახავთ შეცდომებს გამოვასწორებთ

ჩვენ ვფიქრობთ, ამხანაგებო, რა მძიმეც არ უნდა იყოს ხანდახან ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა, ჩვენი მეურნეობის პერსპექტივები მაინც ხელსაყრელია, და ის გარემოება, რომ ჩვენ წელს კარგი მოსავალი გვექნება, საშუალებას მოგვცემს გამარჯვებული გამოვიდეთ იმ სამეურნეო—გაჭირვებიდან, რომელსაც ამჟამად განიცდის ჩვენი ქვეყანა. და ჩვენ კიდევ უფრო ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენ შევსძლებთ უფრო ფართო გზაზე გამოვიყვანოთ მთელი პარტია და ჩვენი ქვეყანა, რადგან არსებობს ფაქტი, რომლის დანახვა არ სურთ ზოგიერთ ბრმა ადამიანებს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, როგორიც იყო ოდესღაც რევოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც საკმაო იყო წესიერად პატარა წერილის დაწერა, რომ თავის თავი უკვე პარტიის ხელმძღვანელად ჩაგეთვალათ. **ამჟამად ჩვენ წამოგვეზარდა ახალი თაობა, ჩვენ წამოგვეზარდნენ ადგილობრივი მუშაკები და ეხლა ჩვენ გვამაგრებენ ყოველმხრიდან გამოწვდილი ათეული ათასი ხელები, და ჩვენი პარტიის ამ კოლექტიურ უდიდეს ძალაზე ვამყარებთ ჩვენს იმედს და ვფიქრობთ, რომ ეს ჩვენი იმედი ძლევამოსილი იქნება (მქუხარე ტაში).** ეხლანდელ ოპოზიციას, როგორც ყოველგვარ ოპოზიციას, რომელიც კი ყოფილა პარტიაში და ისეთი ოპოზიციასაც კი ჩვენს პარტიის წინააღმდეგ იბრძოდა, პარტიის რიგებს გარეშე აქვს ერთგვარი ხელჩასაჭიდი. ოპოზიცია რაიმეს უნდა ეყრდნობოდეს, რადგან, ჩვენ რომ სამოთხეში ვცხოვრობდეთ, ჩვენ, რომ არავითარი შეცდომები არ გაგვაჩნდეს, ჩვენ რომ 100 პროცენტით ყველაფერი რიგზე გვქონდეს, მაშინ არ იქნებოდა არაფერი ხელჩასაჭიდი, ჩასაბღაუჭებელი რაიმე ოპოზიციისათვის. მე არა ერთხელ მომიყვანია იგივე მაგალითი და არ მრცხვენია იგივე განვიმეორო ამ კრებაზე. როდესაც 1921 წელში, გაზაფხულზე მოხდა კრონშტადის აჯანყება, ამ შეიარაღებულ აჯანყებულ კონტრ-რევოლიუციის გაჩენება რაციონალური საბაბი იყო იმდენად, რამდენად ჩვენ გვქონდა არეულობა და ისეთი მდგომარეობა, რომელიც ჩვენგან მოითხოვდა სათანადო ღონისძიებების მიღებას—თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას, „პროდრაზვიორსტკის" გაუქმებას, შემზღუდავი რაზმების დაშლას, და სხვას. ყველაფერი ეს იყო ხელჩასაჭიდი, რომელსაც იყენებდა კონტრ-რევოლიუცია. ეხლაც—რომ არ გვქონდეს ბიუროკრატიზმი, რომ არ გვქონდეს მთელ რიგ დარგებში მცირე ხელფასი, რომ არ გვყავდეს ცუდ მატერიალურ პირობებში მცხოვრები სოფლის ულარიბესი გლეხობა, არ იქნებოდა არავითარი ნიადაგი ოპოზიციისათვის.

რასაკვირველია ყოველი ოპოზიცია პარტიის შიგნით გამოიყენებს ჩვენს ნაკლულოვანებას. მთავარი საკითხი ის არის, თუ რომ **რას** აკრიტიკებს, როგორ აკრიტიკებს, **რისთვის** აკრიტიკებს. როცა ოპოზიციონერები გვეუბნებიან, „თქვენ გახრჩობთ ბიუროკრატიზმი". ჩვენც ვადასტურებთ: „დიახ, ჩვენი ბიუროკრატიზმი ის წყლულია, რომელიც ჩვენ გვახრჩობს" მაგრამ, როდესაც ისინი განაგრძობენ და გაიძახიან: „თქვენი სახელმწიფო უკვე აღარ არის პროლეტარულ დიქტატურის სახელმწიფო, არამედ არის ბიუროკრატიის სახელმწიფო, რომელსაც მასსებთან არავითარი საერთო არა აქვსო", მაშინ ჩვენ ვუპასუხებთ: ეს არ არის მართალი, და ასეთ კრიტიკას ჩვენ შევებრძოლებით როგორც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამებას.

როცა ჩვენ გვაკრიტიკებენ და ამბობენ აქ ეს არ არის გაკეთებული, იქ კიდევ ესო და გვაკრიტიკებენ არა იმიტომ, რომ დაგვეხმარონ, გამოგვესწორებინონ შეცდომები, არამედ იმიტომ, **რომ დააგროვონ** თავისი **ფრაქციული კაპიტალი,**—დააგროვონ უზარმაზარი გაზვიადებით, ცილისწამებით. ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ; როცა ჩვენი სახელმწიფო აპარატის და პარტიულ აპარატის ცალკე შეცდომები და ცალკე ავადმყოფური მოვლენები ზვიადდება ერთი ათასად, როცა აქედან ქმნიან ფრაქციულ პლატფორმას და არ გვშველიან თავი დავახწიოთ ნამდვილად არსებულ წინააღმდეგობებს და დაბრკოლებებს, არამედ სცდილობენ შეიძინონ ფრაქციული კაპიტალი,—მაშინ ნურას უკაცრავად თუ გავილაშქრით ასეთი ოპოზიციის წინააღმდეგ: რადგან ეს საქმიანი დახმარება კი არ არის ჩვენი ნაკლულოვანების აღმოსაფხვრელად, არამედ სისტემატიურად წარმოებული ცდები ჩვენი პარტიის ერთობის შესარყევად, ცდები ფრაქციების და დაჯგუფების საშუალებით მოახდინონ სხვა პარტიების ლეგალიზაცია. ეს არის, თუმც არა შეგნებული, გადაცდენა პროლეტარულ დიქტატურის ხაზიდან.

ჩვენი პარტიის ცეკას წინააღმდეგ წამოყენებულ სხვადასხვაგვარ ბრალდებათა შემდეგ, ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ პარტიამ მხედველობაში უნდა იქონიოს საბჭოების გადარჩევის კამპანიისაგან მიღებული დასკვნები: 1) ნამდვილი ინდუსტრიალიზაცია, 2) ღარიბ გლეხთა ნამდვილი შეკავშირება (ორგანიზაცია), 3) ნამდვილი კავშირი საშუალო შეძლების გლეხობის მასასთან პროლეტარიატისათვის ხელმძღვანელობითი როლის მიკუთვნებით, 4) ნამდვილი ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, 5) ნამდვილი შინა-პარტიული დემოკრატია. გამოდის, რომ ჩვენი ინდუსტრიალიზაცია არაა ნამდვილი, ალბად ჩვენ ვიგონებთ, რომ ვაშენებთ ახალ ფაბრიკებსა და ქარხნებს, სინამდვილეში ისინი არ არსებობენ,—გამოდის, რომ ჩვენ არ ვაკავშირებთ გლეხობას, რომ ჩვენ არავითარი ნამდვილი კავშირი არა გვაქვს საშუალო-შეძლების გლეხობასთან, რომ მხოლოდ ისინი მოითხოვენ ნამდვილ კავშირს და სხვადასხვა. მათ უკვე ყალბი პასპორტი მისცეს მთელ ჩვენ პოლიტიკას და ფიქრობენ, რომ მხოლოდ ისინი აღადგენენ ყოველივე „ნამდვილს", ყოველივე ის კი, რასაც ჩვენ ვაკეთებდით და ვაკეთებთ არის სავსებით „ყალბი". ჩვენ ჩვენის მხრივ ვფიქრობთ, რომ ხალხი, რომელიც დღეს გაშმაგებით ილაშქრებს ერთი მიმდინარეობის წინააღმდეგ ჩვენს პარტიაში, ხვალ კი ამ მიმდინარეობას მისდევს, დღეს ფრაქციულობის საკითხს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად სთვლის, ხვალ კი ჩვენი პარტიის ამ სიკვდილის საკითხს ქადაგებს ისე, როგორც სიცოცხლის საკითხს,—ჩვენ გვგონია, რომ სწორედ ამ ხალხს „ნამდვილი" ლენინიზმის ყალბი პასპორტები აქვს.

მე უნდა გიამბოთ უაღრესად კომიკური ისტორია: ოპოზიციონურ წრეებში სახარებისმაგვარ, ასპროცენტიან ლენინიზმად სთვლიდენ ამხ. ზინოვიევის წიგნს „ლენინიზმი", თქვენ ეს კარგად იცით. ამ წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი ტროცკის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეხლა კი ტროცკისთან ბლოკის გამო „ნამდვილი" ლენინიზმის განხორციელების გულისათვის, ამხ. ზინოვიევმა დამალა ეს წიგნი და უარი სთქვა მის დაბეჭდვაზე. აი, როგორ ექცევიან ლენინიზმის საფუძვლებს.

ჩვენი ამოცანები

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანების შესახებ.

ჩვენს უმთავრეს ამოცანას ეკონომიურ პოლიტიკის დარგში წარმოადგენს ამჟამად მტკიცე გზის აღება **ინდუსტრიალიზაციაზე.** ჩვენს ამოცანას შეადგენს **საშუალებათა გამონახვა** ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპის დასაჩქარებლად. ჩვენი უახლოესი ამოცანა შემოდგომასთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, რომ **დავამუშავოთ საკითხი რეალურ ხელფასის გადიდების შესაძლებლობის შესახებ;** გადიდება უნდა შეეხოს მუშათა კლასის განსაკუთრებით ჩამორჩენილ ფენებს. თუ რამდენიმე თვის წინად ჩვენ ვერ შევსძელით ამის განხორციელება, ეხლა ცხადია, **რომ** თუ კარგად ჩავატარეთ პურის ექსპორტი, თუ შევსძელით პურის კარგ ფასებში გაყიდვა და სხვ.,—ჩვენ შეგვეძლება შემოდგომაზე ხელფასის რეალური მნიშვნელობის აწევა. საჭიროა ამაზე ხანგრძლივი მუშაობა და ამისთვის მზადება.

ყველაზე უახლოეს ღონისძიებას მუშათა პოლიტიკის დარგში ამჟამად უნდა წარმოადგენდეს **ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის გაჯანსაღებისათვის.** ზოგჯერ მომჭირნეობის რეჟიმად მიაჩნიათ მუშებისათვის ადუღებული წყლის წართმევა, ამ ნიადაგზე არა ერთხელ ჰქონია ადგილი უკმაყოფილებას. ეს მომჭირნეობის რეჟიმი კი არ არის, არამედ იმის დანაშაულებრივი კარიკატურაა. ჩვენმა ცეკამ ან მისმა სამდივნომ უნდა მიმართოს ადგილებს სათანადო განმარტებით. ერთ-ერთ ჩვენს ცენტრალურ ამოცანას საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბით უნდა შეადგენდეს გაძლიერებული **ბრძოლა ბიუროკრატიზმთან,** რომელიც ჩვენ გვახრჩობს. მე უნდა აღვნიშნო, რომ ამხ. **ძერჟინსკის** მიერ გარდაცვალების წინ წარმოთქმულ სიტყვაში ერთ-ერთ უმთავრესი აზრი, მიმართული ოპოზიციის წინააღმდეგ, იყო აზრი ჩვენი აპარატის უმოძრაობის, ზედმეტი სირთულის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ გაფართოებული ბრძოლის შესახებ, რადგან საჭიროა გადაწყვეტილებამ უნდა გაიაროს 10—20 ინსტანცია, ვიდრე იგი მიაღწევდეს დანიშნულების ადგილას და ცხოვრებაში გატარდებოდეს. ამ მხრივ უნდა იქნას ჩატარებული უდიდესი მუშაობა და ამ საქმეს უნდა მოხმარდეს მრავალ მუშათა ხელების თავები და ტვინები მართლაც **კოლექტიური ძალ-ღონე.**

ბოლოს, შინაპარტიულ დარგში, ჩემის აზრით, ფრაქციების და ჯგუფების წინააღმდეგ პირდაპირ ბრძოლასთან ერთად **საჭიროა შინაპარტიული დემოკრატიის უფრო ენერგიულად გატარება.** რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა განვანათლოთ და **იდეურათ განვამტკიცოთ** ჩვენი პარტიული მასა და დავაჯეროთ იმ ხაზის სისწორეში, რომელსაც ჩვენი პარტიის უმრავლესობა ატარებს. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი ამოცანათაგანი.

ჩვენი პარტია არის ერთის მხრივ, სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ძირითადი ბერკეტი. ჩვენ შევდივართ ეხლა შემოდგომის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებით. ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ პურის ფასები, მოვაწესრიგოთ ისე, რომ დავამზადოთ პურის მაქსიმალური რაოდენობა, სათანადოთ გავიტანოთ იგი და გავყიდოთ ხელსაყრელ ფასებში, ავაშენოთ ამ ნიადაგზე საწარმოვო პროგრამები, გადავსდგათ ნაბიჯები საბინაო საკითხის გასაუმჯობესებლად, ხელფასის საკითხის გადასაჭრელად და სხვა. ჩვენი საკოპერაციო წელიწადი, როგორც მოგეხსენებათ, იწყება მოსავლის რეალიზაციასთან ერთად. ბევრი რამ არის დამოკიდებული ყველა საკოპერაციო მუშაობის დაწყებაზე. ყველაფერი ეს განსაზღვრავს მთელი სამეურნეო წლის შინაარსს. და მიუხედავათ ყველა ამ უდიდესი საქმიანი ამოცანებისა, ჩვენ უნდა **გავაძლიეროთ მუშაობა** მთელი პარტიული მასის იდეურად განსამტკიცებლად, განსაზღვრულ პოლიტიკურ პლატფორმაზე მთელი პარტიული მასის გასაერთიანებლად. დეე, ეხლა პარტიის ყოველმა წევრმა იცოდეს და ხედავდეს, რომ ცეკას უმრავლესობას აქვს სრულიად გარკვეული და მტკიცე ხაზი, რომელსაც ის იცავს, რომელსაც განაგრძობს და რომლის საფუძველზე წინ უძღვის პარტიას. ჩვენ არა ვართ ისეთ პარტიულ მეთოდების თაყვანისმცემლები, როცა დღეს ერთს ამტკიცებენ, ხვალ კი დიამეტრალურად საწინააღმდეგოს, როცა დღეს სამღვთო ომს უცხადებენ გადახრებს, ხვალ კი ამ გადახრათა გეგემონიას ემორჩილებიან. ჩვენ გვაქვს საკუთარი ხაზი, რომელსაც ჩვენ ვატარებთ **თანამიმდევრობით.** ამ ხაზზე ჩვენ დავრჩებით, ამ ხაზისათვის ვიბრძოლებთ, ამ ხაზზე შევამჭიდროებთ პარტიას და ჩვენ გამოვსთქვამთ რწმენას, რომ მთელი პარტია—ლენინგრადის ორგანიზაციით, რომელიც იყო და იქნება ცეკას დასაყრდენი საფუძველი, პირველ რიგებში,—ამ ხაზს სავსებით გაატარებს. მთავარია—ბრძოლა სწორი პოლიტიკური ხაზისათვის, ყველაფერი დანარჩენი აქედან გამომდინარეობს. ჩვენი ხაზი არის ჭეშმარიტად **ლენინური** პოლიტიკური ხაზი, რომელსაც არასოდეს არ გადაუხვევთ, რომლისათვისაც ვიბრძოლებთ და რომლითაც ჩვენ გავიმარჯვებთ! (**ხანგრძლივი ტაში).**

ჩინეთის სახალხო რევოლიუციონური არმიის გამარჯვება

გერმანიის მელითონეების ყრილობა მხარს უჭერს პროფმოძრაობის მთლიანობას

ამერიკელმა ბანკირებმა უარი უთხრეს პოლონეთს სესხის მიცემაზე

დღეს ვერსალში ფინანსიური საკითხების განსახილველად იკრიბება საფრანგეთის ნაციონალური კრება

გაფიცვების ახალი ტალღა ინგლისში: გაიფიცენ შერბურგელი მეზღვაურები და ლონდონის როიალების ფაბრიკების მუშები

უნგრეთი და საბჭოთა კავშირი

ვენა, 8 აგვისტო. საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების საკითხი ყურადღების ცენტრში სდგას უნგრეთის პოლიტიკურ და სამეურნეო წრეებში. უნგრეთის მსხვილ მრეწველთა კავშირის გენერალურმა მდივანმა „ბუდაპეშტში ცირლიაპის" წარმომადგენელს განუცხადა: „ჩვენ ვიცით, რომ იტალია, გერმანია, სკანდინავის ქვეყნები, აგრეთვე ინგლისი და ამერიკა ისწრაფიან უზრუნველჰყონ რუსეთის გამსაღებელი ბაზრები. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ჩვენც უარს ვერ ვიტყვით ამ ბაზარზე, წვრილმან პოლიტიკურ მოტივების გამო".

◆

ზალესკის განცხადება

ბერლინი, 9 აგვისტო. „პტი პარიზიენის" კორესპონდენტთან საუბრის დროს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ განაცხადა, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება სავსებით კორექტულია და ორივე ქვეყანა თანამშრომლობისაკენ მისწრაფის.

◆

გაფიცვა ინგლისში

მეზღვაურთა გაფიცვა

ბერლინი, 9 აგვისტო. შერბურგში მეზღვაურებმა გაფიცვა გამოაცხადეს. დოკები პოლიციელებმა დაიკავეს.

სამღვდელოების წინადადება

ლონდონი, 9 აგვისტო. ნახშირის რაიონების უმრავლესობამ, როგორც ფიქრობენ, სამღვდელოებისა და სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის წინადადება მიიღო. აღმასკომი შეიკრიბება სამშაბათს ლონდონში. შრომის მინისტრი და სამთა-მადნო სამმართველოს მდივანი დარჩებიან ამ კვირაში ლონდონში. პრემიერი დაბრუნდება ლონდონში ერთი კვირის შემდეგ.

კომუნისტების დაპატიმრება

ლონდონი, 8 აგვისტო. „უორკერს უიკლის" ცნობით სამთა-მადნო მუშების გაფიცვასთან დაკავშირებით აპატიმრებენ კომუნისტებს. ბერგამში დაატუსაღეს კომუნისტი ჯოლბინგი, კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე, რომელსაც ბრალი დასდევს მოსახლეობაში უკმაყოფილებისა და ჯანყის გამოწვევაში. ამავე მიზეზით მანსფილდში მიტინგის დროს დაატუსაღეს კომუნისტი ვები და კომკავშირლები ბაქი და რაიონი. პოლიცია ცდილობდა ჩუმათ გადაესახლებიათ პროუტი, რომელსაც საერთო გაფიცვის დროს მისჯილი ქონდა 5 წლის ციხე. პოლიციელებმა ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

დელეგაცია ამერიკაში

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. 8 აგვისტოს ნიუ-იორკში ჩამოვიდა ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს დელეგაცია, რომლის მიზანია დახმარების მიღება ინგლისის სამთა-მადნო მუშებისათვის.

მემალაროეთა ძმური სალამი საბჭოთა კავშირის მშრომელთ

ლონდონი, 8 აგვისტო. გაფიცვის მეასე დღის გამო სამთა-მადნო მუშების ფედერაციის მდივანმა კუკმა საბჭოთა რუსეთის მუშებსა და გლეხებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში უდიდეს სამრეწველო ბრძოლის მეოთხე თვეზე, ინგლისის მილიონ სამთამადნო მუშათა სახელით გიძღვნით ძმურ სალამს და ჩვენს უაღრეს პატივისცემას საბჭოთა კავშირის მშრომელთ. საბჭოთა კავშირის მშრომელთა განუწყვეტელი დახმარება, საუკეთესო მაგალითია საერთაშორისო მუშათა სოლიდარობისა, რომელიც კი უნახავს ოდესმე მსოფლიოს. ესაა საერთაშორისო ერთობა, მოქმედებაში განხორციელებული.

ამ მომენტში, როცა თქვენ წაიკითხავთ ამ სტრიქონებს, ბრძოლა გრძელდება უკვე ასი დღეა. ბრძოლა კვლავ გრძელდება. ყველა სანახშირო რაიონებიდან ჩვენ მოგვდის ერთი და იგივე განცხადება: „არავითარი კაპიტულიაცია", მილიონმა მემალაროებმა, ინგლისის მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილმა მტკიცედ გადასწყვიტა იბრძოლოს ბოლომდე. იგი არასოდეს არ დათანხმდება მთავრობისა და მემალაროეთა მოთხოვნილებებზე. მათი თვალები მიპყრობილია აღმოსავლეთისაკენ, სადაც ისინი ეძიებენ ისეთსავე ამხანაგურ დახმარებას, რომელიც ასე ბრწყინვალედ გაუწიეთ თქვენ წარსულ სამი თვის განმავლობაში."

◆

მდგომარეობა საფრანგეთში

ნაციონალური კრების მოწვევა

ბერლინი, 9 აგვისტო. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 418 ხმის უმრავლესობით 133 წინააღმდეგ გადასწყვიტა მოიწვიოს ვერსალში ნაციონალური კრება. კრებას იწვევენ პუანკარეს სამორტიზაციო ფონდის გეგმის დასამტკიცებლად.

სენატორი მილანი

პარიზი, 9 აგვისტო. სენატორი მილანი ერთად-ერთი კანდიდატია სენატის ფინანსიური კომისიის მიერ წამოყენებული სამორტიზაციო სალაროს თავმჯდომარეთ.

ზომების მიღება

პარიზი, 9 აგვისტო. საფრანგეთის სენატმა მიიღო დეპუტატთა პალატის მიერ წამოყენებული წინადადება ქვეყნის პურით, ფქვილით და ხორბლით უზრუნველყოფის შესახებ.

საფრანგეთი და რუმინია

ბერლინი, 9 აგვისტო. ბუხარესტიდან მიღებულ ცნობით საფრანგეთ-რუმინიის შორის დადებული ხელშეკრულება ნეიტრალიტეტისა და მეგობრობის შესახებ უკვე ხელმოწერილია.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

გერმანელ მელითონეების რეზოლიუცია

ბერლინი, 8 აგვისტო. მელითონეთა ყრილობის სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ამტკიცებს წინა გადაწყვეტილებებს პროფკავშირთა მოძრაობის მთლიანობის და მელითონეთა საერთაშორისო კავშირის შექმნის შესახებ. ოპოზიციის მოთხოვნილებანი, საბჭოთა კავშირის მელითონეების დაუყოვნებლივ მიღების შესახებ და აგრეთვე ცალკე ქვეყნების მელითონეთა კავშირებთან გაერთიანების უარყოფილ იქნა.

◆

ვალების საკითხის გარშემო

კლემანსოს წერილი კულიჯისადმი

ლონდონი, 9 აგვისტო. „დეილი მეილი"-ს ცნობით, კლემანსო პარიზიდან კულიჯისადმი გაგზავნილ ღია წერილში ამბობს: „ომში მონაწილე სამ დიდ სახელმწიფოს შორის გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა ანგარიშების მოწესრიგების საქმეში, რაც სერიოზულად ემუქრება განათლებული ქვეყნის მომავალს. ჩვენ მოვალენი ვართ—თქვენი მევალენი. ყველაფერი ეს უფრო ადრე სალაროს საკითხია. მაგრამ არის თუ არა აქ სხვა რაიმე მოსაზრება?"

ზომიერების კამპანია

ლონდონი, 9 აგვისტო. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით სვენგლედელმა ვექილმა ფრიდერიკ პიბოდიმ, წათამამებულმა იმ ინტერესით, რომელიც გამოიწვია მისმა პეტიციამ ვალების გაუქმების შესახებ, დაიწყო ორგანიზაციის შექმნა ზომიერების კამპანიის გასატარებლათ. პიბოდი ამბობს, რომ კვირის ბოლომდე მას ეყოლება 30.000 მომხრე და თვის ბოლოსთვის ის იმედოვნებს, რომ ეყოლება მილიონი წევრი.

ლონდონი, 9 აგვისტო. „დეილი მეილ"-ის პოლიტიკური კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება, შეერთებულ შტატებისათვის (ომში ჩარევამდი) ინგლისის ბლოკადით მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ, დაიწყება ერთი თვის შემდეგ. პრეტენზიების ჯამი დაახლოვებით 900 მილ. გირვ. სტერლინგს უდრის.

ბრიტანეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ იმ პრეტენზიებს, რომელიც ბლოკადის გამო წარმოიშვენ, არავითარი მორალური საფუძველი არ უდევსთ და არ შეიძლება ცნობილ იქნეს.

კულიჯის პასუხი კლემანსოსადმი

ბერლინი, 9 აგვისტო. კლემანსოს წერილზე კულიჯმა გადაჭრილი უარი უპასუხა შემდეგში ყოველგვარი მოლაპარაკების წარმოების შესახებ, რადგან პირობები განსაზღვრულ იქნენ შეერთებულ შტატების კონგრესის მიერ და კულიჯი საფრანგეთიდან მოელის ახლა ამ ხელშეკრულობის რატიფიკაციას.

ჩინეთის ფრონტებზე

უ-პეი-ფუ დამარცხდა

ლონდონი, 9 აგვისტო. კანტონიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, გენერალურმა შტაბმა დეპეშით აცნობა ნაციონალურ მთავრობას უ-პეი-ფუს ჯარების დამარცხების შესახებ შანგტზეს ფრონტზე ჩრდილოეთ ხუნანში; მოწინააღმდეგე იხევს ჩრდილოეთის მიმართულებით.

რედაქტორის დასჯა სიკვდილით

ბერლინი, 9 აგვისტო. ლონდონიდან მიღებულ ცნობით ჩინეთის გაზეთის „შეხუე შინნაოს" რედაქტორი დაატყვევეს და პეკინის სამხედრო სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასაჯეს იმ წერილისათვის, რომელიც შანდუნის გუბერნატორის წინააღმდეგ იყო გაზეთში მოთავსებული.

უ-პეი-ფუს ჯარების დამარცხება

ლონდონი, 8 აგვისტო. კანტონიდან იუწყებიან, რომ კანტონის მთავრობამ გენერალური შტაბისაგან მიიღო დეპეშა, რომელიც იტყობინება, რომ უ-ძიან-ხის ფრონტზე დამარცხდა უ-პეი-ფუს ჯარები.

◆

პილსუდსკის რესპუბლიკაში

პოლონეთი და ამერიკა

ბერლინი, 9 აგვისტო. ვარშავიდან მიღებული ცნობით პოლონეთსა და ამერიკელ ბანკირებს შორის მოლაპარაკება სესხის მიცემის შესახებ უკვე შეწყდა. პრესა ამ მოვლენის მიზეზად სთვლის პოლონეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის გაურკვევლობას და იმ გარემოებას, რომ ამერიკას სურს თვალ-ყური ადევნოს აღმოსავლეთ ევროპის მომავალ განვითარებას.

ლიტვის საზღვარზე

პარიზი, 9 აგვისტო. ვარშავიდან მიღებულ ცნობით უარყოფენ ხმებს პოლონეთის ჯარის კონცენტრაციის შესახებ ლიტვის საზღვარზე.

გაფიცვა ლოძში

ვარშავა, 8 აგვისტო. ლოძში ტრამვაის და გაზის ქარხნის მუშების გაფიცვა წარმატებით მიმდინარეობს. ქალაქის ის ნაწილი, რომელსაც გაზის ქარხანა უნათებდა, ბნელითაა მოცული.

◆

თეთრი ტერორი სამხრეთ სლავიაში

ოპოზიციის წარმომადგენლების ცემა-ტყეპა.—ქ. უცილაში სასიკვდილოდ სცემეს დემოკრატიულ პარტიის დეპუტატს.—მოჰკლეს დემოკრატები ვოლონოვიჩი და მილანკოვიჩი.—ოპოზიციონური პარტიების კონფერენცია.

ვენა, 8 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის მთავრობის ტერორი, 15 აგვისტოსათვის დანიშნულ საქალაქო არჩევნებთან დაკავშირებით საშინელ ხასიათს ღებულობს. არ გადის არც ერთი დღე, რომ არ სცემონ ან არ მოკლან ვინმე ოპოზიციის ბანაკიდან. უცილაში ქალაქის დემოკრატიული დეპუტატს ისე სცემეს რადიკალებმა, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია. სმედერევაში რადიკალური პარტიის კანდიდატმა ილიჩმა მოკლა რევოლვერით დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ვოლონოვიჩი. რიეპში რადიკალები შეუვარდენ ღამით სახლში დეპუტატ მილიანკოვიჩს, გაიტაცეს ის და მოკლეს. დემოკრატებმა ბელგრადში და სხვა ქალაქებში მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია ტერორის წინააღმდეგ. ფიქრობენ აგრეთვე ყველა ოპოზიციონური პარტიების წარმომადგენლობის კონფერენციის მოწვევას ტერორის საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხების განსახილველად.

კომუნისტების დაპატიმრება

ვენა, 8 აგვისტო. ბულგარეთის პოლიციამ დააპატიმრა ყოფილი კომუნისტი დეპუტატი ნოვაკოვიჩი და „ტრუდბენიკ"-ის სააგენტოს დირექტორი ბოიტოვიჩი, რომელსაც თითქოს უნახეს პარტიის კონფერენციის რეზოლიუციები. ოპოზიციური ორგანო „ნოვოსტი" ამ პირების დაპატიმრებას უკავშირებს 15 აგვისტოსთვის დანიშნულ სათემო არჩევნებს და აღნიშნავს, რომ შემდეგშიაც მოსალოდნელია მასიური დაპატიმრებანი, რადგან რადიკალებს განზრახვა აქვსთ ხელი შეუშალონ კომუნისტებს საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში.

◆

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენცია

მოსკოვი, 9 აგვისტო. პარიზიდან ჩამოსულმა საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციის დელეგაციის წევრმა **რეინგოლდმა** საკავშირო დეპ. სააგ. თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„მიუხედავად იმისა, რომ ფრანკის დაცემამ დიდათ შეამცირა საფრანგეთის კაპიტალი, მას მაინც საკმაო თანხები აქვს. ზედმიწევნით ფრთხილი გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის კაპიტალის საზღვარ-გარეთ გაქცევის შემდეგ იგი მოექცა ბანკებში არა ნაკლებ 10 მილიარდი ფრანკის რაოდენობით. ფრანკის სტაბილიზაციას მეორე დღესვე საფრანგეთში არა ერთი მილიარდი გამოჩნდება, რომელიც რაიმე სახარგებლო წარმოებაში დაბანდებას მოითხოვს. ამასთანავე, ფრანკის სტაბილიზაცია და მასთან დაკავშირებული აუცილებელი ეკონომიური კრიზისი, მრეწველობის შეზღუდვა და უმუშევრობა, აძლიერებს საფრანგეთის მრეწველობის ინტერესს საბჭოთა ბაზრისადმი. შესაძლებლობა, რომ გრძელვადიანი კრედიტების მიღების გზით უზრუნველყოფილი იქნება დაუბრკოლებელი მუშაობა, თანდათან მიმზიდველი ხდება სამრეწველო წრეებისათვის.

ამ საფუძველზე წარმოიშობა ის რეალური ეკონომიური ინტერესი, რომელიც სპობს იმ შესაძლებლობას, რომ საბჭოთა კავშირის კრედიტებს ფილანტროპიული თვალსაზრისით მიუდგენ. ეს ინტერესები იმდენად რეალურია, რომ მას ანგარიში უნდა გაუწიოს საფრანგეთის ყოველმა მთავრობამ.

აი, რატომ ვფიქრობ მე, რომ ამას წინედ საფრანგეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები არსებითაც ვერ შესცვლიან პარიზის კონფერენციის მუშაობის ნორმალურ მსვლელობას

◆

შინაპარტიული დემოკრატიის გატარება

(„პრავდა"-ს მოწინავე)

მოსკოვი, 9 აგვისტო. „პრავდა"-ს მოწინავე „შინაპარტიული დემოკრატიის რეჟიმის გატარების შესახებ" აღნიშნავს, რომ 1925 წლის ცენ. კომ. ნოემბრის პლენუმის დირექტივები მთლიანად და სავსებით არ დარჩენილა ქაღალდზე, როგორც ამას ზოგიერთი ამხანაგები გვისურათებენ, არამედ ის ტარდება ცხოვრებაში პარტიის ფართო წრეების აქტიური მონაწილეობით.

ორგანიზაციების დიდ უმრავლესობის ცხოვრებაში დადასტურებულია პარტიული ცხოვრების მნიშვნელოვანი გამოცოცხლება. მე-14 ყრილობისა და ცეკას კომ. პლენუმის გადაწყვეტილებებისა და პარტორგანიზაციების მოხსენებების დამუშავებაში ჩაბმულია და თანდათან ფართო მონაწილეობას ღებულობს პარტიის მთელი მასა. პარტორგანიზაციების საარჩევნო სისტემის ჩატარებამ განვლილ დროში საგრძნობი ნაბიჯები გადადგა წინ. უჯრედთა არჩეული ბიუროების და პარტიული კომიტეტების გაფართოება აღწევდა 40—50 პროც., ხელს უწყობდა ახალი პარტიული კადრების წამოყენებას და პარტაქტივის კვალიფიკაციის ზრდას.

დიდი მიღწევები არის საგანმანათლებლო მუშაობის დარგში. დამახასიათებელია აგრეთვე კრიტიკის ელემენტების გაძლიერება პარტიულ ორგანიზაციების მხრივ. მიუხედავათ ამისა, მიღწეული შედეგებით გულის დამშვიდება იქნებოდა საზარალო. ზოგიერთ ადგილებში ჩვენ გვხვდება პარტიის დირექტივების სრული გაურკვეულობა შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების პრინციპით განისაზღვრება. ზოგიერთ ადგილებში ხდება ბიუროკრატიული პარტიული კრებებიც ხშირია წინასწარ ანგარიშის და გეგმის უქონლობა ახალი კადრების წამოყენების სფეროში და აგრეთვე უმაღლესი პარტორგანიზაციების მიერ დაბალი ორგანიზაციების ინიციატორობის გამოყენებაში. ჯერ კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი პოლიტიკური ანბანის უცოდინარობის ლიკვიდაციის სფეროში. ნოემბრის პლენუმმა და პარტიულმა ყრილობამ სწორი დირექტივები მისცა პარტიას შინაპარტიული დემოკრატიის ამოცანების გარშემო. **პირველი:** ფართო პარტიული მასის აქტივობის გამოყენება პარტიის პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების გარჩევის დროს. **მეორე:** ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების განხორციელება და ახალი პარტიული კადრების წამოყენება ხელმძღვანელო სამუშაოზე.

მესამე: პარტაქტივის თეორიული მომზადების კვალიფიკაციის გაძლიერება და ლენინიზმის საფუძვლების ფართო პარტიულ წრეებში გავრცელება. ამ ამოცანებს გადამწყვეტი მიზანი აქვს: პარტიის რიგების განმტკიცება და პარტიის მთლიანობის დაცვა მუშათა და გლეხთა კავშირით, და საერთოდ ბოლშევიკური გამძლეობის განმტკიცება. საკავშირო კომუნ. პარტიის ც. კ. და ც. ს. კომისიის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტების კამპანიის ჩატარება, რომელიც პარტიული მასის აქტიური მონაწილეობით ხდება, შეურყევლად ამტკიცებს, რომ პარტიული მასა საკმაოდ მომზადებულია — განაგრძოს შინაპარტიული დემოკრატიის კურსი, უარჰყოს ყოველგვარი წინადადება ბოლშევიზმის ჩამოყალიბებულ ორგანიზაციულ პრინციპების შეცვლაზე და ფრაქციულობისა და ჯგუფობრიობის დაშვებაზე, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ასეთი წინადადებები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გლეხკომების ყრილობა

თელავი, 9 აგვისტო. გაიხსნა გლეხკომების მე-3-მე ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილია 19 თემი. ჩამოვიდა 50 დელეგატი. ყრილობაზე ესწრება საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის კომისარი ამხ. ხომერიკი, ყრილობამ მოისმინა მოხსენებები გლეხკომების ცენტრალურ და სამაზრო კომიტეტების. ყრილობამ აღნიშნა მუშაობის გაცხოველება ადგილებზე, გაფლანგვების და ბოროტმოქმედების ლიკვიდაცია გლეხკომებში. ცენტრალურ და სამაზრო კომიტეტების მუშაობა მოწესრიგებულ იქნა. გამოტანილ იქნა დადგენილება, სამაზრო და სათემო კომიტეტების გეგმიან მუშაობაზე გადაყვანის შესახებ. საჭიროთ სცნეს გლეხკომის გადარჩევა შემდეგი ზამთრის თვეებში ჩატარდეს. მოისმინეს მოხსენებები ადგილებიდან და საკრედიტო ამხანაგობების მუშაობის შესახებ.

მინდვრებზე

ჭიათურა, 9 აგვისტო. სიმინდის მოსავალი მთა-გორიან ადგილებში, განსაკუთრებით საჩხერის რაიონში მოსალოდნელია კარგი იქნეს. დაბლობ ადგილებში წვიმების გამო ბევრი ნათესები დაზარალდა. ხილის მოსავალი საშუალოა.

მემაღაროელების დასახმარებლად

სოხუმი, 9 აგვისტო. უკანასკნელ ხანში მთელ აფხაზეთში ინგლისის მაღაროს მუშების დასახმარებლად გაძლიერებული კამპანია სწარმოებს. ადგილკომების გადარჩევის დროს, პროფკავშირების წევრებს გამოაქვთ დადგენილებანი დღიური ხელფასის მეოთხედის გადადების შესახებ. 7 აგვისტოს საღამოს შესდგა პიონერების დემონსტრაცია და სწარმოებდა შეწირულებების შეკრება ინგლისის მემაღაროელების სასარგებლოთ.

სომხეთი

უჩვეულო სიცხე

ლენინაკანი, 9 აგვისტო. 30 ივლისიდან დაიწყო ძლიერი სიცხე. სიცხე მზეზე 45 გრადუსამდე აღწევდა.

არხის გაყვანა

ლენინაკანი, 9 აგვისტო. სოფ. ალექსანდროვკის გლეხკომის ინიციატივით თითქმის დამთავრდა არხის გაყვანა, რომელიც უერთდება შირაქის არხს და რწყავს 350 დესეტინა მიწას. არხის სიგრძე 3½ ვერსია. სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველომ გლეხებს დიდი დახმარება გაუწია არხის გაყვანის დროს.

ბელგიის მუშათა დელეგაცია ბაქოში

შეხვედრა სადგურზე

ბაქო, 9 აგვისტო. 8 აგვისტოს თბილისიდან ბაქოში ჩამოვიდა ბელგიის მუშათა დელეგაცია. დელეგაციას სადგურზე შეხვდნენ: აზერბეიჯანის პროფსაბჭოს და პროფსაბჭოს ცენტრალურ გამგეობების წევრები და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. აზერბეიჯანის მშრომელთა სახელით დელეგაციას მიესალმა აზერბეიჯანის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ივანოვი. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ვერკრეზმა;

სადგურიდან დელეგაცია გაემგზავრა სარეწაოების დასათვალიერებლად.

ნავთის სარეწაოებში

ბაქო, 9 აგვისტო. ბელგიის მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა ნავთის სარეწაოები; დაწვრილებით გაეცვნენ მის მდგომარეობას, ინახულეს მუშების ახალშენები და სტადიონი.

დელეგაციის წევრმა სტეზენსმა სთქვა: „ბაქოს მუშა უკეთესად ცხოვრობს, ვინემ ბელგიის მუშა".

კავშსაბჭოს გაფართოებული სხდომა

ბაქო, 9 აგვისტო. საღამოს შესდგა აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული სხდომა ბელგიის მუშათა დელეგაციის თანადასწრებით. მუშათა დელეგაციის გამოჩენამ დარბაზში გამოიწვია დამსწრეთა აღფრთოვანებული ოვაციები.

ურთი-ერთ მისალმების შემდეგ გამოდის ბელგიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე ვერკრეზი. ის ადარებს საბჭოთა კავშირის მუშების ცხოვრებას ბელგიის მუშათა კლასის ცხოვრებას და ამბობს:

„საბჭოთა კავშირის მუშები სარგებლობენ შვებულებით და ატარებენ დასვენებას სანატორიუმებში, დასავლეთ ქვეყნების მუშები თავის ბურჟუაზიიდან ღებულობენ მხოლოდ ერთხელ შვებულებას—ეს არის საფლავში გასტუმრება. აქ თქვენ გაქვთ ღამის დისპანსერები—იქ კი საშინელი მძიმე შრომა და ცხოვრების სიძვირე.

დასასრულ ვერკრეზმა სთქვა: ჩვენ წავალთ თქვენგან, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჩვენ ბევრი ვისწავლეთ თქვენგან და ვიქნებით თქვენთან, სანამ მთელ მსოფლიოში არ გაიმარჯვებს სოციალისტური რევოლიუცია.

სხდომის დახურვის შემდეგ, დელეგაცია გაემართა ღამის დისპანსერების დასათვალიერებლად.

საუბარი ვერკრეზთან

ბაქო, 9 აგვისტო. ბელგიის დელეგაციის თავმჯდომარემ ვერკრეზმა ამიერ-კავ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს, შეეხო რა იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც მან მიიღო სარეწაოების დათვალიერების დროს, განაცხადა; ჩვენ განცვიფრებული ვიყავით, როცა დავინახეთ მთელი ტყე კოშკებისა და მაშინ მივხდით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბაქოს ნავთს საბჭოთა კავშირისათვის. ჩვენ გავეცანით სარეწაოების მუშების ყოფა-ცხოვრებას და მივედით იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა ხელისუფლება აუცილებლად ცდილობს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. მე ბელგიის ტრამვაის მუშების წარმომადგენელი ვარ და განცვიფრებაში მომიყვანა ბაქოს ელექტრონის გზის მოწყობილობამ; მე დიდი სიამოვნებით გავეცნობი მათ უფრო დაწვრილებით.

დასასრულ ვერკრეზმა სთქვა: ჩვენი დელეგაციის მიზანია ხელი შეუშალოთ კაპიტალისტებს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მუშაობაში მუშათა კლასში ერთობის დამყარების მიზნით.

დელეგაციის დაბრუნება

ბაქო, 9 აგვისტო. დღეს დილიდანვე ბელგიის მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა ტრამვაის პარკი, საბუნჩის ელექტრონული გზა და ახნავთის ქარხნები, რის შემდეგაც გაემგზავრა 26-ის საფლავზე, რომელიც დელეგაციის თავმჯდომარემ ვერკრეზმა დელეგაციის სახელით შეამკო გვირგვინით.

შემდეგ დელეგაციის საპატივსაცემოდ მოეწყო სადილი.

დღის 18 ს. დელეგაცია უკან—თბილისისაკენ გამოემგზავრა.

ფოილოს ხიდის საზეიმო გახსნა

კვირას, დღის 12 საათზე, მოხდა ამიერ-კავკასიის რკინისგზების ფოილოს ახალი ხიდის საზეიმო გახსნა.

დილის 10 საათზე მატარებელი № 1-თ ფოილოში ჩავიდენ გზათა მიმოსვლის კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. **შალვა ელიავა** და ა.-კ. რკ.-გზ. სამმართველოს პასუხის მგებელი მუშაკები. მატარებლის ფოილოში ჩასვლის შემდეგ, ხაზი ფოილო-სალოგლის შუა დაიკეტა და სარემონტო მუშები რკ.-გზ. ბათალიონის გუნდთან ერთად შეუდგნენ მუშაობას ახალი შტოს მთავარ ხაზთან შესაერთებლად.

სადგურზე სტუმრებს შეხვდა ხიდის სამუშაოების უფროსი ინჟ. **ანდრონიკაშვილი** და ხიდის ამშენებელი მუშები.

მოკლე მისალმების შემდეგ სტუმრები საგანგებო ვაგონით გაემართნენ ხიდის გამოცდაზე. ხიდის გამოცდას ხელმძღვანელობს სპეციალური კომისია პროფესორ **ზავრიევის** მეთაურობით. ხიდზე მოწყობილია სპეციალური აპარატები, რომლებიც სისწორით აღნიშნავენ ოდნავ ცვლილებასაც კი თუ მას ადგილი ექნება ხიდის გამოცდის დროს. გამოსაცდელად ხიდზე რამდენჯერმე გატარებულ იქნა სხვადასხვა სიჩქარით (5-დან 40 ვერსამდის საათში) სპეციალური მატარებელი ორი მძლავრი ორთქლმავალით და 16-ი ვაგონით. ხიდმა ბრწყინვალეთ დაიჭირა გამოცდა. ეხლა მასზე შეუძლიათ მიმოსვლა ა.-კ. რკ.-გზებზე მოძრავ ყველა მატარებლებს განუსაზღვრელი სიჩქარით. გამოცდა გაგრძელდა სულ 1½ საათისა და ამ ხნის განმავლობაში მოხდა ახალი შტოს შეერთება მთავარ ხაზთან.

გამოცდის დამთავრების შემდეგ, ხიდის გახსნის მონაწილენი თავს იყრიან ხიდთან რომლის თავში გაბმულია წითელი ლენტი. ამხ. **ელიავა**, ინტერნაციონალის ჰიმნის ქვეშ სჭრის ლენტს და ხიდი ოფიციალურათ გახსნილად ცხადდება. ამავე დროს ხიდზე პირველად გაიარა საფოსტო მატარებელმა № 8 თავისუფლად, სისწრაფის შეუნელებლად.

ხიდის გახსნის შემდეგ სად. ფოილოში იმართება მიტინგი, რომელსაც გარდა მუშებისა დიდ ძალი გლეხობაც დაესწრო მახლობელ სოფლებიდან. მიტინგზე გამოვიდნენ მისასალმებელ სიტყვებით: ამხ. **შ. ელიავა, გ. ჩხეიძე**, ინჟ. **ანდრონიკაშვილი, მამედ-ბეკოვი** (კავშირის წარმომადგენელი) მუშა-მემანქანე ამხ. **ბუდაუსკი** და სალიანდაგო დარგის უფროსი ინჟ. **კულანდა**.

ამხანაგები აღნიშნავენ ფოილოს ახალი ხიდის უდიდეს მნიშვნელობას, ა.-კ. რკ.-გზებზე მოძრაობის გაუმჯობესების საქმეში და ხაზს უსვამენ მის ამშენებელ მუშების და მათ ხელმძღვანელების უდიდეს ღვაწლს.

მიტინგის დროს წაკითხულ იქნა მისასალმებელი დეპეშები: ჯულფა-ბაქოს რკინისგზის მუშებისა და კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სარდლისაგან. მიღებულ იქნა აგრეთვე დეპეშა სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ამბარცუმიანისაგან**. ამხ. შ. ელიავამ, გზათა მიმოსვლის კომისარს ამხ. **ი. რუძუტაკს** მოსკოვში გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც აცნობა ხიდის გახსნის ამბავი.

მეურნეობის აღსადგენად

95. 764. 000 მანეთი მეურნეობის აღსადგენად

ა.-კ. საგეგმო კომისიამ შეიმუშავა ადგილობრივი მეურნეობის აღდგენის გეგმა, რომლის მიხედვით ამ საქმისათვის საჭიროა 95.764.000 მანეთი.

აქედან **სახალხო განათლებისათვის** საჭიროა 24.870.000 (საქართველოსათვის—11.113.000 მან., აზერბეიჯანისათვის—10.040.000 მან., სომხეთისთვის—3.700.000 მან.). **სახალხო ჯანმრთელობისთვის**—13.196.000 მანეთი (საქ.—5.700.000 მ., აზერბეიჯ.—5.730.000 მან., სომხეთ.—4 მილიონი მან.). **კომუნალური მეურნეობისათვის**—28 მილიონი მანეთი (საქ.—8 მილიონი მან., აზერბეიჯ.—14 მილიონი მან., სომხეთი—6 მილიონი მან.). **საგზაო მშენებლობისათვის**—2.500.000 მან., **სასოფლო მეურნეობისათვის**—3.834.000 მ., **აგარაკებისათვის**—830.000 მანეთი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომუნალურ წარმოებათა და კომუნალურ მშენებლობას.

დღემდე ადგილობრივი მეურნეობა დეფიციტიანი იყო. ერთად-ერთი საშუალება, რომელიც მას დეფიციტიანობიდან იხსნის ეს არის სამაზრო და კომუნალურ წარმოებათა ზრდა-გაფართოება.

საქართველოში ამ გეგმით განზრახულია აგებულ იქნეს ფაბრიკა-ქარხნები (კარაქის საკეთებელი, ყველის დასამზადებელი, აგურ-კრამიტის ჭურჭლეულის, ხილის სახმობი ფაბრიკა-ქარხნები და სხვა). სამაზრო ელექტრომშენებლობისათვის დანიშნულია 446.000 მან.; საბინაო მშენებლობისათვის 2.325.000 მანეთი.

კრედიტები უცხოეთიდან

ა.-კ. მრეწველობისათვის უცხოეთიდან მიღებული იქნება 3.700.000 მან. მოწყობილობა ა.-კავ. ფაბრიკა-ქარხნებისათვის

მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიის სავაჭრო საპაიო ამხანაგობის საშუალებით უცხოეთიდან მიღებული იქნება გრძელვადიანი კრედიტი ა.-კ. მრეწველობისათვის საჭირო იარაღების და მანქანების სახით.

სათანადო გეგმით სულ შემოტანილი უნდა იქნეს ამიერ-კავკასიაში 3.700.000 მანეთის ღირებულების სხვადასხვა მოწყობილობა. შეკვეთები ამ მოწყობილობაზე უკვე გაეგზავნა საგარეო ვაჭრობის კომისარიატს, რომელმაც თავის მხრივ ეს შეკვეთები გადასცა შესასრულებლად იმ საზღვარ-გარეთელ ფირმებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს გრძელვადიანი საგარეო კრედიტის გაღებაზე.

პარკის დამზადება

ოზურგეთის რაიონში

მიმდინარე წლის კამპანიის განმავლობაში ოზურგეთის მაზრაში სულ დამზადებულია აბრეშუმის ნედლი პარკი, პირველი ხარისხის—4.423 ფუთი, მეორე ხარისხის—2.344 ფუთი, 767 ფუთით მეტი წარსულ წელთან შედარებით. აბრეშუმის პარკის გამყიდველებმა მიიღეს 144.181 მანეთი, საშუალოდ ყოველმა მეაბრეშუმემ—30 მანეთამდე.

ამხ. ლუნაჩარსკი საქართველოში

მორიგი ამოცანები განათლების დარგში

(საუბარი რ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო განა თლების კომისართან ამხ. ლუნაჩარსკისთან)

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა რ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო განათლების კომისარს ამხ. ა. ლუნაჩარსკის მორიგ ამოცანების შესახებ სახალხო განათლების დარგში.

უმაღლეს სასწავლებლების რეფორმა

— მიმდინარე წელში, განაცხადა ამხ. ლუნაჩარსკიმ, უმაღლეს სასწავლებლებში გატარებულ იქნა ერთგვარი რეფორმა, რომელიც დაკავშირებულია მიღების წესთან. შემოღებულია აუცილებელი წინასწარი გამოცდა. ამით ჩვენ გვინდოდა რაც შეიძლება უფრო მუყაითი სტუდენტობა გვყოლოდა უმაღლეს სასწავლებლებში. ამასთანავე ერთად, რასაკვირველია, ვცდილობდით რომ არავითარ შემთხვევაში არ შემცირებულიყო მუშურ-გლეხური სტუდენტობის პროცენტი. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეფორმამ სავსებით ვერ მოგვცა ის შედეგები, რომლებსაც ჩვენ ველოდით. საქმე იმაშია, რომ აუცილებელმა გამოცდამ „დააფრთხო" მუშფაკელები, რომლებიდანაც საგრძნობი ნაწილი ჩაიჭრა.

ამით შესაძლოა შემცირდეს მუშურ-გლეხური სტუდენტობის პროცენტი, მით უმეტეს, რომ გამოცდების გარეშე მშრომელ ინტელიგენციის შკოლებისათვის დათმობილი იქნა 3.000 ადგილი და ეს ადგილები ყველა შევსებულია.

სწავლის წყურვილი

უნდა აღინიშნოს, რომ წელს არაჩვეულებრივი მისწრაფებაა უმაღლეს სასწავლებლებისაკენ. მთხოვნელთა რიცხვი თითქმის ათჯერ აღემატება თავისუფალ ადგილების რაოდენობას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთხოვნელთა შორის საკმაო რაოდენობა არ არის სათანადოთ მომზადებული უმაღლეს სასწავლებლებისათვის. ეს გამოაშკარავა გამოცდებმა.

გამოცდებმა დაგვანახვა ისიც, რომ ყველაზე უკეთესათ მომზადებული არის ცხრაწლედებიდან გამოსული ახალგაზრდობა.

ამხ. ლუნაჩარსკი კოჯორში

თბილისში ყოფნის დროს ამხ. ა. ლუნაჩარსკი გაემგზავრა კოჯორში საბავშო ახალშენების დასათვალიერებლად. მას თან ახლდა საქართველოს სახალხო განათლების კომისარი ამხ. დ. კანდელაკი და განათლების კომისარიატის კოლეგიის სრული შემადგენლობა.

ამხ. ლუნაჩარსკიმ ინახულა კოჯორის საბავშვო სახლი—კლუბი.

საბავშვო სახლმა—კლუბმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამხ. ლუნაჩარსკიზე.

ამხ. ლუნაჩარსკის არც კი აცალეს სხვა საბავშვო სახლების დათვალიერება. როგორც კი გაიგეს ბავშვებმა მისი ჩამოსვლა თვითონ გაეშურენ კლუბისაკენ და ოვაციები გაუმართეს სტუმარს. ბავშვებმა შეასრულეს სხვადასხვა სიმღერები და ნაციონალური ცეკვა. ამხ. ლუნაჩარსკის განსაკუთრებით მოეწონა პიონერთა ქართული მარში, და სთხოვა აქვე მყოფ მის ავტორს, საბავშვო სახლის მასწავლებელს, გადაეწერა ეს მარში მისთვის. ბავშვებმა ერთხმად აირჩიეს ამხ. ლუნაჩარსკი საპატიო პიონერად. და გადასცეს მას პიონერის ნიშანი წითელი ყელსახვევი.

კოჯორიდან დაბრუნებისას ამხ. ლუნაჩარსკიმ გამოსთქვა აზრი, რომ სასურველი იქნებოდა კოჯორის მთლიანი საბავშვო ახალშენათ გადაკეთება.

ამხ. ლუნაჩარსკის გამგზავრება

გუშინ ნაშუადღევის 3 საათზე რ. ს. ფ. ს. რ.-ის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ა. ლუნაჩარსკი, რომელმაც დაჰყო თბილისში 2 დღე, გაემგზავრა დასასვენებლათ ბორჯომში.

ქრონიკა

დ. კანდელაკის დაბრუნება

განათლების სახალხო კომისარი ამხ. დ. კანდელაკი დაბრუნდა შვებულებიდან და უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

თბილისის აღმასკომში

— **საბინაო ამხანაგობები.** ვინაიდან დღეს თბილისში არის 800 მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლი და მხოლოდ 200 საბინაო-საიჯარო ამხანაგობაა, აღმასკომმა გადასწყვიტა გაადიდოს უკანასკნელთა რიცხვი.

— **ბინები მუშებისათვის.** საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობა „მელითონემ" განცხადება შეიტანა აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოში, რომ მას მიეცეს მე-12-ე სამილიციო უბანში ერთი ნაკვეთი მიწა ახალი სახლის ასაგებად მუშა-მოსამსახურეთათვის.

განათლების კომისარიატში

— **პედაგოგიურ ინსტიტუტში.** თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში წელს მიიღებენ 30 კაცს, მისაღები გამოცდები დაიწყება 14 სექტემბრიდან.

შრომის კომისარიატში

— **თამბაქოს საწყობის მომუშავეთათვის.** შრომის სახალხო კომისარიატმა შეუთანხმდა სამეურნეო ორგანოებს, რათა თამბაქოს საწყობის მუშებს მიეცეს: რძე, კარაქი და სხვა ცხიმოვანი ნივთიერებანი.

— **კლინიკური ლაბორატორია.** შრომის კომისარიატი შეუთანხმდა დაზღვეულთა სამკურნალო ქვე-განყოფილებას, რათა პროფესიონალურ სნეულებათა პოლ-კლინიკასთან, ავადმყოფობათა გამოსარკვევად დაარსდეს კლინიკური ლაბორატორია.

სხვადასხვა

— **ქაღალდის შემოტანა.** ა.-კ. კოოპერატივთა კავშირს განზრახული აქვს შემოიტანოს 165 ტონა სხვადასხვა ქაღალდი..

— **ახალი წიგნი.** გადაითარგმნა და იბეჭდება კორნილოვის წიგნი: „ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო".

— **საქართველოს კურორტების ცნობარი.** დაიბეჭდა და ამ დღებში გამოვა გასასყიდად, პირველად ქართულ ენაზე,—„საქართველოს კურორტების ცნობარი", გ. ლეონიძის რედაქციით.

— **ხუთშაბათს 12 აგვისტოს** საღ. 7 საათზე გან. მუშ. სახლში შესდგება გან. მუშ. კავშირის წევრ. ტექნიკურ თანამშრომელთა საერთო კრება.

სია ჩაუბარებელი დეპეშებისა

მოსკოვიდან—მიქაძეს, წაღვერიდან—ლევიტინს, ბათომიდან—ასკორაბს, სამარკანდიდან—მუკუმჯანოვს, სტალინგრადიდან—სარიჩევს, კიშტმიდან—ბედროსევისას, ტამბოვიდან—კოლიბრიანსკის, ბახმაროდან—თოთიბაძეს.

ხელოვნების ქრონიკა

— **სტუდიაში მიღება.** თანამედროვე რევოლიუციონური თეატრის სტუდიაში (რუსთაველის გამზირი № 12) 1 სექტემბრიდან დაიწყება ახალი მსმენელების მიღება.

შემთხვევები

— **ქურდობა.** 9 აგვისტოს ვარდისუბნის ქ. № 5-ში გაქურდეს ექიმ დ. გედევანიშვილის ბინა, საიდანაც წაიღეს 600 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

— **ტანთსაცმელების მოპარვა.** 7 აგვისტოს გაქურდეს ა. გიგოლოვის ბინა, საიდანაც წაიღეს 60 მან. ღირებული სხვადასხვა ტანთსაცმელები.

— **ქურდი ცოლი.** ივლისის ბოლო რიცხვებში გაქურდეს პატოჩნი ქ. მცხოვრები ე. მანუკოვა, აღმოჩნდა, რომ ქურდობა ჩაუდენია თვით მანუკოვის ცოლს.

— **სისტემატიური დანაშაულობათა ჩადენისათვის.** ნ. კრილენკო და ბ. ახფეონოვს, რომელნიც სისტემატიურად ჩადიოდენ სამსახურში სხვადასხვა დანაშაულს და სიყალბეს, დაპატიმრებულ იქნენ და გადაიგზავნენ სპეციალურ დანიშნულების იზოლიატორში.

თავდამსხმელების შეპყრობა

— 29 ივლისს, თბილისიდან მიმავალი გლეხები ავჭალის გზაზე გაძარცულ იქნენ ბოროტმოქმედების მიერ.

ერთი ბოროტმოქმედთაგანი არჩვაძე იმ დღესვე იქნა შეპყრობილი, მეორემ კი მოასწრო გაქცევა.

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების მიერ მიღებული ენერგიული ზომების წყალობით ბოროტმოქმედი ე. დონაძე შეპყრობილ იქნა ველისციხეში (სიღნაღის მაზრა).

დონაძეს თან აღმოაჩნდა „ნაგანის" სისტემის რევოლვერი და რამოდენიმე ვაზნა.

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებს ბოროტმოქმედ დონაძის შეპყრობის საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინა ველისციხის თემაღმასკომის მდივანმა და თავმჯდომარემ.

გამოირკვა, რომ დონაძე ველისციხეში სცხოვრობდა შალვა მაისაშვილის გვარით.

ს. ს. მილიციაში დაკითხვის დროს დონაძემ თავი სცნო დამნაშავედ.

ონის გზაზე მომხდარი კატასტროფის მიზეზები

მიღებული ცნობებით, კატასტროფა მომხდარა შემდეგ პირობებში:

ონიდან 22 ვერსის მანძილზე მთიდან მოშვავებულა ქვა, რომელიც მოხვედრია ავტობუსის წინა ბორბლებს, რის გამო შოფერს ავტომობილის საჭე ხელიდან გაუსხლტა. ქვას ჩამოვარდნა იმდენად ძლიერი იყო, რომ ავტობუსი გადავარდა, დაეშვა 12 საჟენის მანძილზე და გადაბრუნდა მდ. რიონის ნაპირას.

ავტომობილის გადაბრუნება

7 აგვისტოს კოჯრის გზაზე ღამის 11 საათზე სოფ. ტაბახმელის მახლობლად გადაბრუნდა თბილისისაკენ მომავალი ა.-კ. რკ. გზების სამმართველოს კუთვნილი ავტომობილი № 272, რამდენიმე მგზავრი საგრძნობლად დაშავდა. შოფერი გიორგობიანი დაპატიმრებულია.

ელექტროფიკაცია

აბაშის ელექტრო. სადგური

აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საბჭოთა კავშირის „ელექტროსტროისთან" 300.000 მან. ხელშეკრულების დადების შესახებ. „ელექტროსტროიმ" იკისრა 10 თვის განმავლობაში საჰაერო ხაზის გაყვანა ქალ. აბაშიდან ქალ. ფოთამდე, გადამცემი სადგურების აშენება აბაშასა, სოფ. ბანძასა, მარტვილსა, ახალ-სენაკსა და ფოთში. კომიტეტმა დაამტკიცა ეს ხელშეკრულება. 10 თვის შემდეგ ჰიდრო-ელექტრო სადგური მუშაობას დაიწყებს.

ახალი ელექტრო-სადგური ოზურგეთში

ოზურგეთის კომუნალური მეურნეობა შეუდგა წინასწარ მუშაობას ახალი ელექტრო-სადგურის მოწყობისათვის. შედგენილია შენობის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა. შენობის აგებას შეუდგებიან შემოდგომის დასაწყისში.

ყინულის ქარხანა

ფოთში მუშაობა დაიწყო აღმასკომის ახალმა ყინულის ქარხანამ, რომელიც ქალაქის გარდა ყინულს მიაწოდებს უცხოეთის გემებსაც.

შავი ქვის ექსპორტი

ივლისის განმავლობაში სააქციო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცმა" ჭიათურიდან გაიტანა 38.587.824 ტონა მარგანეცი.

კონფერენცია

12 აგვისტოს თბილისში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია, რომელიც გაგრძელდება 4 დღე. კონფერენციის შემდეგ ყველა მონაწილენი გაემგზავრებიან წინამძღვარიანთ კარში, სადაც გაიხსნება სამეურნეო სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, კურსებზე სწავლა გაგრძელდება 10 სექტემბრამდე.

სასამართლო

ბ. ხრაპკინის საქმე

წინასწარი გამოძიება ბორის ხრაპკინის საქმეზე დასრულდა.

ხრაპკინს ბრალად ედება დიდძალი ძვირფასი ნივთების გატაცება.

ბრალდებული ხრაპკინი მიხა ვანიძის მონაწილეობით თავს დასხმია სამსონ კაცუტაშვილის ოჯახობას და განუცხადებია მათთვის, რომ ისინი არიან სისხლის სამართლის მილიციის აგენტები და დავალებული აქვთ მათი ბინის გაჩხრეკა. ბრალდებულებმა აღმოაჩინეს ძვირფასი ნივთები, რაზედაც შეადგინეს სათანადო ოქმი. ნივთები კი წაიღეს და მიიმალენ. ამ საქმის გამო მილიციამ ეჭვით შეიპყრო ლეონიდ უტულოვი.

სასამართლოს წინაშე უტულოვმა განაცხადა, რომ მას ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვის; როგორც მას სმენია ეს ბოროტმოქმედება ჩადენილია ბორის ხრაპკინის მიერ. სასამართლომ საქმე გადასცა დამატებითი გამოძიების მოსახდენად. ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ამ საქმეში ბრალი მიუძღვის ხრაპკინს და ვანიძეს, რომელიც შემდეგ გარდაცვლილა.

ექსპერტების დასკვნით, ოქმი ძვირფასი ნივთების აღმოჩენის შესახებ არის დაწერილი ხრაპკინის მიერ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. პ. თ. ო. ქალ-რაიკომი ამით აცხადებს რომ ა.-წ. 10 აგვისტოს სამშაბათს საღამოს 6 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კლუბში შესდგება ჯგუფობრივი კრება შემდეგ უჯრედების: 23, 29, 32, 34, 36, 39, 44, 45, 47, 28, 62, 58.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საკავშირო კომპარტიის ც. კ. და ც. ს. კ. ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ.

საქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტ-კანდიდატ. მიღების შესახებ 1) დავით ნახუცრიშვილს, 2) გიორგი პაპიევს, 3) იპოლიტე ვეფხვაძეს, 4) გრიგოლ აბაშიძეს, 5) ლეო გორგაძეს, 6) ივანე ტიაშვილს, 7) ლავრენტი დვალს, 8) იოსებ კუზანოვს, 9) ისაკი კუპრაძეს.

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გვაცნობოს 10 დღის განმავლობაში.

კოუმუჯრედის მდივანი: მურადოვი.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ვ. ბოლოკაის გამოცხადდეს ამხ. ჩარკვიანთან საალ.-განმ. განყოფილებაში.

მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ქალთა სადელეგატო კრება გადატანილია ოთხშაბათისათვის, 11 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში ყველა დელეგატების, ქალთა ორგანიზატორების და დიასახლისების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის და მასთან არსებულ ქ. მუშათა ფაკულტეტის ახ. გაზ. ლენ. კ. კავშირის უჯრედის ბიურო აცხადებს სამშაბათს (10) აგვისტოს საღამოს 5 საათზე შესდგება ახ. კომ. კავშირის წევრთა კრება დასწრება სავალდებულოა ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს 11 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება პლენუმი მეორე რაიკომის უჯრედების მდივნებთან ერთად.

მეორე რაიკომის ყველა წევრების და აგრეთვე უჯრედების მდივნების დასწრება დაუგვიანებლად, სავალდებულოა.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე შესდგება რაიკომის პლენუმი.

რაიკომის ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

საზ. უნივერსიტეტის და მასთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო ამით აცხადებს უჯრედების წევრთა საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 10 აგვისტოს (სამშაბათს) საღამოს 6-ს საათზედ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კლუბში (ელბაქიძის დაღმართი ამხ. ცხაკაიას სახელობის კლუბი) შესდგება აღნიშნულ უჯრედთა არაჩვეულებრივი კრება.
დასწრება სავალდებულოა.

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგიური საბჭოს წევრები და ტექნიკური პერსონალი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 7 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი წევრი

ნინო აპოლონის ასული ჯორჯიკიასი

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა 11 აგვისტოს ქალ. ქუთაისში. 3194

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებლები-უახლოესი ამხანაგები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 7 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი მასწავლებელი

ნინო აპოლონის ასული ჯორჯიკიასი

3194

კონსტანტინე (ჯაჯუ) ივანეს-ძე ჯორჯიკია და პატარა ნოდარი ჩვენს საყვარელ

ნინუს

ვასაფლავებთ 11 აგვისტოს ქ. ქუთაისში. 3196 2—1

გულდამწვარი მამა, აპოლონ როსტომის-ძე მიქელაძე, დედა, ფუცუ ზურაბ-ელიავას ასული მიქელაძისა, ძმები: არდალიონ, კაკო და ჟორჟი, დები: ემილია, პოლინა და მარიკა, დეიდა კატო ელიავას ასული, სიძე გრიშა ლორთქიფანიძე და რძალი თამარა მიქელაძისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 7 აგვისტოს გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ნინუ (ვენერა) ჯორჯიკიასი

დაკრძალვა 11 აგვისტოს, ოთხშაბათს, 5 საათზე, ქ. ქუთაისში. 3195

ანნა სტეფანეს ასული, მიხეილი და დავით ჯორჯიკიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 7 აგვისტოს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი რძალი

ნინუ აპოლონის ასული ჯორჯიკიასი

3194

ბაბილინა და გიორგი ჯორჯიკიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 7 აგვისტოს, ქუთაისში გარდაიცვალა მათი უძვირფასესი რძალი და ტკბილი მეგობარი

ნინუკა მიქელაძის ასული ჯორჯიკიასი

3194

ღრმად დამწუხრებული ეკატერინე ივანეს ასული და მიხეილ გიორგისძე შენგელაია შვილებით: ელენე ყანჩელისა, გიორგი, ალექსანდრე, ნიკოლოზი და დავითი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინო აპოლონის ასული ჯორჯიკიასი

ნ. 1656

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე კესარია დოლიძისა, შვილები: ისიდორე, სოლომონ, დათიკო, თედო, თამარა, სოფიო, მაშო, რძლები: ოლღა მაშო და ლიუსია, შვილიშვილები: ვიქტორი, ვასო, ნინა, არჩილი, ვალიკო, შალვა, ქეთო, თინა და ლიდია დოლიძენი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ოზურგეთში გარდაიცვალა ოჯახის ბურჯი, ასი წლის მოხუცი, ყველას საყვარელი და დაუვიწყარი

ესე დავითის-ძე დოლიძე

დასაფლავება იქვე, სამშაბათს, 10 აგვისტოს. 3191

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ფრანცისკა ივანეს ასული ამაშუკელისა შვილებით ნელით და რენალდოთი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ ა. წ, 6 აგვისტოს, ონიდან ქუთაისში მომავალ ავტომობილის კატასტროფის დროს დაიღუპა მათთვის ძვირფასი და საყვარელი პირველისთვის მეუღლე და უკანასკნელთათვის კი მამა

ამბროსი გიორგის-ძე ამაშუკელი

დაკრძალვა მოხდება ქ. თბილისში კუკიის სასაფლაოზე, სამშაბათს, ა. წ. 10 აგვისტოს, გამოსვენება საკუთარ ბინიდან პლეხანოვის პრ. № 97, საღამოს 5 საათზე. 3210

გაუბედურებული დედა თამარ აბაშიძის ასული ამაშუკელისა, ძმები დათა და სანდრო გიორგის ძენი ამაშუკელები და დარო გიორგი ამაშუკელის ასული ლოლაძისა, რძალი ლიდა ლოლაძის ასული ამაშუკელისა, ძმისწულები—ბიძინა და ვანიჩკა ალექსანდრეს ძენი ამაშუკელები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ

ამბროსი გიორგის-ძის ამაშუკელის

უდროოთ და ტრაღიკულათ გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება 10 აგვისტოს დღით სამშაბათს გამოსვენება საკუთარ ბინიდან ნაშუადღევს 5 საათზე. პლეხანოვის ქ. № 97. 3202

ღრმად დამწუხრებული რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 6 აგვისტოს ქ. ონიდან ქალ. ქუთაისში მომავალ ავტომობილის კატასტროფის დროს ტრაღიკულად დაიღუპა მათი საუკეთესო და ძვირფასი ამხანაგი

ამბროსი გიორგის-ძე ამაშუკელი

ცხედრის გამოსვენება საკუთარ ბინიდან პლეხანოვის პრ. 97, სამშაბათს, 10 აგვისტოს საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა ქ. თბილისში კუკიის სასაფლაოზე. 3208

ს.ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატის და სოციალურ დაზღვევის სამმართველოს თანამშრომელთა ადგილობრივი კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს ადგილკომის აქტიური წევრის, აღნიშნულ სამმართველოს თანამშრომელის

ამხ. ამბროსი გიორგის-ძე ამაშუკელის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება საკუთარ ბინიდან პლეხანოვის პროსპექტი № 97, სამშაბათს, 10 აგვისტოს საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა ქ. თბილისში კუკიის სასაფლაოზე. 3207

რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამმართველო აუწყებს სამმართველოსათვის დაუღალავ, ენერგიულ და საქმისათვის თავდადებულ მუშაკის, ბუხჰალტერ-ინსტრუქტორის

ამბროსი გიორგის-ძე ამაშუკელის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. ცხედარის გამოსვენება საკუთარ ბინიდან, პლეხანოვის პრ. № 97, სამშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა ქ. თბილისში კუკიის სასაფლაოზე. 3209

ქუთაისის სამაზრო დამზღვევ კასის თანამშრომლები ღრმად მწუხარებას გამოსთქვამენ რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველოს საფონდო განყოფილების გამგის

ამბროსი ამაშუკელის

ტრაღიკულად გარდაცვალების გამო ნ. 1657

ღრმად დამწუხრებულნი: შვილები სერიოჟა ლუარსაბისძე და ელენე ლუარსაბის ასული, ძმა მიხეილ მალხაზისძე მუმლაძე მეუღლით და სიძე საშა სამსონისძე გაჩეჩილაძე, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 8 აგვისტოს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის დედა, მეორეს და და მესამის სიდედრი

მარიამ მალხაზის ასული რამიშვილისა

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება, აქვე კუკიის სასაფლაოზე 11 აგვისტოს დილით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე, პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. მისამართი: 1 თუმანოვის ქ. № 10 2—1 ჩვ. 3204

გულდათუთქულნი მშობლები: გვრიტი და სევერიანე მიმინოშვილები, დები ნათელა და თენგელა, ბაბუა ალექსანდრე ჭანტურაია, ბებიები: ჯახაია და მაკრინა, მამიდები: მინადორა, ელპიტი და კირიაკია აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს

ოთარი (ოთიკო) სევერიანესძე მიმინოშვილის

უდროოთ დაკარგვას. ნ. 1658

გულდამწვარ-დათუთქული მეუღლე მარიამი, შვილი ეთერი, ძმა ლეონტი, რძალი ბაბუცა, და საშა ყურუასი, ცოლის რძალი ნინა და ცოლის ძმა ირაკლი ცხვიტარიძეები, ბიძაშვილის მეუღლე ნადია, ბიძაშვილები ლავრენტი, იასონ, მართა, პასიკო, ვალერია წურქაველები, ეფროსინე თუთბერიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი დაუვიწყარი

მიხეილ (მიშა) იოსების-ძე წურქავას

ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ქ. ფოთში 12 აგვისტოს, ხუთშაბათს, ნახუტურუს სასაფლაოზე, დღის 4 საათზე. 3193

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

ნ. 1613 0—7

ახალი ამერიკული სურათი
კანონი და უკანონობა
პროგრამის გარეშე: შავი და თეთრი ამური
ჩქარა: მანდრენ
ვინც კინოში შესასვლელ ბილეთს იყიდის, ბაღში შესვლის ფულს არ იხდის.

დღეს, პრემიერა
სიყვარულის გამარჯვება
ჩქარა ШАХ и МАТ მონაწილეობს პრისცილა დინ.

„ყინულიანი ყეენობა"
ორი სერია—12 ნაწ. ერთად. მთავარ როლში გარრი პილ
ჩქარა ШАХ и МАТ.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 18 აგვისტოს—1926 წ. დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში ზდანოვიჩის ქუჩაზე სპირიდონ ლუარსაბისძე თორთლაძის სავაჭროში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, გაიყიდება: ხსენებული სპირიდონ თორთლაძის ქონება: 1, ასი ბოთლი დიდი და პატარა სარაჯევის კონიაკი დაფას. 200 მან. 2, ერთი დიდი ოც კილოიანა სასწორი—დაფას 30 მან. და 3, ერთი ფუთი ჩაქვის ჩაი დაფას. 20 მან.—საქართველოს მ. უ. საბჭოს სავაჭრო ქუთაისის კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ ცალკე. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1654

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 18 აგვისტოს 1926 წ. შუადღის 12 საათზე ქ. ქუთაისში ივანოვ—მარდალეიშვილის ქუჩაზე, № 90 დანიშნულია მეორე **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება პლატონ სიმონისძე ჯალაღანიას აგურის სახლი, რომელიც შეიცავს სამ საცხოვრებელ ოთახს და აივანს დახურული კრამიტით, აგებული საეზოვე ნაკვეთ ადგილზე იმავე ივანოვ—მარდალეიშვილის ქუჩაზე № 90 ზომით მიწა 60 კვად. საჟენი—დაფასებული 500 მანეთი—საქართველოს მ. უ. საბჭოს ქუთაისის სავაჭრო კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება ხუთასი მანეთიდან ან შეძლიული ფასიდან. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული მე-311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარ 10 პროც. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1654

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 18 აგვისტოს 1926 წ. შუადღის 12 საათზე ქ. ქუთაისში ივანოვ—მარდალეიშვილის ქუჩაზე პლატონ ჯალაღანიას სახლში № 90, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება ხსენებული პლატონ სიმონისძე ჯალაღანიას აწერილი ქონება: 1. ერთი კედლის სარკე—დაფას. 50 მან. 2. ერთი გასაშლელი სასადილოს მაგიდა დაფას. 30 მან. 3. ერთი ხელით საკერავი მაშინა ზინგერისა დაფას. 40 მან. და სხვ. აბრამ თოფჩიაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1654

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პ. ბ. ერისთავი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ 14 აგვისტოს 1926 წ. დილის 12 საათზე ქალ. ხონში მე-4 უბანში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება სუსანა ჭავჭანიძის ბუაძის ასულის ერთი ხის ორ თვალიანი სახლი, ყავრით დახურული. წინ ბალკონით ზევით და ქვევით ჭერით და პოლით —ორი წყვილი კარებით სამი წყვილი ფანჯრებით—აგებული საეზოვე მიწაზე, ზომით დაახლოვებით ნახევარი ქცევა, საზღვრებით შორის: აღმ. კოლია არჯევანიძის ეზო, დასავლ. მაქსიმე ჭავჭანიძის ეზო, სამხ. პეტრე წიწივაძის და ჩრდილ. გზა, 2. ერთი სასიმინდე ყავრით დახურული და 3. ერთი ჭურჭლეულობის შკაფი—აღნიშნული ქონება შეფასებულია 163 მან. და იყიდება ვასილ აბესაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, ყველა იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდექ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დროს. ნ. 1655

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ ა. წ. 13 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათზე; მატერიალნი ქუჩაზე, იობაშვილის სახლში, № 18 გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ილია იობაშვილის ორ სართულიანი სახლის ერთი მეოთხედი ნაწილი მთელ სახლში მოთავსებულია 15 ოთახი და 3 სამზარეულო აღნიშნული სახლის ერთი მეოთხედი შეფასებულია 1000 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია საზოგადოება „კახეთი"-ს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად საერთო ჯამით 1723 მან. და 23 კაპ. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე 311 მუხ. ცნობები; გარდა ამისა უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც., ე. ი. 100 მან. 3203

დავკარგე კავშირის წიგნაკი კომ. მეურნეობისა № 442, გიორგი პაჭულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3212

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი დავით ნესტორის-ძე ღვალაძის სახელზე, ჩ. გ. 3205

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 23232, გაცემული ოზურ. მაზრ. გან. კავშ. მიერ შალვა მიხეილის-ძე ხუჭუას სახელზე, ჩ. გ. 3209

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 1770, პეტრე ნესტორის-ძე ახჩახაძის სახელზე, ჩ. გ. 3206

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 5, პეტრე სანიკიძის სახელზე, ჩ. გ. 3206

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ვიქტორ იაკინთეს-ძე მახარაძის სახელზე, ჩ. გ. 3189

დავკარგე ატესტატი № 287, გაცემული სიღნაღის (ცხრაწლიან) შრომის სკოლის მიერ 21 სექტემბერს 1925 წ. ნინა ივანეს ასული აბუთლი-შვილის სახელზე, ჩ. გ. 3190

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 5173, მარინა ისაკის ასული ქალდიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3197

დავკარგე თამასუქები (700 მან.) ალექსი არაქელოვის და ალექსი ვართანოვის ხელ მოწერილი 5 ც. 100 მ. და 1 ც. 200 მანეთიანი და რეგისტრაციის ქაღალდი მარდახ ილიას-ძე ბინიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3192

დავკარგე მოწმობა (ატესტატი) № 34, გაცემული ლანჩხუთის ჰუმანიტარულ ტექნიკუმის მიერ ქსენია სიოს ასული გოგელიას სახელზე, ჩ. გ. 3198

დავკარგე პარტბილეთი № 493271 და საბჭოთა მუშ. პროფკავშირის წიგნაკი № 651, გიორგი ოქროპირის-ძე კილაძის სახელზე, ჩ. გ. 3199

დავკარგე ზუგდიდის ჰუმანიტარული ტექნიკუმის დამთავრების ატესტატი გაცემული 1924 წ. სექტემბერს კალისტრატე შეროზიას სახელზე, ჩ. გ. 3200

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი გაცემული გორის განყოფილებიდან № 62, ემელიან გიორგის-ძე სიამაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3201

დავკარგე შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 776 და მეტრიკული ამონაწერი ნინა ბრეგაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1654

დავკარგე სამხ. პირადი წიგნაკი და პირადობის მოწმობა აკაკი კილაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1654

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 65